

საქართველოს სსრ

მეცნიერებათა კადემიის

ა მ ა მ ა მ

გრძელ XVII, № 3

რიცხვი 10, ფართი 10 გამოიცა

1956

საქართველოს სსრ მეცნიერებათა კადემიის გამოსცემა

თბილისი

## ప్రాథమిక పరిశీలన

### ప్రాథమిక పరిశీలన

1. గ. శర్దు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	193
2. గ. మానికి. శేర్హరీ ప్రాథమిక పరిశీలన కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	201

### ప్రాథమిక పరిశీలన

3. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	205
--	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

4. గ. రామకృష్ణ నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	213
--	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

5. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	219
--	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

6. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	227
--	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

7. గ. తమిల్ నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	235
---	-----

8. గ. శ్రీ దాము నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	243
---	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

9. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	253
--	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

10. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	261
---	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

11. గ. శ్రీ కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	265
--	-----

12. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	273
---	-----

### ప్రాథమిక పరిశీలన

13. గ. కుమారు నుండి గ్రంథింపులు కొరుబంల్ అందించిన విషయాలలో తప్పించి ఉన్న పాఠాలు . . . . .	281
---	-----

გათხმალიბა

## 8. ულანტი

ელიფსური პარაბოლიდის სახის თხელი დრეკაზი დამრეცი გარსის  
მრთი სასაზღვრო ამოცანის ამოხსნის თვისებების შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. კუპრაძემ 3.4.1955)

ამ შრომაში ჩატარებულია გამოკვლევა საზღვარზე დამაგრებული ელიფ-  
სური პარაბოლიდის სახის დამრეცი გარსისათვის, უმაღლესი რიგის წარ-  
მოებულებთან მდგომი მცირე პარემეტრიანი დიფერენციალური განტოლებების  
თვალსაზრისით.

1. ვთქვათ, გარსის შუა ზედაპირი ელიფსური პარაბოლიდის სახისაა

$$\zeta = \lambda_1 x^2 + \lambda_2 y^2, \quad (\lambda_1 > 0, \lambda_2 > 0),$$

სადაც  $x, y, \zeta$  დეკარტის კოორდინატებია.

ვთქვათ,  $G$  არეა შუა ზედაპირზე, ხოლო  $G_0$  მისი ორთოგონალური გეგ-  
მილია  $x + iy$  სიბრტყეზე;  $G$  და  $G_0$  არეების კონტურები აღვნიშნოთ შესა-  
ბამისად  $L$  და  $L_0$ -ით. დავუშვათ, რომ  $G_0$  არეს საზღვარი შედგება სასრული  
რიცხვი შეკრული გლუვი წირებისაგან.

ვთქვათ,  $\vec{x}_0$  ორტია  $x$  საკორდინატო წირის მხებისა,  $\vec{y}_0$  ორტია  $y$  სა-  
კორდინატო წირის მხებისა, ხოლო  $\vec{n}$  ორტია ფართეულის ნორმალისა.

შემოვილოთ შემდეგი აღნიშვნები:

$$B_1 \vec{U} = -\frac{E}{2(1-\sigma^2)} \left[ (1-\sigma) \Delta u + (1+\sigma) \left( \frac{\partial^2 u}{\partial x^2} + \frac{\partial^2 v}{\partial x \partial y} \right) \right] + \\ + \frac{2E}{1-\sigma^2} (\lambda_1 + \sigma \lambda_2) \frac{\partial w H}{\partial x},$$

$$B_2 \vec{U} = -\frac{E}{2(1-\sigma^2)} \left[ (1-\sigma) \Delta v + (1+\sigma) \left( \frac{\partial^2 u}{\partial x \partial y} + \frac{\partial^2 v}{\partial y^2} \right) \right] + \\ + \frac{2E}{1-\sigma^2} (\lambda_2 + \sigma \lambda_1) \frac{\partial w H}{\partial y},$$

$$B_3 \vec{U} = -\frac{2E}{1-\sigma^2} \left[ (\lambda_1 + \sigma \lambda_2) \left( \frac{\partial u}{\partial x} - 2\lambda_1 w H \right) + (\lambda_2 + \sigma \lambda_1) \left( \frac{\partial v}{\partial y} - 2\lambda_2 w H \right) \right] H,$$

13. „მოამზე“, ტ. XVII, № 3, 1956

სადაც  $\vec{U} = u\vec{x}_0 + v\vec{y}_0 + w\vec{n}$ ,  $E$  იუნგის მოდულია,  $\sigma$  პუსონის კოეფიციენტია, ხოლო  $\vec{H} = \frac{\mathbf{I}}{\sqrt{1 + 4(\lambda_1 x^2 + \lambda_2 y^2)}}$ .

თხელი დამრეცი გარსის წონასწორობის განტოლებები შეიძლება ჩაი-წეროს შემდეგნაირად (იხ. [1]):

$$h(\vec{B}\vec{U} + h^2\vec{N}\vec{U}) = \vec{Q}, \quad (1)$$

სადაც  $\vec{U}$  შეა ზედაპირის წერტილების გადაადგილების ვექტორია,  $\vec{Q}$  — გა-რეშე დატვირთვა,  $\vec{B}\vec{U} = (B_1\vec{U})\vec{x}_0 + (B_2\vec{U})\vec{y}_0 + (B_3\vec{U})\vec{n}$ ,

$$\vec{N}\vec{U} = \frac{E\Delta\Delta w}{12(1-\sigma^2)}\vec{n}.$$

დავუშვათ; რომ  $\vec{Q}$  განუწყვეტილია თავისი პირველი რიგის წარმოებულებით  $G_0 + L_0$ -ში.

ვთქვათ,  $\vec{U} = u\vec{x}_0 + v\vec{y}_0 + w\vec{n}$  ამონახსნია (1) განტოლებისა, რომელიც აქმაყოფილებს სასაზღვრო პირობას

$$n = v = w = \frac{\partial w}{\partial \gamma} = 0 \quad L_0\text{-შე}, \quad (2)$$

სადაც  $n$  გარეშე ნორმალია  $L_0$  წირისა.  $\vec{U}$  ამოხსნის არსებობა და ერთადერთობა, ზემოთ მიღებულ შეზღუდვებში, დამტკიცებულია [2] შრომაში.

შემოვიყვანოთ ვექტორი  $\vec{U}_* = u_*\vec{x}_0 + v_*\vec{y}_0 + w_*\vec{n}$ , სადაც  $u_* = hu$ ,  $v_* = hw$ ,  $w_* = hw$ . ეს ვექტორი (1) და (2)-ის ძალით აქმაყოფილებს განტოლებას

$$\vec{B}\vec{U}_* + h^2\vec{N}\vec{U}_* = \vec{Q} \quad (3)$$

და (2) სასაზღვრო პირობას.

თვორება  $A$ . თუ არსებობს ვექტორი  $\vec{U}_1 = u_1\vec{x}_0 + v_1\vec{y}_0 + w_1\vec{n}$ , რომელიც აკმაყოფილებს განტოლებას

$$\vec{B}\vec{U}_1 = \vec{Q} \quad (4)$$

და სასაზღვრო პირობას

$$u_1 = v_1 = w_1 = 0, \quad \frac{\partial w_1}{\partial \gamma} \neq 0 \quad L_0\text{-შე} \quad (5)$$

ისეთი, რომ  $w_1$  აქვს  $G_0 + L_0$ -ში მეოთხე და მეხუთე რიგის გა-ნუწყვეტილი წარმოებულები, მაშინ

$$\vec{U}_* = \vec{U}_1 + \vec{U}_2 + \vec{U}_3;$$

აქვეჭმოთ ს  $\vec{U}_2 = u_2 \vec{x}_0 + v_2 \vec{y}_0 + w_2 \vec{n}$  აქვს სახე

$$u_2 = a(x, y) h e^{-g(x, y) h^{-\frac{1}{2}}} + R_1(x, y; h),$$

$$v_2 = b(x, y) h e^{-g(x, y) h^{-\frac{1}{2}}} + R_2(x, y; h), \quad (6)$$

$$w_2 = c(x, y) h^{\frac{1}{2}} e^{-g(x, y) h^{-\frac{1}{2}}} + R_3(x, y; h),$$

სადაც  $g(x, y)$  ფუნქცია განსაზღვრულია  $L_0$  წირის რაიმე მახლობლობაში, იქცევა ნულად  $L_0$ -ზე და დადგებითია წერტილებში, რომლებიც ეკუთვნიან  $G_0$ -ს; გარდა ამისა,

$$\lim_{h \rightarrow 0} \iint_{G_0} |\vec{U}_2|^2 dx dy = 0;$$

ვიქტორი  $\vec{U}_3$  დამოკიდებულია  $h$ -ზე და

$$\lim_{h \rightarrow 0} \iint_{G_0} |\vec{U}_3|^2 dx dy = 0.$$

ამ თეორემის დამტკიცებისათვის რამდენიმე დამხმარე თეორემა დაგვჭირდება.

2. სასაზღვრო ამოცანა  $B$ . გიოვოთ ვექტორი  $\vec{U} = u \vec{x}_0 + v \vec{y}_0 + w \vec{n}$ , რომელიც აკმაყოფილებს განტოლებას  $\vec{B} \cdot \vec{U} = \vec{Q}$  და სასაზღვრო პირობას

$$u = v = w = 0 \quad L_0 - \text{ზე}. \quad (7)$$

შემოვიყვანოთ არსი პილერტის სივრცე  $\vec{L}_2(G)$ , რომლის ელემენტებია  $G$  ზედაპირის წერტილებში განსაზღვრული  $\vec{U}$  ვექტორ-ფუნქციები ისეთნი, რომ

$$\iint_{G_0} |\vec{U}|^2 dx dy < \infty;$$

ამ სივრცეში სკალარული ნამრავლი განცსაზღვროთ შემდეგნაირად:

$$(\vec{U}_1, \vec{U}_2) = \iint_{G_0} (\vec{U}_1 \cdot \vec{U}_2) dx dy.$$

სივრცეში გამოვყოთ  $\vec{M}$  სიმრავლე. მისი ელემენტებია ისეთი ვექტორები  $\vec{U} = u \vec{x}_0 + v \vec{y}_0 + w \vec{n}$ , რომლებისთვისაც  $u$ ,  $v$  ორჯერ უწყვეტად წარმოებადია, ხოლო  $w$  ერთხელ უწყვეტად წარმოებადია  $G_0 + L_0$ -ში და აკმაყოფილებენ (7) სასაზღვრო პირობას.

შემოვილოთ შემდეგი აღნიშვნა:

$$D[\varphi] = \iint_{G_0} \left\{ \left( \frac{\partial \varphi}{\partial x} \right)^2 + \left( \frac{\partial \varphi}{\partial y} \right)^2 \right\} dx dy.$$

თუ  $\vec{U} \in \vec{M}$ , მაშინ

$$(\vec{B} \cdot \vec{U}, \vec{U}) = \frac{E}{1-\sigma^2} \iint_{G_0} \left[ \varepsilon_{11}^2 + 2\sigma\varepsilon_{11}\varepsilon_{22} + \varepsilon_{22}^2 + 2(1-\sigma)\varepsilon_{12}^2 \right] dx dy, \quad (8)$$

სადაც

$$\varepsilon_{11} = \frac{\partial u}{\partial x} - 2\lambda_1 w H, \quad \varepsilon_{12} = \frac{I}{2} \left( \frac{\partial u}{\partial y} + \frac{\partial v}{\partial x} \right), \quad \varepsilon_{22} = \frac{\partial v}{\partial y} - 2\lambda_2 w H.$$

(8)-დან,  $a^2 + 2ab + b^2 \geq (1-\sigma)(a^2 + b^2)$  დალით, ვღებულობთ

$$(\vec{B} \cdot \vec{U}, \vec{U}) \geq \frac{E}{1+\sigma} \iint_{G_0} (\varepsilon_{11}^2 + \varepsilon_{22}^2 + 2\varepsilon_{12}^2) dx dy, \quad (9)$$

საიდანაც, თუ გამოვიყენებთ  $a^2 + b^2 \geq \frac{I}{2}(a-b)^2$  უტოლობას და (7) საზღვრო პირობას, შეგვიძლია გამოვიყვანოთ

$$(\vec{B} \cdot \vec{U}, \vec{U}) \geq \frac{E\lambda_3\lambda_4}{2(1+\sigma)} \left\{ D[u] + D[v] \right\}, \quad (10)$$

სადაც

$$\lambda_3 = \min(\lambda_1^2, \lambda_2^2, \lambda_1\lambda_2),$$

$$\lambda_4 = \min \left( \frac{I}{\lambda_1^2}, \frac{I}{\lambda_2^2}, \frac{I}{\lambda_1\lambda_2} \right).$$

ახლა (9)-დან, თუ გამოვიყენებთ  $2ab \leq a^2 + b^2$  უტოლობას, შეგვიძლია მივიღოთ

$$(\vec{B} \cdot \vec{U}, \vec{U}) \geq E \frac{1-\sigma}{1+\sigma} \iint_{G_0} \left\{ -\frac{I}{\sigma} \left[ \left( \frac{\partial u}{\partial x} \right)^2 + \left( \frac{\partial v}{\partial y} \right)^2 \right] + 4(\lambda_1^2 + \lambda_2^2) w^2 H^2 \right\} dx dy.$$

უკანასკნელიდან მიიღება

$$(\vec{B} \cdot \vec{U}, \vec{U}) + \frac{E(1-\sigma)}{\sigma(1+\sigma)} \left\{ D[u] + D[v] \right\} \geq 4E \frac{1-\sigma}{1+\sigma} (\lambda_1^2 + \lambda_2^2) H_0^2 \iint_{G_0} w^2 dx dy, \quad (11)$$

სადაც  $H_0$  უმცირესი მნიშვნელობაა  $H$  ფუნქციისა  $G_0 + L_0$ -ში; კხადია,  $H_0 > 0$ .

(11)-დან, (10)-ის ძალით, გამომდინარეობს

$$\left[ 1 + \frac{2(1-\sigma)}{\sigma\lambda_1\lambda_2} \right] (\vec{B} \vec{U}, \vec{U}) \geq 4E \frac{1-\sigma}{1+\sigma} (\lambda_1^2 + \lambda_2^2) H_0^2 \iint_{G_0} w^2 dx dy. \quad (12)$$

ახლა, თუ შევკრეფთ (10)-სა და (12)-ს და გამოვიყენებთ ფრიდ-რინსის უტოლობას (იხ. მაგ. [4], თავი VII, § 2), მაშინ

$$(\vec{B} \vec{U}, \vec{U}) \geq \gamma \| \vec{U} \|^2, \quad (13)$$

სადაც  $\gamma$  დადებითი მუდმივი სიდიდეა, დამოუკიდებელი  $h$ -ზე.

(13)-დან, ორგორუ ჩვეულებრივ (იხ. [3], §§ 3, 4), გამომდინარეობს  $B$  ამოცანის ამონსნის ერთადერთობა და არსებობა.

2. განვიხილოთ განტოლება

$$\vec{B} \vec{U} + h^2 \vec{N} \vec{U} = \vec{F}, \quad (14)$$

სადაც  $\vec{F}$  რაიმე ერთხელ  $G_0 + L_0$ -ში უწყვეტად წარმოებადი ვექტორია.

ვთქვათ,  $\vec{U} = u \vec{x}_0 + v \vec{y}_0 + w \vec{n}$  ამონახსნია (14) განტოლებისა, რომელიც აკმაყოფილებს (2) სასაზღვრო პირობას. ამ ამონსნის ერთადერთობა და არ-სებობა დამტკიცებულია შრომაში [2].

ახლა დავამტკიცებთ, რომ

$$\iint_{G_0} |\vec{U}|^2 dx dy \leq \alpha \iint_{G_0} |\vec{F}|^2 dx dy, \quad (15)$$

სადაც  $\alpha$  დადებითი მუდმივი რიცხვია, დამოუკიდებელი  $h$ -ზე.

თუ მივიღებთ მხედველობაში (2) სასაზღვრო პირობას, მაშინ

$$\begin{aligned} (\vec{N} \vec{U}, \vec{U}) &= \frac{E}{12(1-\sigma^2)} \iint_{G_0} \left\{ \left( \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \right)^2 + 2\sigma \frac{\partial^2 w}{\partial x^2} \frac{\partial^2 w}{\partial y^2} + \left( \frac{\partial^2 w}{\partial y^2} \right)^2 + \right. \\ &\quad \left. + 2(1-\sigma) \left( \frac{\partial^2 w}{\partial x \partial y} \right)^2 \right\} dx dy. \end{aligned} \quad (16)$$

(14)-დან გამომდინარეობს

$$(\vec{B} \vec{U}, \vec{U}) + h^2 (\vec{N} \vec{U}, \vec{U}) = (\vec{F}, \vec{U}).$$

საიდანაც შეგვიძლია გამოვიყვანოთ

$$(\vec{F}, \vec{U}) \geq (\vec{B} \vec{U}, \vec{U}), \quad (17)$$

რადგან, (13) და (16)-ს ძალით,  $(\vec{B} \vec{U}, \vec{U}) > 0$  და  $(\vec{N} \vec{U}, \vec{U}) \geq 0$ .

(17)-დან, გამოვიყენებთ რა (13) უტოლობას, მივიღებთ  
 $(\vec{F}, \vec{U}) \cong \gamma \|\vec{U}\|^2,$

$$\text{საიდანაც, } (\vec{U} \cdot \vec{F}) \cong \frac{1}{2} (|\vec{U}|^2 + |\vec{F}|^2) \text{ ძალით, შეგვიძლია გამოვიყვანოთ}$$

$$\frac{1}{2\gamma} \|\vec{F}\|^2 + \frac{\gamma}{2} \|\vec{U}\|^2 \cong \gamma \|\vec{U}\|^2.$$

უკანასკნელიდან გამომდინარეობს (15) უტოლობა.

3. ახლა გადავდივართ  $A$  თეორემის დამტკიცებაზე.

ვექტორი  $\vec{U}'_3 = \vec{U}_* - \vec{U}_1 = u'_3 \vec{x}_0 + v'_3 \vec{y}_0 + w'_3 \vec{n}$ , (3) და (4)-ის ძალით, აქმაყოფილებს განტოლებას

$$\vec{B} \vec{U}'_3 + h^2 \vec{N} \vec{U}'_3 = -h^2 \vec{N} \vec{U}_1 \quad (18)$$

და, (2)-ისა და (5)-ის ძალით, სასაზღვრო პირობას

$$u'_3 = v'_3 = w'_3 = 0, \quad \frac{\partial w'_3}{\partial \gamma} = -\frac{\partial w_1}{\partial \gamma} \quad L_0\text{-შე.} \quad (19)$$

შემოვიყენოთ ვექტორი  $\vec{U}_2 = u_2 \vec{x}_0 + v_2 \vec{y}_0 + w_2 \vec{n}$ , რომელიც აქმაყოფილებს განტოლებას

$$\vec{B} \vec{U}_2 + h^2 \vec{N} \vec{U}_2 = 0 \quad (20)$$

და სასაზღვრო პირობას

$$u_2 = v_2 = w_2 = 0, \quad \frac{\partial w_2}{\partial \gamma} = -\frac{\partial w_1}{\partial \gamma} \quad L_0\text{-შე.} \quad (21)$$

$\vec{U}_2$  ვექტორი ვეძებოთ (6)-ის სახით და შევიტანთ რა (6)-ს (20) განტოლებაში, მივიღებთ:

$$B_1 \vec{R} = \left\{ h P_1(a, b) + h^{\frac{1}{2}} P_2(a, b, c, g) + \frac{E}{2(1-\sigma^2)} [(2p^2 + (1-\sigma)q^2)a + (1+\sigma)pqb + 4(\lambda_1 + \sigma\lambda_2)pcH] \right\} e^{-gh^{-\frac{1}{2}}}$$

$$B_2 \vec{R} = \left\{ h K_1(a, b) + h^{\frac{1}{2}} K_2(a, b, c, g) + \frac{E}{2(1-\sigma^2)} [(1+\sigma)pqa + ((1-\sigma)p^2 + 2q^2)b + 4(\lambda_2 + \sigma\lambda_1)qcH] \right\} e^{-gh^{-\frac{1}{2}}}, \quad (22)$$

$$B_3 \vec{R} + \frac{Eh^2}{12(1-\sigma^2)} \Delta \Delta R_3 = \left\{ h^{\frac{5}{2}} \Phi_1(c) + h^2 \Phi_2(c, g) + h^{\frac{3}{2}} \Phi_3(c, g) + h \Phi_4(a, b, c, g) + h^{\frac{1}{2}} \Phi_5(a, b, c, g) \right\} e^{-gh^{\frac{1}{2}}},$$

$$\text{სადაც} \quad \frac{\partial g}{\partial x} = p, \quad \frac{\partial g}{\partial y} = q, \quad \vec{R} = R_1 \vec{x}_0 + R_2 \vec{y}_0 + R_3 \vec{n}.$$

განვსაზღვროთ  $g(x, y)$  ფუნქცია  $L_0$  საზღვრის რაიმე  $\Omega$  მახლობლობაში ისე, რომ

$$p^2 + q^2 = 1$$

დებულობდეს ნულოვან მნიშვნელობას  $L_0$ -ზე და იყოს დადებითი წერტილებში, რომლებიც ეკუთხნიან  $G_0$ -ს. ცნობილი თეორიის გამოყენებით ადგილად დავამტკიცებთ, რომ ასეთი ფუნქცია  $\vec{w}$  გვიძლია ავაგოთ.  $g(x, y)$  ფუნქციას აქვს წარმოებულები ნებისმიერ რიგამდე.

$L_0$ -ზე, (21)-ის ძალით,  $\vec{w}$  სრულდება პირობა

$$ah + R_1 = bh + R_2 = ch^{\frac{1}{2}} + R_3 = 0, \quad (23)$$

$$h^{\frac{1}{2}} \frac{\partial c}{\partial y} - c \frac{\partial g}{\partial y} + \frac{\partial R_3}{\partial y} = - \frac{\partial w_1}{\partial y}.$$

$c$  ფუნქციად მივიღოთ ნებისმიერი ხუთჯერ უწყვეტად წარმოებადი ფუნქცია, რომელიც იქცევა ნულად  $G_0 = \Omega$ -ში და  $L_0$ -ზე დებულობს  $\frac{\partial w_1}{\partial y} \Big| \frac{\partial g}{\partial y}$  მნიშვნელობას. ცხადია,  $\frac{\partial g}{\partial y} \neq 0$   $L_0$ -ზე.

$a, b$  ფუნქციებად მივიღოთ სამჯერ უწყვეტად წარმოებადი ფუნქციები, რომლებიც იქცევიან ნულად  $G_0 = \Omega$ -ში და  $\Omega$ -ში აკმაყოფილებენ განტოლებებს

$$\begin{aligned} [2p^2 + (1 - \sigma)q^2]a + (1 + \sigma)pqb &= -4(\lambda_1 + \sigma\lambda_2)pCH, \\ (1 + \sigma)pqa + [(1 - \sigma)p^2 + 2q^2]b &= -4(\lambda_2 + \sigma\lambda_1)qCH, \end{aligned} \quad (24)$$

საიდანაც

$$a = \frac{2pCH\Delta_1}{(1 - \sigma)(p^2 + q^2)^2}, \quad b = \frac{2qCH\Delta_2}{(1 - \sigma)(p^2 + q^2)^2}.$$

ამნაირად,  $\vec{R}$  ვექტორი, (22)-ისა და (24)-ის ძალით, აკმაყოფილებს შემდეგ განტოლებებს:

$$\begin{aligned} B_1 \vec{R} &= \{hP_1(a, b) + h^{\frac{1}{2}}P_2(a, b, c, g)\}e^{-gh^{-\frac{1}{2}}}, \\ B_2 \vec{R} &= \{hK_1(a, b) + h^{\frac{1}{2}}K_2(a, b, c, g)\}e^{-gh^{-\frac{1}{2}}}, \\ B_3 \vec{R} + \frac{Eh^2}{12(1 - \sigma^2)}\Delta\Delta R_3 &= \left\{h^{\frac{5}{2}}\Phi_1(c) + h^2\Phi_2(c, g) + \right. \\ &\quad \left. + h^{\frac{3}{2}}\Phi_3(c, g) + h\Phi_4(a, b, c, g) + h^{\frac{1}{2}}\Phi_5(a, b, c, g)\right\}e^{-gh^{-\frac{1}{2}}} \end{aligned} \quad (25)$$

და, (23)-ის ძალით, სასაზღვრო პირობას

$$R_1 + ah = R_2 + bh = R_3 + ch^{\frac{1}{2}} = \frac{\partial R_3}{\partial y} + h^{\frac{1}{2}}\frac{\partial c}{\partial y} = 0 \quad L_0\text{-ზე}. \quad (26)$$

գանցօնելութ զեյթորութ մասին  $\vec{R}'' = \vec{R} + \vec{R}'$ , և այս մասին  $\vec{R}' = a(x, y) h \vec{x}_0 + b(x, y) h \vec{y}_0 + c(x, y) h^{\frac{1}{2}} \vec{n}$ . Ես զեյթորութ մասին, (25)-ում կարող ենք պատճենաբառ այս գանցօնելութ մասին:

$$B_1 \vec{R}'' = h P_1^*(a, b, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) + h^{\frac{1}{2}} P_2^*(a, b, c, g, e^{-gh^{\frac{1}{2}}}),$$

$$B_2 \vec{R}'' = h K_1^*(a, b, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) + h^{\frac{1}{2}} K_2^*(a, b, c, g, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}),$$

$$B_3 \vec{R}'' + \frac{Eh^2 \Delta \Delta R_3''}{12(1-\sigma^2)} = h^{\frac{5}{2}} \Phi_1^*(c, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) + h^2 \Phi_2^*(c, g, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) +$$

$$+ h^{\frac{3}{2}} \Phi_3^*(c, g, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) + h \Phi_4^*(a, b, c, g, e^{-gh^{-\frac{1}{2}}}) + h^{\frac{1}{2}} \Phi_5^*(a, b, c, g, e^{-gh^{-\frac{1}{2}}})$$

Հայ (2) սասանական ձևութան:

Դա շատ համապատասխան է այս գանցօնելութ մասին:

$$\lim_{h \rightarrow 0} \iint_{G_0} |\vec{U}_2|^2 dx dy = 0.$$

Գանցօնելութ մասին  $\vec{U}_3 = \vec{U}'_3 - \vec{U}_2$ , և այս մասին (18)-ում կարող ենք պատճենաբառ այս գանցօնելութ մասին:

$$\vec{B} \vec{U}_3 + h^2 \vec{N} \vec{U}_3 = -h^2 \vec{N} \vec{U}_1$$

Հայ, (19)-ում կարող ենք պատճենաբառ այս գանցօնելութ մասին:

Դա շատ համապատասխան է այս գանցօնելութ մասին:

$$\lim_{h \rightarrow 0} \iint_{G_0} |\vec{U}_3|^2 dx dy = 0.$$

Ամենավայրէն,  $A$  այս մասին մասին պատճենաբառ է:

#### 6. Տարածության սահմանափակություն

Համապատասխան այս մասին պատճենաբառը կազմված է այս մասին:

(Հյայդային թվական 1955)

#### Համապատասխան պատճենաբառ

1. С. Г. Михлин. Оценка погрешности расчета упругой оболочки как плоской пластины. ПММ, т. XVI, в. 4, 1952, стр. 399—418.
2. В. С. Жегенти. Применение функционального анализа к пологой упругой оболочке, имеющей форму эллиптического параболоида. ДАН СССР, т. XС, № 1, 1953, стр. 9—11.
3. Р. Курант и Д. Гильберт. Методы математической физики, т. II, М.—Л., 1951.
4. С. Г. Михлин. Проблема минимума квадратичного функционала. М.—Л., 1952.

გათვალისწინების

გ. მარია

უკარჩავით მოცემული ნორმალური ზრდაშილდის სიმკვრივითა  
და მორჩილის კვადრატის ული შეფასება

(ჭარმალებინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. მიქელაძემ 29.11.1955)

ვოქმნათ,  $X$  შემთხვევითი სიღიდე ემორჩილება ნორმალური განაწილების  
შემდეგ კანონს:

$$f(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}\sigma} e^{-\frac{(x-\mu)^2}{2\sigma^2}}$$

საღაც  $\mu$  ცენტრია, ხოლო  $\sigma$ —საშუალო კვადრატიკული გადახრა.  
აგრეთვე დავუშვათ, რომ

$$\tilde{f}(x) = \frac{1}{\sqrt{2\pi}s} e^{-\frac{(x-\bar{x})^2}{2s^2}}$$

არის  $\circ(x_1, x_2, \dots, x_n)$  შერჩევის საფუძველზე  $f(x)$  განაწილების სიმკვრივის  
შეფასება; ამიტომ, როგორც ჩვეულებრივ, ვგულისხმობთ

$$\bar{x} = \frac{1}{n} \sum x_i, \quad s = \sqrt{\frac{1}{n-1} \sum (x_i - \bar{x})^2}.$$

გამოყენების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია  $\tilde{f}(\bar{x})$ -ის ნორმალური განა-  
წილების  $f(x)$  სიმკვრივესთან მიახლოების სიზუსტის შეფასება.

დავუშვათ, რომ დაკვირვებათა რიცხვი  $n$  საკმაოდ დიდია და მიახლოე-  
ბის საზომად განვიხილოთ  $f(x) - \tilde{f}(x)$  სხვაობის კვადრატის ინტეგრალი

$$\Psi(\bar{x}, s) = \int_{-\infty}^{+\infty} [f(x) - \tilde{f}(x)]^2 dx. \quad (I)$$

ჩვენი ამოცანაა  $\Psi(\bar{x}, s)$  ფუნქციის ზღვარითი განაწილების მონახვა იმ  
შემთხვევაში, როდესაც  $n \rightarrow \infty$ .

ადვილად ვნახავთ, რომ, ზოგადობის შეუზღუდველად, შეგვიძლია მივი-  
ღოთ  $a=0$ ,  $\sigma=1$ . ამ შემთხვევაში (I) გამოსახულება გამარტივდება და არა-  
როზული გამოთვლების შემდეგ მივიღებთ:

$$\Psi(\bar{x}, s) = \frac{1}{V\pi} \left( \frac{\frac{1+s}{2s}}{e^{-\frac{\bar{x}^2}{2(1+s^2)}}} \right).$$

აღნიშნოთ განხილული შემთხვევის ზოგიერთი თავისებურება. ძალიან ფართო დაშვებების დროს შერჩევის მომენტების ფუნქციის ასიმპტოტური განაწილების რეგულირება ხდება გ. კრამერის ([1], გვ. 388) თეორემით.

განხილულ შემთხვევაში ეს თეორემა თუმცა არ გამოიყენება, მაგრამ ტრივიალურია, რადგანაც  $\Psi(\bar{x}, s)$  ფუნქციის კერძო წარმოებულები, როცა  $\bar{x}=0$  და  $s=1$ , ნულის ტოლი ხდებიან და ზღვარითი ნორმალური განაწილება არასაკუთრივზე დაიყვანება; ამასთან დაკავშირებით  $\Psi(\bar{x}, s)$ -ის დისპერსია ჩევულებრივზე უფრო მაღალი რიგის მცირე იქნება.

ამგვარად, ჩენი ამოცანა ეკუთვნის გადაგვარებულ შემთხვევას, როდესაც ზღვარითი განაწილებანი განისაზღვრებაან „თეორიული“ (o, i) წერტილის მახლობლობაში  $\Psi(\bar{x}, s)$  ფუნქციის გამცჟრივების არა პირველი რიგის წევრებით, არამედ უფრო მაღალი რიგის წევრებით (მეორე რიგის, როგორც ამას ქვემოთ ვნახავთ).

ვისარგებლებთ შემდეგი უბრალო თანაფარდობებით:

$$\frac{1+s}{2s} = 1 - \frac{s-1}{2} + \frac{(s-1)^2}{2} - \frac{1}{2} \frac{(s-1)^3}{s}, \quad (2)$$

$$\begin{aligned} e^{-\frac{\bar{x}^2}{2(1+s^2)}} &= 1 - \frac{\bar{x}^2}{2(1+s^2)} + \frac{\bar{x}^4}{8(1+s^2)^2} e^{-\frac{\Theta \bar{x}^2}{2(1+s^2)}} = \\ &= 1 - \frac{\bar{x}^2}{4} + \rho(\bar{x}, s), \end{aligned} \quad (3)$$

სადაც

$$0 < \Theta < 1$$

და

$$\begin{aligned} |\rho(\bar{x}, s)| &= \left| \frac{\bar{x}^2}{4} - \frac{s^2 - 1}{1+s^2} + \frac{\bar{x}^4}{8(1+s^2)^2} e^{-\frac{\Theta \bar{x}^2}{2(1+s^2)}} \right| \equiv \\ &\equiv \frac{\bar{x}^2 |s^2 - 1|}{4} + \frac{\bar{x}^4}{8}. \end{aligned} \quad (4)$$

შემდეგ გვაქვს

$$\frac{\sqrt{2}}{\sqrt{1+s^2}} = 1 - \frac{(s-1)^2}{8} + (s-1)^2 \lambda(s), \quad (5)$$

სადაც

$$\lambda(s) < \frac{15}{2\sqrt{2}} \quad (6)$$

და

$$\frac{V_2}{V_{1+s^2}} = 1 + (1 - s^2) \gamma(s), \quad (7)$$

სადაც

$$0 < \gamma(s) = \frac{1}{V_{1+s^2} (V_2 + V_{1+s^2})} \leq \frac{1}{1+V_2}. \quad (8)$$

თუ ვისარგებლებთ (2), (3), (5) და (7) დამოკიდებულებებით, მაშინ  $\Psi(\bar{x}, s)$  ფუნქციის წარმოდგენა შემდეგნაირად შეიძლება:

$$\begin{aligned} \Psi(\bar{x}, s) &= \frac{1}{V\pi} \left[ \left( 1 - \frac{s-1}{2} + \frac{(s-1)^2}{2} - \frac{1}{2} \frac{(s-1)^3}{s} - \left( 1 - \frac{\bar{x}^2}{4} + \right. \right. \right. \\ &\quad \left. \left. \left. + \rho(\bar{x}, s) \frac{V_2}{1+s^2} \right) \right] = \frac{1}{V\pi} \left\{ \left[ 1 - \frac{s-1}{2} + \frac{(s-1)^2}{2} - \frac{1}{2} \frac{(s-1)^3}{s} \right] - \right. \\ &\quad - \left[ 1 - \frac{s-1}{2} + \frac{(s-1)^2}{8} + (s-1)^3 \lambda(s) \right] + \frac{\bar{x}^2}{4} [1 + (1 - s^2) \gamma(s)] - \\ &\quad \left. \left. \left. - \frac{\rho(\bar{x}, s) V_2}{1+s^2} \right] \right\} = \frac{1}{V\pi} \left[ \frac{3(s-1)^2}{8} + \frac{\bar{x}^2}{4} \right] + R_n. \end{aligned} \quad (9)$$

აქედან და (4), (6) და (8) დამოკიდებულებებიდან გამომდინარეობს, რომ

$$\begin{aligned} |R_n| &\leq \frac{1}{V\pi} \left\{ \frac{1}{2} \frac{|s-1|^3}{s} + \frac{15}{2V_2} |s-1|^3 + \frac{\bar{x}^2}{4} \frac{|s^2-1|}{1+V_2} + \right. \\ &\quad \left. + \frac{\bar{x}^2 |s^2-1|}{4} + \frac{\bar{x}^4}{8} \right\}. \end{aligned} \quad (10)$$

მივიღოთ

$$\bar{x} = \frac{\tau}{Vn}, \quad s = 1 + \frac{\eta}{V2n}.$$

როგორც ცნობილია,  $\eta$  და  $\tau$  სიდიდეებს ჩვენს შემთხვევაში ყველა რიგის მომენტი აქვთ, ისინი დამოუკიდებელნი არიან და თითოეული  $(0, 1)$  პარამეტრებით ასიმბტოტურად ნორმალურია.

(10)-დან გამომდინარეობს:

$$\begin{aligned} n|R_n| &\leq \frac{1}{V\pi} \left\{ \frac{1}{2^{5/2}} \frac{|\eta^3|}{Vns} + \frac{15}{8} \frac{|\eta^3|}{Vn} + \frac{\tau^2 \left( V_2 |\eta| + \frac{\eta^2}{Vn} \right)}{4(1+V_2)Vn} + \right. \\ &\quad \left. + \frac{\tau^2}{4} \frac{\left( V_2 \eta + \frac{\eta^2}{Vn} \right)}{Vn} + \frac{\tau^4}{8n} \right\}. \end{aligned} \quad (11)$$

შედევრულობაში მივიღოთ, რომ  $s$  ოლბათობით ერთისკენ იკრიბება, რაც მაშინ  $n | R_n |$  ოლბათობით ნულისკენ მიისწრავის და მაშინ ( $\varphi$ )-დან გამომდინარეობს, რომ  $\mathbf{n} \Psi(\bar{x}, s)$  სიდიდეს აქვს იგივე ზღვრული განაწილება, რაც

$$E\{n | R_n |\} < \frac{k}{V_n},$$

სადაც  $k$  მუდმივია. აქედან ჩანს, რომ როდესაც  $n \rightarrow \infty$ , მაშინ  $n | R_n |$  ოლბათობით ნულისკენ მიისწრავის და მაშინ ( $\varphi$ )-დან გამომდინარეობს, რომ  $\mathbf{n} \Psi(\bar{x}, s)$  სიდიდეს აქვს იგივე ზღვრული განაწილება, რაც

$$\mu(\bar{x}, s) = \frac{n}{V\pi} \left\{ \frac{3}{8} (s - 1)^2 + \frac{\bar{x}^2}{4} \right\} = \frac{1}{16V\pi} \{3\eta^2 + 4\tau^2\}$$

ფუნქციას.

$\eta$  და  $\tau$  სიდიდის ასიმპტოტურად ნორმალობისა და დამოუკიდებლობის გამო ყოველი  $u > 0$ -სთვის გვექნება:

$$p\left\{ \Psi(\bar{x}, s) < \frac{u}{n} \right\} = \frac{1}{2\pi} \int_{D_n} \int e^{-\left(\frac{\eta^2}{2} + \frac{\tau^2}{2}\right)} d\eta d\tau + o(1), \quad (12)$$

სადაც ინტეგრების  $D_n$  არე შემოსაზღვრულია

$$3\eta^2 + 4\tau^2 = 16V\pi u$$

ელიფსით.

პოლარული კოორდინატების შემოყვანის შედეგად (12)-ის მარჯვენა მხარეზე მდგომი ინტეგრალი შემდეგია:

$$\begin{aligned} p(u) &= \frac{1}{2\pi} \int_0^{2\pi} d\varphi \int_0^{\sqrt{\frac{16V\pi u}{3+\sin^2\varphi}}} e^{-\rho^2/2} \rho d\rho = \\ &= \frac{2}{\pi} \int_0^{\frac{\pi}{2}} \left( 1 - e^{-\frac{16V\pi u}{3+\sin^2\varphi}} \right) d\varphi. \end{aligned}$$

ესარგებლობ შემთხვევით შადლობა გადავუხადო ჩემს მასწავლებელს

5. სმირნოვს ამ ამოცანის დასმისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

ა. რაზმაძის სახელობის

თბილისის მათემატიკის ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 20.10.1955)

დამოწმებული ლიტერატურა

1. Г. Крамер. Математические методы статистики. М., 1948.

შიმიური ტექნოლოგია

3. კატაბაზი და თ. იგანოვა

გოგირდნატრიუმიდან ხსნალი მინის მიღების მანგანუმოვანი  
 მეთოდი

(ჭარმალურია აკადემიის ნამდვილმა წევრმა რ. აგლაძემ 23.5.1955)

ამჟამად ხსნადი მინა ძირითადად მშრალი და სველი ხერხებით მიღება; ამ ხერხებს ზოგიერთი მნიშვნელოვანი ნაკლი აქვს [1,2]. ლიტერატურაში არის მითითებები იმის შესახებ, რომ ხსნადი მინა შეიძლება მიღებულ იქნეს გოგირდნატრიუმიდან [3], მაგრამ საფუძვლიანი მუშაობა ამ მიმართულებით ჩატარებული არ არის და არ მოიპოვება მასალები, რომლებიც შეიძლება საფუძვლად დაედოს ამ მითითებათა პრაქტიკულ რეალიზაციას.

ჩვენ მიზნად დავისახეთ ხსნადი მინის მიღება გოგირდნატრიუმიდან, რომელიც, როგორც ცნობილია, მიიღება მირაბილიტიდან აღდგენითი გამოწვის გზით [4,5]. გოგირდნატრიუმი ავიღეთ ქიმიურად წმინდა, ხოლო ცდების უკანასკნელ სერიებში — ტექნიკური.


კაუბადუანგშემცავ გამოსავალ ნედლეულად გამოვიყენეთ სხვადასხვა სახის ადგილობრივი ნედლეული (დიატომიტი, ტუფი, სილი, ქალცედონი, სპონგოლიტი, პემზა), რომელთაგან ყველაზე უფრო აქტიური აღმოჩნდა კისატიბის დიატომიტი, რომლის ჩვენ მიერ შესწავლილ ორ ნიმუშს შემდეგი შედგენილობა ჰქონდა (ცხრილი 1):

ცხრილი 1

დიატომიტის ქიმიური შედგენილობა


გამოსავალი ნედლეული	SiO <sub>2</sub>	Al <sub>2</sub> O <sub>3</sub>	Fe <sub>2</sub> O <sub>3</sub>	CaO	MgO	SO <sub>3</sub>	ტენი	b. დ.
კისატიბის დიატომიტი № 1	92,00	1,23	1,02	0,85	0,21	0,19	3,03	2,42
კისატიბის დიატომიტი № 2.	89,50	0,73	0,34	0,50	—	0,12	6,62	2,21

ჩვენ მიერ ექსპერიმენტულად შესწავლილ იქნა გოგირდნატრიუმისა და დიატომიტის ურთიერთქმედების რეაქცია, რომელიც წინასწარი მოსაზრებებით შემდეგი სქემით უნდა მიმდინარეობდეს:



ცდებისათვის გამოვიყენეთ ნახ. 1-ზე ჭარმოდგენილი დანადგარი. კაუბადუანგშემცავი ნედლეულის წონაკი 10 გრ. რაოდენობით თავსდებოდა კულაში, სადაც ემატებოდა განსაზღვრული კონცენტრაციის გოგირდნატრი-


უმის ხსნარის გარკვეული რაოდენობა. კულა ხურდებოდა აღულებამდე სილის აბანოს (6) მეშვეობით; ცდის დასაწყისშივე სარევი (3) იწყებდა მოძრაობას მოტორის (4) საშუალებით. რეაქციის შედეგად გამოყოფილი გოგირდწყალბადის გაწოვა ხდებოდა ასპირატორით (8); აღნიშნული აირი მაცივრის (5) გავლის შემდეგ ინთენსუბოდა დრექსელებში (7) მოთავსებული დეცინორმალური იოდის ხსნარით. სისტემაში შექმნილი გაიშვიათების გამო ხსნარი დუღდადახლოებით  $99^{\circ}$ -ზე.



ნახ. 1. ლაბორატორიულ დანადგარი

ლას შეცულობა წერტილი. შემდეგ მიღებული სილიკატნატრიუმის ხსნარი ვიღებდით წონაკს და ვაკეთებდით ანალიზს  $\text{SiO}_2$ ,  $\text{Na}_2\text{O}$ ,  $\text{Na}_2\text{S}$  და  $\text{Na}_2\text{S}_2\text{O}_3 + \text{Na}_2\text{SO}_3$  შემცველობაზე.  $\text{SiO}_2$  განსაზღვრას გახდენდით წონითი მეთოდით [6], ნატრიუმის ჟანგისას — მოცულობითი ხერხით [1], გოგირდოვანი ნაერთებისას კი — სტანდარტით [7,8] და კურტენაკერის მეთოდით [9]. მიღებული მონაცემების მიხედვით განგრიშობდით სილიკატურ მოდულს, ვინაიდან ამ მოდულით ხდება ძირითადად ხსნადი მინის შეფასება.

ჩვენ შევისწავლეთ სილიკატწარმოქნის პროცესზე სხვადასხვა ფაქტორის გავლენა. ცდების ყველა სერიაში ერთი




ნახ. 2. დროის გავლენა: A — მოდული; B — დრო წუთობით. ხსნარის კონცენტრაცია: 1—4,55%; 2—6,02%; 3—11,65%; 4—13,56%; 5—17,08%.

ცვალებადის სახით ყოველთვის ვღებულობდით მიღებული სილიკატრიონიუმის მოდულს.

1. დროის გავლენა. სილიკატრიოუმის წარმოქმნის პროცესზე დროის გავლენის გამოსარკვევად ცდებს ვატარებდით სხვადასხვა კონცენტრაციის ( $4,5\%$ -დან  $17\%$ -მდე) გოგირდნატრიუმზე; დროს ვცვლიდით ყოველ 15 წუთში.

ცდების ამ სერიაზი და აგრეთვე შემდეგ ცდებში, სადაც არ არის სპეციალური მითითება, დიატომიტი აღებული გვქონდა № 1, 10000 ხვრ/სმ<sup>2</sup> დაფქვის სიჭმინდით. სხვადასხვა კონცენტრაციისას დროის გავლენა მოცემულია ნახ. ზე-2-ზე.



ნახ. 3. გოგირდნატრიუმის კონცენტრაციის გავლენა: A — მოდული; B — კონცენტრაცია % -ით. დრო: 1—15 წუთი; 2—30 წუთი; 3—45 წუთი; 4—60 წუთი; 5—75 წუთი; 6—90 წუთი

როგორც მიღებული მონაცემებიდან ჩანს, დროის გადიდება დადებითად მოქმედებს სილიკატრიოუმის წარმოქმნაზე, მაგრამ განსაზღვრულ ზღვრამდე, სახელდობრ 60 წუთამდე. ამასთანავე დროის გავლენა უფრო მკვეთრად ემჩნევა ურთიერთქმედების საწყის პერიოდში, 60 წუთის შემდეგ კი სტაბილური მდგომარეობა რჩება.

ამრიგად, სილიკატშარმოქმნის ოპტიმალურ დროდ შეიძლება 60 წუთი მივიჩნიოთ.

2. გოგირდნატრიუმის კონცენტრაციის გავლენა. წინა მონაცემებიდან ჩანს, რომ პროცესზე გავლენას ახდენს აგრეთვე გოგირდნატრიუმის ხსნარის კონცენტრაცია. ამ მონაცემების მიხედვით, მეტი თვალსაჩინოებისათვის, ნახ. მე-3-ზე წარმოდგენილია სილიკატშარმოქმნის პროცესზე გოგირდნატრიუმის კონცენტრაციის დამოკიდებულება დროისაგან.

ნახაზიდან ჩანს, რომ  $\text{Na}_2\text{S}$  კონცენტრაციის გადიდებით მოდული თანდათან იზრდება და აღწევს მაქსიმუმს  $10-10,5\%$ -სას. კონცენტრაციის შემდგომი გაზრდისას  $11,65\%$ -მდე მოდული მუდმივი რჩება და მხოლოდ აღნიშნული კონცენტრაციის ზევით ხდება მოდულის შევეთრი დაცემა. ეს მით აიხსნება, რომ  $\text{SiO}_2$ -ის შემცველობის გადიდებისას ერთგვარი ზღვრის ზევით ხსნარის მდგრადობა კლებულობს, რაღაც მაქსიმალური კონცენტრაციის დროს ადგილი აქვს კაუბადეანგის ამორფული ნალექის გამოყოფას, რის გამოც მოდული სწრაფად ეცემა.

ამრიგად, გოგირდნატრიუმის ოპტიმალურ კონცენტრაციად შეიძლება მივიჩნიოთ დაახლოებით  $11,5\%$ .

3. ტემპერატურის გავლენა. ცდების ამ სერიაში ტემპერატურას ვცვლიდით  $25^{\circ}$ -დან ადულებამდე ( $99^{\circ}$ ). გოგირდნატრიუმისა და დიატომიტის ურთიერთქმედების ხანგრძლივობა იყო 60 წუთი. ცდების შედეგები მოკემულია მე-2 ცხრილში.

## ცხრილი 2

### ტემპერატურის გავლენა


რიგ. №№	ტემპერატუ- რა $^{\circ}\text{C}$	ხსნარის შედგენილობა ცდების შემდეგ % -ით				დესულფური- ზაცია % -ით
		$\text{Na}_2\text{S}$	$\text{Na}_2\text{O}$	$\text{SiO}_2$	მოდული	
1	25	8,93	8,43	4,10	0,50	23,61
2	45	8,89	8,39	4,24	0,52	23,69
3	65	8,83	8,39	6,61	0,81	24,22
4	80	8,67	8,39	10,27	1,26	25,59
5	95	8,51	8,33	17,39	2,09	27,00
6	99 (დუღილი)	8,42	8,39	20,98	2,50	27,72

მიღებული მონაცემები გვიჩვენებს, რომ ხსნარის ტემპერატურის აწევა პროცესზე საერთოდ დადებით გავლენას ახდენს, მაგრამ  $25^{\circ}$ -დან  $45^{\circ}$ -მდე ინტერვალში ეს გავლენა მეტად უმნიშვნელო, ხოლო  $75^{\circ}$ -ის ზევით, ადულებამდე, მეტად მკვეთრი, რაც მოდულის საგრძნობი გაზრდით გამოიხატება. ოპტიმალურ ტემპერატურად ვთვლით ხსნარის დუღილის ტემპერატურას (დაახლოებით  $99^{\circ}$ ).

4.  $\text{SiO}_2$ -სა და  $\text{Na}_2\text{S}$ -ის თანაფარდობის გავლენა. ცდების ამ სერიაში  $\text{Na}_2\text{S}$  კონცენტრაცია აღებულ იქნა  $11,65\%$ ; იცვლებოდა მხოლოდ დიატომიტის რაოდენობა ( $\text{SiO}_2$ -ზე გადაანგარიშებით). ცდის სხვა პირობები ოპტიმალური იყო. ცდების შედეგები გრაფიკულად შარმოდგენილია ნახ. მე-4-ზე.

როგორც მიღებული მონაცემებიდან ჩანს,  $\text{SiO}_2 : \text{Na}_2\text{S}$  თანაფარდობის გადიდება მოდულის სიდიდეს ზრდის, მაგრამ მხოლოდ თანაფარდობამდე  $3,0:1$ . ჩენ მიერ აღებულ პირობებში  $\text{SiO}_2 : \text{Na}_2\text{S}$  ოპტიმალურ ფარდობად უნდა მივიჩნიოთ  $3,0 : 1$ .

5. დიატომიტის დაწვრილების ხარისხის ვცვლიდეთ 144—10000 ხვრ/სმ<sup>2</sup> ფარგლებში. როგორც გამოირკეა, დაწვრილების ხარისხის გადიდება პროცესზე დადებით გავლენას ახდენს. ზრდის ნატრიუმის სილიკატის მოდულს (უდიდესი მოდული მიღება 10000 ხვრ/სმ<sup>2</sup>-სას). თუმცა გაშრობის შემდეგ კისატიბის



ნახ. 4. თანაფარდობის გავლენა: A—მოდული; B— $\text{SiO}_2$ ;  $\text{Na}_2\text{S}$

დიატომიტი ადვილად წვრილდება, მაგრამ, ჩვენი აზრით, საჭარმოო პირობებში დაწვრილების ხარისხის საკითხი ეკონომიური მოსაზრებებით გადაწყდება.

იმის შემდეგ, რაც შევისწავლეთ ხსნადი მინის მოდულის დამოკიდებულება სხვადასხვა ფაქტორზე, ცდები ჩავატარეთ შედარებით მსხვილი მასშტაბით. ამით დავადგინეთ, რომ ოპტიმალურ პირობებში მიიღება ნატრიუმის სილიკატი 2,5—2,6 მოდულით, მაგრამ დიდადი გოგირდის შემცველობით სხვადასხვა გოგირდოვანი ნაერთის სახით,  $\text{SO}_3$ -ზე გადაანგარიშებით 7,5% მდე (ხსნარის შესქელების შემდეგ, მაშასადამე, კიდევ მეტი რაოდენობით). ვინაიდან სტანდარტით ხსნად მინაში  $\text{SO}_3$ -ის შემცველობა 2% -ს არ უნდა აღემატებოდეს, ჩვენ წინაშე დაისვა ხსნარში გოგირდის შესამცირებლად რაიმე ხერხის გამონახვის საკითხი.


გოგირდნატრიუმის ხსნარში (სადაც დიატომიტიცა) გადახურებული ორთქლის გატარებამ მოგვცა დესულფურიზაციის ხარისხის მეტად უმნიშვნელო გადიდება. შემდეგ, გამოვედით რა იქიდან, რომ მანგანუმი ადვილად იძება გოგირდთან მანგანუმის სულფიდის წარმოქმნით, გოგირდწამრთმევი ნივთიერების სახით გამოვიყენეთ ჰეროქსიდული მაღანი, რომელიც. როგორც ცნობილია, შეიცავს  $\text{MnO}_2$ -ის მაღალ პროცენტს (ჩვენ მიერ აღებულ მაღანში 88,67% -ს).

ცდები ტარდებოდა დანადგარზე, რომელიც წარმოდგენილა ნახ. 1-ზე. ვერც გოგირდნატრიუმის ხსნარის, დიატომიტისა და პეროქსიდული მაღნის ერთად დამუშავებამ, ვერც წინათ აღწერილი ხერხით მიღებული სილიკატ-

ნატრიუმის ხსნარის (რომელიც, როგორც წინათ იყო აღნიშნული, შეიცავდა 7,5% გოგირდს  $\text{SO}_3$ -ზე ანგარიშით) პეროქსიდული მაღნით დატუშავებამ გოგირდის შემცველობა სტანდარტით გათვალისწინებულ ზღვრამდე ვერ შეამცირა. სილიკატნატრიუმის არასაკმაო დესულფურიზაცია უნდა აიხსნას ხსნადი მინის სიბლანტით. როგორც ჩანს, მისი ბლანტი ნაწილაკები ეკვრიან  $\text{MnO}_2$ -ის ნაწილაკებს და აძნელებენ დიფუზიის პროცესს. ამის გამო ბუნებრივია ხსნადი მინის მოდულის და, მაშასადამე, სიბლანტის გაზრდასთან ერთად  $\text{MnO}_2$ -ის, როგორც მადესულფურიზებელი აგენტის, ზემოქმედება შემცირდება. აქედან ლოგიკურად დაიბადა აზრი იმის შესახებ, რომ პეროქსიდული მაღნით დამუშავებულ იქნეს გაზოსავალი ნატრიუმის ხსნარი; შემდეგ კი მიღებული ხსნარი — დიატომიტით. მართლაც, როცა დავამუშავეთ გოგირდნატრიუმის ხსნარი პეროქსიდული მაღნით და შემდეგ დაწენობილი თუთქი დიატომიტით, მიღებულ იქნა სავსებით დამაკმაყოფილებელი შედეგები. ამასთანავე პროცესში მოქმედი ფაქტორების შესწავლით დადგნილ იქნა შემდეგი ოპტიმალური პირობები: ტემპერატურა — ოთახისა, დრო — 2 საათი, გოგირდნატრიუმის კონცენტრაცია დაახლოებით — 11,5%, პეროქსიდული მაღნის დაფენის სიწმინდე — 400 ხვრ/სმ<sup>2</sup>.

ცდებიდან გამოირკვა აგრეთვე, რომ პროცესზე დიდ გავლენას ახდენს  $\text{Na}_2\text{S}$  და  $\text{MnO}_2$  თანაფარდობა. იგი უნდა უდრიდეს 1:1,5. გარდა ამისა, დადგენილ იქნა, რომ პროცესი უნდა ჩატარდეს ენერგიული არევით და ხსნარში პეროქსიდული მაღნის განუწყვეტლივი (ან ყოველ შემთხვევაში მცირე კირდებად) მიწოდებით.

აღნიშნულ ოპტიმალურ პირობებში, როგორც გამოირკვა ხსნარისა და ნალექის ანალიზით, მიმდინარეობს შემდეგი რეაქცია:




და მყარ ფაზაში გამოიყოფა ჰიდრატირებული მანგანუმის ქანგი და გოგირდი. სულფიდური გოგირდი არ მოიპოვება არც ხსნარში, არც ნალექში. გოგირდის სერობ შემცველობა ( $\text{S}_2\text{O}_3^{2-}$  და  $\text{SO}_3^{2-}$  სახით) უმნიშვნელოა: გამოსავალ ქ. წ.  $\text{Na}_2\text{S}$ -სას,  $\text{SO}_3^{2-}$ -ზე გადათვლით — არაუმეტეს 0,4% -სა; ტექნიკურისას — დაახლ. 0,8%.

მიღებული ხსნარის (თუთქის) შემდგომი გამოყენებისათვის საჭიროა მყარი ფაზიდან მისი გამოცალკევება, რაც ადვილად ხდება დაწენობით. დაწენობილი თუთქი შემდეგ დიატომიტით შუშავდება და მიდის შემდეგი რეაქცია:



$\text{SiO}_2$ -სა და  $\text{Na}_2\text{O}$ -ს თანაფარდობის დასადგენად ჩატარებული ცდებიდან გამოირკვა, რომ ქ. წ.  $\text{Na}_2\text{S}$  შემთხვევაში იგი უდრის 3,8:1, ხოლო ტექნიკური  $\text{Na}_2\text{S}$ -სას — 3,5:1. სხვა ფაქტორების (დრო, ტემპერატურა, დაწვრილების ხარისხი და სხვ.) ოპტიმალური პირობები ისეთივე აღმოჩნდა, როგორიც

ზემოთ იყო აღნიშნული გოგირდნატრიუმის ხსნარისა და კაებადშემცავი ნედლეულის ურთიერთქმედების შემთხვევისათვის.



ნახ. 5. მანგანუმოვანი მეთოდით ხსნადი მინის მიღების პრინციპული სქემა

დაბოლოს ვიძლევით ხსნადი სქემას ჩვენ მიერ დამუშავებული მანგანუმოვანი მეთოდით (ნახ. 5).

საორიენტაციო ტექნიკურ-ეკონომიურმა ინგარიშებმა გვიჩვენა მანგანუმოვანი მეთოდის ეკონომიური ეფექტურობა

## დასკვნები

1. ხსნადი შინის წარმოების მცირე შასტრიბი და სახალხო შეურნეობის სხვადასხვა დარგში სულ მზარდი მოხმარება მწვავედ იყენებს მისი მიღების რაციონალური ხერხის გამონახვის საკითხს;

2. დამუშავებულია ხსნადი მინის მიღების მეთოდი ადგილობრივი ნედლეულის (მირაბილიტიდან მიღებული გოგირდნატრიუმი, დიატომიტი ან სხვა კაებადშემცავი ნივთიერება და განგანუმის პეროქსიდული მაღანი ან მანგანუმის შლამი) ბაზაზე;

3. მანგანუმოვან მეთოდს შედარებით მარტივი ტექნოლოგიური სქემა აქვს და მისი პრაქტიკული რეალიზაცია ძნელი არ იქნება.

კირვეის სახელმისამართი

მაქართველოს პლიტექნიკური ინსტიტუტი  
თბილისი

ԶԱՑՈՒՑԱԿԱՆ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ ՀԱՅԱՍՏԱՆԻ

1. А. И. Килин. Растворимое стекло, его свойства, получение и применение. ГОНТИ Свердловск—Москва, 1939.
2. И. И. Григорьев. Растворимое стекло. Гизлэгпром, М.—Л., 1938.
3. А. В. Тихонов, К. А. Иванов. О новом способе получения растворимого стекла. Труды Грузинского индустриального института, 1 (15), 1943.
4. Н. П. Будников. К реакции восстановления  $\text{Na}_2\text{SO}_4$  до  $\text{Na}_2\text{S}$ . Докл. Академии Наук СССР, № 6, 332, 1934.
5. М. Е. Позин. Технология минеральных солей. Госхимиздат, М.—Л., 1949.
6. Берль-Лунге. Справочник по основной химической промышленности, ч. 1. Госхимтехиздат, Л., 1933.
7. Стандарты основной химической промышленности. Стандартгиз, М.—Л., 1933.
8. А. П. Грошев. Технический анализ. Госхимиздат, М.—Л., 1953.
9. Труды Государственного центрального института курортологии, под редакцией Г. М. Данишевского, том V, 1934.

გეოგრაფია

ა. ფოჭინი და გ. რამიშვილი

მეზორების განვითარების ფაზები შიდა კახეთი და  
ანთოკოგიგენური ფართობის როლი

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჯავახიშვილმა 3.5.1954)

1952 და 1953 წ.-წ. გაზაფხულზე, ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ტრასის საინჟინრო-გეოლოგიურ აგეგმვასთან დაკავშირებით, ჩვენ მიერ გამოკვლეულ იქნა მეწყრულ მოვლენები წოვის (ტბათანა) ქედის აღმოსავლეთ ფერდობზე, პანკისის ხეობაში და ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ კალთებზე შახვეტილას მთიდან ქალაქ სილნალამდე.

ჩვენ მიერ შეკრებილი დიდი მასალა (აღწერილი იყო 400-ზე მეტი მეწყერი) საშუალებას გვაძლევს გამოკიყვანოთ ზოგიერთი დასკვნა მეწყრების ასაკობრივი ფაზებისა და მათი აქტივობის განმსაზღვრელი ფაქტორების შეფარდებითი როლის შესახებ.

იმის გამო, რომ მეწყრული პროცესები რთულ კომპლექსს წარმოადგენს, მათი მეწყერთსაწინააღმდეგო ღონისძიებათა თვალსაზრისით განხილვისას საჭირო ხდება ყოველ ცალკეულ კონკრეტულ შემთხვევაში საერთო შემპირობებელი ფაქტორების რიგიდან გამოიყოს ის ფაქტორები, რომლებმაც უშუალოდ გამოიწვიეს წონასწორობის დროებით დარღვევა. ასეთ ფაქტორს უფრო ხშირად, ვიდრე ეს ერთი შეხედვით გვეჩვენება, ადამიანის არარეგლამენტირებული სამეურნეო მოქმედება წარმოადგენს.

შიდა კახეთში მარჯვენა მხარის მეწყრები განლაგებულია მდ. მდ. ალაზნისა და ილტოსაკენ საფეხურისებრ დაქანებულ კალთებზე, უმთავრესად კი მრავალრიცხვანი ხევების კალთებზე. მათი განაწილება არათანაბარია და ძირითადად შეესაბამება აპტურ-ალბური (პანკისის ხეობა, მდ. მდ. მერემისხევი და ფაფრისხევი) და სენონური (ცივ-გომბორის ჩრდილო აღმოსავლეთი კალთები) ფლიშის გავრცელების არეებს და ალაზნის წყების შუა სართულის თიხებს, რომლებიც ვრცელდება სოფ. ქისტაურიდან ისი მიმართულებით, თანდათან იჭრება ქედის სილრმეში და შორდება ალაზნის ვაკეს.

მეწყრების უფრო ხშირი შეჯაფება გვხვდება მდ. მდ. ორვილსა და ხოდაშენისხევ — შავეაბას შუა, საღაც 8 კმ მანძილზე ჩვენ მიერ აღწერილია 180 მეწყერი, რომელთა საერთო სიგანე ფრონტით საგრძნობლად აღმატება მათ შორის მოქცეული საღი ფერდობების სიგანეს.

პანკისის ხეობის მეწყრები ძირითადად დაკავშირებულია მერგელებზე და თხელ შრეებრივ ფლიშზე მდებარე 4—5-მეტრის სიმძლავრის დელუვის-

თან, ზოგჯერ კი იტაცებენ ქვეშმდებარე ქანების ელუვიურ საფარს. ცივ-გომბორის ქედის ფერდობზე უფრო ფართოდაა გავრცელებული დელუვიურ-მეწყრული საფარის მეწყრები.

მდ. ილტოზე, ხევ-ხევ და მის ფერდობზე შესამჩნევია ფლიშის დასტების კონსევენტური დამეწყრვა. ალაზნის წყების ქანების წნევიანი წყლებით ქვების შედეგად ჩვეულებრივ მოცოცავს კონგლომერატები თიხებზე და თიხები თიხიან კონგლომერატებზე.

საფეხურებიან ფერდობებზე მეწყრები უკაშირდება საფეხურებს. დელუვის დამეწყრვა ხშირად დამარხულ ჰატარა ხევებსა და ღარტაფებში ხდება, ამასთან გადაადგილების გავრცელება ლიმიტირებულია მათი სიგანით. მეწყრული მიკრორელიეფი ნათლადაა გამოსახული ცივ-გომბორის ქედის კალთებზე მდ. ილტოსა და თურდოს შორის მთელ მანძილზე.

მეწყრების წარმოქმნის პირობები შიდა კახეთის გამოკვლევების ზოლში, წარმოდგენილია შემდეგი სახით:

ლითოლოგიურ ად იურული და ცარცული ქანები, რომლებითაც შედგენილია როგორც კავკასიონის სამხრეთი ფერდობი, ისე ცივ-გომბორის ქედის ღერძის ზოლი, თიხიანი ფაციესის სიჭარებით გამოირჩევა (თიხა-ფიქლები, თიხები, მერგელები). ცივ-გომბორის ქედზე ფართოდაა განვითარებული მიოპლიოცენური ასაკის თიხვანი კონგლომერატებისა და ქვიშიანი თიხების საფარი, ცნობილი ალაზნის სერიის სახელწოდებით (ა. ჯანელიძის აზრით [1,2]—ცივის წყება). თანადროული დელუვიური საფარი წარმოდგენილია უმთავრესად მძიმე თიხამიწებით და ალაზნის ვაკეზე გავრცელებული პროლუვიური ნაფენების შლეიფებით—ლილისამაგვარი თიხამიწებით.

ქანების თიხიანობით აიხსნება სრიალა ზედაპირების სიმრავლე, როგორც თვეისი ბუნებით, ისე თიხის საცხის მიღებით, მაგალითად, კონგლომერატების სიპი ქვა.

ტექტონიკა გამოიხატება მრავალრიცხვანი, მაგრამ მცირე მასშტაბის, როგორც პლიკატური, ისე დიზინერებური აშლილობით, რომელიც ორიენტირებულია საერთო კავკასიური მიმართულებით ჩრდილო-დასავლეთისაკენ ან განედად და გამოწვეულია ახალგაზრდა ტექტონიკური მძრაობებით, რომლებიც ახლაც გრძელდება. ასეთი პირობების გამო მრავალი ფერდობის დაქანება თანხვდება შრების დაქანების აზიმუტს. აქ ძალიან ფართოდაა განვითარებული ტექტონიკური დანაპრალიანება და ნაპრალებით დანგრეული ქანების ზონები, რომელიც ფილტრაციის გადიდებული თვისებებით ხასიათდებიან. ტექტონიკური აშლილობით აიხსნება აგრეთვე ალაზნის მიწისქეშა წყლების წნევითი ხასიათი.

რელიეფი ხასიათდება ნაკლებად მდგრადი და ტექტონიკური აშლილობით შესუსტებული ქანების ღრძა ეროდირებით. ქანების სხვადასხვა კუთხით ხშირი დანაწევრების შედეგად ფერდობები წარმოადგენენ ხევების ტალვეგებისაკენ უპირატესად ციცაბოდ დაქანებულ და მათ ვიწრო, გვერდითი ხეობების სიბრტყეების შეერთებას. ცივ-გომბორის ქედის ფერდობი ალაზნის ვაკისაკენ ფართოსაფეხურებრივია.

ჰავა მეწყრების განვითარების გამოკვლეულ ზოლში გამოიჩინება წლების განმავლობაში ნალექების არათანაბარი განაწილებით, რომელთა 50%-მდე მოდის სამ თვეზე (აპრილი—ივნისი). ეს პერიოდი შეესაბამება გაზაფხულის თოვლის დნობას. ამ სეზონს შეეფარდება ადგილობრივი და თხემების წყალ-შემცრებებიდან წყლის უხვი ჩამოდენა, რომლის უმეტესი მასა ზედაპირული გზებით მოისწრაფვის. მიწისკვეშა ჩადინება ორიენტირებულია ტექტონიკური აშლილობის ზონებზე და ალაგ-ალაგ დაკარსტულ ნაპრალებზე (ხევის-ჭალა, მდ. ხაჩირისწყლის ხევი სოფ. ოსიაურთან). უმტეს შემთხვევაში კი გრუნტის სეზონური ნაკადების წყალგაუმტარ საფუძველს ძირითადი ქანების თიხიანი სახურავი წარმოადგენს.

მეწყრულ ფერდობებზე ისახება მეწყრების რამდენიმე გენერაცია, რომელიც მორფოლოგიურად საკმაოდ გარკვეულად გამოიყოფა. მეწყრული პროცესები არათანაბრად მიმდინარეობდა და ახლაც ასე მიმდინარეობს, დროდადრო ჩალდება და შემდეგ ცოტად თუ ბევრად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩაძომეწყრება ჩერდება.

მეწყრული პროცესების განვითარებაში სამი ძირითადი ფაზა ისახება.

I ფაზა მიახლოებით ყინვარეულის შემდგომი დროის დასაწყისს მიეკუთვნება. დამეწყრების ბაზისი შეესაბამება მდ. ალაზნისა და ილტოს ჭალის პირველ ზედა ტერასას. უდავოა, რომ წყლის ჩამოდინება წყვისა და ცივ-გომბორის ქედებიდან იმ დროს ბევრად აღემატებოდა თანადროულს. ფერდობები ნაკლებად ციცაბო იყო, რასაც მოწმობს უძველესი პროლუციური გამოზიდვის ნაშთები (მდ. შავკაბასა და თეთრი გიორგის საყდარს შორის) 30°-მდე დახრილ ფერდობზე, რაც გამორიცხავს რიყის ქვის აკუმულაციის შესაძლებლობას. ფერდობების ქვემო საფეხურების დახრილობის გადიდება მათი შემდგომი ამოწევით აისხნება. დიდი წყალშემცველობის პირობებში ჩამომეწყრებას უზარმაზარი ჩამოზავებების ხასიათი ჰქონდა. შერჩენილია გასწვრივად გაჭიმული, ძველი, მთლიანად სტაბილიზებული, 1—2 კვ. კმ ფართობის მეწყრების ნაშთები, ჯამისებური ჩალრმავებით ზედა ნაწილში და რამდენადმე გამობურცულობით ქვედა ნაწილში, დელუვიურ-მეწყრული საფარის სისქის გამო. ამ მხრივ დამახასიათებელია მეწყრები სოფ. საბუესთან, მდ. ილტოს მარჯვენა ნაპირზე, სოფ. საჩალესთან, ახშინის ველები—არაშენდა და ზემო ხოდაშენთან ალაზნის ვაკისაკენ საფეხურებრივ დაქანებულ ფერდობზე.

II ფაზა უძველესი და ძველი მეწყრები ჩვენი წელთაღრიცხვის უკანასკნელი ათასეული წლების პერიოდს მიეკუთვნება და დაახლოებით XIX საუკუნის დამდეგს მთავრდება. ჩამომეწყრების ბაზისს წარმოადგენენ განიერი ხევების ჭალები, რომლებითაც დანაწევრებულია ტბათანის ქედის აღმოსავლეთი ფერდი სოფ. დუისიდან ახმეტის ტაფობამდე და ცივ-გომბორის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი კალთები მთელ მის სიგრძეზე. აქ გვხვდება სტაბილიზაციის სხვადასხვა სტადიაში მყოფი მრავალრიცხვანი მეწყრები, მეტწილად გასწვრივად გაჭიმული, ზოგ ადგილას განივად გაჭიმული და ერთ მთლიან მეწყრულ ზონაში გაერთიანებული. მეწყრების ასაკი შეიძლება აღ-



დგენილ იქნეს არაპირდაპირი ნიშნებით ჰიპოთეზურად — ხეების სისქით და შეაქტინილი ხის ძირკვების მიხედვით, ტერასების და ბორცვების მოგლუებისა და მეწყრულ დაგროვებათა გადარეცხვის მიხედვით. ცალკეული მეწყრების ფართობი ასეული და რამდენიმე ათასეული კვ. მ-დან 0,5 კვ. კმ-დე მერყეობს. მეწყრული ზოლი ჩვეულებრივ ვრცელდება ალაზნის ვაკეზე ხევების გამოსვლიდან 2—3 კმ დაშორებით (ახმეტის ტაფობის ზევით — ალაზნის ხეობაში) და მდ. ილტოს ხეობაში.

საინტერესოა აღნიშნოთ, რომ ამ ზოლში მთელ სიგრძეზე შენარჩუნებულია ადამიანის მიერ ძველთაგან ათვისებული ადგილების კვალი. აქ მიტოვებული სახნავ-სათესი ადგილების ნაწილზე აღმოცენებულ ტყეებს შორის, ავრეთვე მინდორ-ველიან ფერდობებზე, ამართულია კაშქები და ეკლესიები, რომელთა უმრავლესობა ნანგრევებს წარმოადგენს. ორმოებისა და ქვების ხროვების მეშვეობით ადვილია ნასოფლარი ადგილების გამოცნობა.

ტყეების სიძველე მერყეობს XI საუკუნიდან (იყალთო) XVI—XVII საუკუნეებამდე (კოშკები სოფ. ჯოვლოში, ქისტაურში და სხვ., ციხე-სიმაგრე სოფ. მატანში, ეკლესია საჩინოს მთაზე). ამ ადგილებში, უკაველია, მოსახლეობა მჭიდროდ იყო თავმოყრილი და ფერდობებზე დამუშავებული ფართობი თანადროულს აღემატებოდა.

კახელი ხალხის ლტოლვა მთის კალთებისაკენ საქართველოს ისტორიული თავგადასავლით აიხსნება. ალაზნის ნოიერმიწვებიანი ვაკე ლია იყო სპარსელთა თავდასხმებისათვის. გამანადგურებელ შემოსევათა შორის იყო შესვენებები და ამ დროს მოსახლეობა კვლავ განაახლებდა ხოლმე მიწის დამუშავებას ვაკეზე. შემოსევათა ახალ-ახალი ტალღები ანადგურებდა შრომის ნაყოფს, მტერი იტაცებდა ათასობით ტყვეებს. კახეთისათვის კველაზე დამლუპველი შედევი მოჰყვა შაჰ აბასის 1616 წლის ლაშქრობას. გადარჩენილი მოსახლეობა ტყეებში იღალვოდა და უახლოეს გაზაფხულზე იწყებდა სახნავი მიწებია დამუშავებას წეწყრულ ფერდობებზე. აქ შენდებოდა ახალი სოფლები, რომელთა დაყრიცხა ცხენოსანთა თავდასხმით არც ისე ადვილი იყო. წონას-წორობის პირობები ფერდობებზე ირლვეოდა და თოვლიანი ზამთრის შემდეგ პირეელსავე წევიმინ გაზაფხულზე გაკაფულ ფერდობებზე ხდებოდა მეწყრული გადანაცვლებანი, რომელნიც ანგრევდნენ და აზიანებდნენ სახლებს, ბალებს, ვენახებს, სახნავ-სათეს ფართობებსა და გზებს. ფართო წყალგამყოფებზე მდგომარეობა უფრო ხელსაყრელი იყო, ხევების კალთები კი, რომლებიც შედგენილია კონგლომერატისლინზებიანი ალაზნის თიხებით (იყალთო და სხვ.) ან მერგელოვანი ფლიშით, დეფორმირებულია მეწყრებით. შაჰ-აბასის შემოსევის შემდეგ ფერდობები განსაკუთრებით მჭიდროდ დასახლდა ახალმოსულებით, რომლებიც საქმაოდ დიდხანს იყენენ მოცულნი ბარში დაბრუნების შიშით. უმეტესად ამ დროისათვის (XVII საუკუნის მეორე ნახევარში და XVIII საუკ.) ხდება ხევების ფერდობებზე ტყეების დიდი ფართობების გაკაფა და ამ ადგილების უწესრიგოდ დამუშავება. ამრიგად, ძველი მეწყრების მეტი ნაწილი, რომელთა ასაკი საგრძნობი სიზუსტით შეიძლება იყოს განსაზღვრული 150—250 წლებით, შაჰ-აბასის შემოსევათა შედეგს წარმოადგენს.

III ფაზა მეშვეობის განვითარებისა ჩვენს დროს მიეკუთხება. XIX საუკუნის დასაწყისიდან ალაზნის ვაკეზე უშიშრობის დამყარებამ გამოიწვია აქეთკენ მოსახლეობის ლტოლვა, კერძოდ დამეშვრილი ფერდობებიდან, სა-დაც სოფლები მიატოვეს. დამეშვრილი ფერდობები ტყით იფარებოდა და თანდათან ხდებოდა მათი სტაბილიზაცია; გამოცოცხლება ეხებოდა მხოლოდ ქვედა კიდეს, დელაფსიური გადანაცვლებების სახით, რაც გამოწვეული იყო ადილებული მდინარეების მიერ მათი ძირის გამოთხრით.

იქ, სადაც დამეწყრილ ფერდობებზე შერჩენილია სოფლები დამუშავებული მიწების საგრძნობი ფართობით (სოფ. კოჯორი, ოსიაური, არაშენდა და სხვა), მეწყრები განაგრძობენ აქტივობას, რაც განსაკუთრებული ძალით გამომეუღლენდა ხანგრძლივ და უხვნალექიან 1952 წლის გაზაფხულზე, ამასთან ზოგიერთი დამანგრეველი მეწყერი (სოფ. ოსიაურში, სოფ. კარდანახის ზემოთ ხევის მარცხენა ფერდობზე) გამოწვეული იყო დაზიანებული წყალსადენიდან გამონაჯონი წყლის მიერ ფერდობის დასველებით. სოფ. საბუესა და ჩჩხრიალის შორის, მდ. ილტოს მარჯვენა ნაპირზე, მეწყრები გააქტივდნენ ახმეტის სატყეო მეურნეობის ვიწროლიანდაგიანი რეინიგზის ფერდის ჩამოკვეთით. ამრიგად, ანთორპოლოგური ფაქტორი ახალ ხანაში სხვა სახით გამოიხატა.

სურათის სისრულისათვის შეიძლება მივუთითოთ ფერდობის ზემო ზოლის მეწყრებზე, რომლებიც გვხვდება მდ. ფაფრისსევისა და მდ. ჭერემისსევის ხეობებზი და ცივ-გომბორის ქედის თხემის წყალშემკრებ არეზი სოფ. ჭერემთან. აქ დიდი ინტენსიურობით იმეწყრება ქვედა ცარცის თხხა-ქვაქვიშა-ქვაკირის ფლიშური ქანები. რომელნიც ნაპრალების წყლებით იქდენთებიან. ამ შემთხვევაში ფერდობებზე ტყეების გაყაფვა (სოფ. ჭერემი) მეორეხარისხოვნ მნიშვნელობას იქნება და მთავარ ფაქტორად ვლინდება ცივ-გომბორის ქედის ფართო წყალშემკრები თხემის უშუალო სიახლოვე. აქ რამდენადმე შენარჩუნებულია მეწყრების განვითარების ის პირობები, რომლებითაც ხასიათდება უძველესი I ფაზა. შეიძლება აღინიშნოს, რომ ჰავის სინოტივის შემცირებასთან ერთად მეწყრების ზონა იხევს ზემოთ ფერდობის აყოლებით, რომლის ქვემო საფეხურები, ანთროპოგენური ფაქტორების ჩარევის გამო, საგრძნობლად ამჟღავნებს მეწყრულ აქტივობას.

მოყანილი მონაცემების საფუძველზე ისახება წოვისა და განსაკუთრებით ცივ-გომბორის ქედების მეშვრიანი ფერდობების რაციონალურად გამოყენების პრაქტიკული აუცილებლობა.

სათესი ფართობების, ვენახებისა და სარწყავი სისტემის დაგეგმვა შე-  
თანხმებული უნდა იყოს მეწყრული პროცესების შესწავლის შედეგებთან. ტყის როლი არასაიმედო ფერდობების დამაგრებაში გამოყოფილ უნდა იქნეს როგორც სპეციალური შესწავლის ობიექტი, ტყის კაფება რეგულირებული უნდა იქნეს ადგილობრივი პირობების შესაბამისად.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ვახუშტის სახ. გეოგრაფიის ინსტიტუტი  
თბილისი

## დამრღვებული ლიტერატურა

1. А. И. Джанелидзе. О геологическом строении Кахетинского хребта и Алазанской равнины. Сообщения АН Грузинской ССР, т. XI, № 8, 1950.
2. А. И. Джанелидзе. О свите послетретичных конгломератов Кахетинского хребта. Сообщения АН Грузинской ССР, т. X, № 4, 1949.
3. ჩანახუაშვილი. უძირო ტბა და მისი წარმოშობა. საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. XV, № 3, 1954.

## გეოლოგია

### ლ. კოდოშვილი

ტირიფონ-მუხრანის დეპარტამენტის კონგრესის მინისტრის უფლების ცდა

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ა. ჯანელიძემ 9.5.1955)

ტირიფონისა და მუხრანის ველები ღართისკარის კონგლომერატების წყების (მიოპლიოცენი) გავრცელების ზოლში მდებარეობს. ეს წყება გაშიშვლებულია დეპრესიის ჩრდილო და სამხრეთ ფერდობზე აწინდელი ტაფობის მორფოლოგიასთან თანხვდენილი სინკლინური ნაოჭის ფრთებში. მიოპლიოცენური ნალექები გამოყოფილია მხოლოდ ლითოლოგიური ნიშნებით. ისინი მუნჯ ნალექებს წარმოადგენენ, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წყების თიხოვან შუაშრეებში ჰელიქსებისა და ჰიბარიონის ფაუნის იშვიათ ნაშთებს.

ტირიფონისა და მუხრანის ხეობების ფარგლებში მიოპლიოცენურ ნალექებს მეოთხეული ფარავს. ამ ორი ხეობის გამყოფ სოფ. იგორის ამალების ტერიტორიაზე აღინიშნება ღართისკარის წყების ქვედა ნაწილის გამოსვლები<sup>1</sup>.

ღართისკარის წყების ლითოლოგია შეტად მარტივია. ძირითადად ეს თიხიანი და ქვიშიანი ცემენტით შემტკიცებული კონგლომერატებია, რომლებიც თიხებისა და ქვიშაქვების თხელ შრეებთან და დასტებთან მორიგეობენ. რიგი ჭრილების მიხედვით ტირიფონ-მუხრანის დეპრესიის როგორც ჩრდილო, ისე სამხრულ კიდეებზე დადგენილია ნალექებში ნამსხვრევი მასალის სიღილის თანდათანობითი ზრდა ქვევიდან ზევით. ვერტიკალური მიმართულებით მასალის სიღილის ცვლასთან ერთად ჩანს ქვარგვალების სიღილისა და ლოდების რაოდენობის საერთო ზრდა ჩრდილოეთისაკენ, მიოპლიოცენური ზოლის ჩრდილო კიდეზე, და სამხრეთისაკენ ამ ზოლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში.

აწერილ ზოლებში ღართისკარის კონგლომერატების ლითოლოგიის ცვალებადობა წყების მიმართებით უმნიშვნელოა, ხოლო თვითონ ტირიფონ-მუხრანის ველის საზღვრებში ზოლის სამხრეთ ნაწილში ერთგვარი სხვადასხვაობა აღინიშნება. ტირიფონ-სალთვისის ველზე მდ. ლიახვის გასწვრივ კონგლომერატებში განვითარებულია ლოდნარი თიხნარისა და ქვიშაქვების იშვიათი შუაშრეებით, ხოლო უფრო აღმოსავლეთით, დაახლოებით ველის შუა ნაწილში, ლითოლოგია კონგლომერატების, თიხებისა და ქვიშაქვების ხშირი მორიგეობის გამო უფრო მრავალუეროვანი ხდება. აქ დამახასიათებელია უსწორმასწორო სხეულების, ლინზებისა და ჯიბეების გაჩენა. უფრო აღმოსავლეთით

<sup>1</sup> ამ წყების ზედა ნაწილი უფრო გვიანი ეროვნით არის გადარეცხილი, ხოლო რაიონის სხვა ნაწილებში მიოპლიოცენი სრული ჭრილითაა წარმოდგენილი.

ზოგჯერ ჭირბობს წვრილმარცვლოვანი ფაციისები: ქვიშიანი თიხები და ქვიშაქვები.

მუხრანის ხეობის ფარგლებშიც, ძიების წინასწარი მონაცემების მიხედვით, შეიმჩნევა ფაციისების ერთგარი ცვლა პორიზონტული მიმართულებით.

მიოპლიოცენის საერთო სიმძლავრე ისევე, როგორც ნაცხორის წყებისა, თანდათან მატულობს აღმოსავლეთისაკენ, ანუ ლიახვიდან არაგვისაკენ.

ტირიფონის ველის გეოლოგიური კვლევის დროს, ცუდი გაშიშვლებისა და ელუვიურ-დელუვიური ნალექების გავრცელების პირობებში, საჭირო გახდა რაიონში ძველი ალუვიონის გამოყოფა მიოპლიოცენური ნალექებისაგან. ასეთი გამოყოფის საფუძველი უნდა ყოფილიყო ზემოაღნიშნული კონგლომერატების შედგენილობის შესწავლა, ეს უკანასკნელი კი სპეციალურ, უაღრესად შრომატევად მუშაობას. მოითხოვდა „ქვარგვალების დათვლის“ მეთოდით. (ეს მეთოდი იმაში მდგომარეობს, რომ გარკვეულ ფართობზე ხდება გაშიშვლებიდან მთელი მასალის ჩამონგრევა და მისი დახარისხება ლითოლოგიურ ჯგუფებად; შემდეგ გამოითვლება მათი რაოდენობითი შეფარდებები).

ამგვარი მუშაობის ჩატარება მომიხდა მდ. ლეხურის აუზში 1950 წ. და შედგომი მეზობელ რაიონებში. ასეთი კვლევა რიგ შემთხვევაში მართლაც დამეხმარა შედგენილობის მიხედვით მიოპლიოცენური კონგლომერატების დელუვიონის გარჩევაში მეოთხეული ალუვიონის კონგლომერატებისაგან. მიუხედავად ამ მონაცემების შეზღუდულობისა, მათ შეუძლიათ ერთგვარი შუქი მოაფინონ მიოპლიოცენური კონგლომერატების დაგროვების საერთო პირობებსაც.

1950 წლის დაკვირვებები ძირითადად ქანების გაშიშვლებებისაგან და დელუვიონის 40 წერტილზე ჩატარდა.

ველზე შეგროვებული ნიმუშები მიკროსკოპულად შევისწავლე. აღწერილი იქნა 59 შლიფი.

საკვლევი ტერიტორიის მეტი ნაწილისათვის ღართისკარის კონგლომერატების ქვარგვალებში გაბატონებულია არკოზული ქვიშაქვა კარბონატული ცემენტით.

პეტროგრაფიული შედგენილობა გვაფიქრებინებს, რომ ეს ქვარგვალები ეოცენის გადარეცხვის ხარჯზე წარმოქმნილი; არ არის გამორიცხული მასალის ნაწილის წარმოქმნა ლიასის ქანების ხარჯზეც.


კონგლომერატების მეორე, არანაკლებ გავრცელებულ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს საშუალო და მსხვილკრისტალური კირქვა, მერგელოვანი კირქვა და მერგელი (ზედა ცარცისა და ზედა იურის ხარჯზე) და აგრეთვე კირქვის ბრექჩია, ანუ კლასტური კირქვა („ოორღული“).

ჩვეულებრივ, კონგლომერატებში უმნიშვნელო რაოდენობით გვხვდება ტუფბრექჩია, ტუფი (ეოცენი), ანანურის პორიზონტის კაჟები, ლიასის შავი ფიქლები, ზედაიურული რიფული კრისტალური კირქვა, ავგიტიანი და რქა-ტყუუარიანი პორფირიტი და დიაბაზი (შუა ეოცენი, ბაიკასი).

კონგლომერატების სხვადასხვა გამოსავლების შედგენილობის შედარება ნათელყოფს მისი შემადგენელი ძირითადი კომპონენტების შეფარდების ცვლას (ქვიშაქვა, კირქვა და პორფირიტი).

ღართისკარის კონგლომერატების გავრცელების განედურ ზოლში შეიძლება რამდენიმე მერიდიანული ზონის გამოყოფა, რომელიმე გაბატონებული კომინენტებიდან ერთი რომელიმე გაბატონებული. ამასთან ერთად ზოლის ჩრდილო ნაწილში აღინიშნება პეტროგრაფიული შედგენილობის კანონზომიერი ცვლა ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ, ამ მიმართულებით გასალის სიდიდის შემცირებასთან ერთად. ზოლის სამხრეთ ნაწილში ანალოგიური ცვლილებები ხდება სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ (ნახ. 1).

მომულობრივის დროს ტირიფონ-მუხრანის დეპრესიის მასალის მოდელის სკამა



ნახ. 1

გავეცნოთ დეპრესიის გარღივარდმო გავლებულ ჭრილებს თანამიმდევრობით, დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ.

ტირიფონის ველის დასავლეთ პერიფერიაზე აღმოსავლურ ფრონტს ნაპირებზე მიობლიოცენურ კონგლომერატებში ზოგჯერ დიდი რაოდენობით ( $30-40\%$ -მდე) წარმოდგენილია რქატყუარიანი პორფირიტები, რომლებიც ძლიერ შეცვლილი არიან მეორადი პროცესებით (ბაიოსი). მათთან ერთად კონგლომერატების შედგენილობაში ეოცენური და მიოცენური ქვიშაქვებიც მონაწილეობენ. გვხვდება აგრეთვე ზედაცარცული კირქვები და შერგელები, უფრო იშვიათად კვარცპორფიტი და ალბიტოფიტი.

კონგლომერატების შედგენილობა და მარცვლების სიდიდე ქვიშაქვებში ქ. სტალინირსა და სოფ. ბებნისზე გამოვალ ჭრილში შემდეგნაირად იცვლება: ჭრილის ჩრდილო ნაწილში ქ. სტალინირის მახლობლად (მიობლიოცენური ზოლის ჩრდილო ნაწილში) დიდი ლიახვის ხეობაში გაშიშვლებულ ღართისკარის კონგლომერატებს ანასიათებთ წყრილი ( $4 \times 5$  სმ) და იშვიათად საშუალო ზომის ( $5 \times 7$  სმ) ქვარგვალები. აქ კონგლომერატები შედგება ეოცენური არკოზული ქვიშაქვის ( $80\%$ ), სენონური კირქვისა და მერგელის ( $20\%$ ) ქვარგვალებისაგან. სამხრეთისაკენ ს. ს. ზემოხვითისა და ხელცეულის ტერიტორიაზე, ბურღვის მონაცემების მიხედვით, კონგლომერატების მასალის ზომა იზრდება და სოფ. ძლევისჯვრისა და ბრეთის ტერიტორიაზე ზოლის

სამხრეთ ნაწილში მსხვილ ლოდნარად იქცევა ( $0,5-0,6$  მ). ამ სოფლის უბანზე კონგლომერატის შედგენილობაში შესამჩნევ როლს თამაშობენ მაგმური ქანები, შესაძლებელია შუა ეოცენის ასაკისა<sup>1</sup>.

აღწერილი ჭრილის აღცისავლეთით სოფ. არწევისა და ახალდაბის ხაზზე ზოლის ჩრდილო ნაწილში მასალა წარმოდგენილია უპირატესად სენონის მარცვლოვანი და კლასტური კირქვებითა და მერგელებით. მათი რაოდენობა კონგლომერატში დაახლოებით თანაბარია  $28-30\%$ . რიყის ქვები გამოირჩევა დიდი ზომით ( $7 \times 10$ ,  $10 \times 15$  სმ), ხშირად გვხვდება ლოდები ( $10 \times 20$ ,  $15 \times 20$  სმ). საშუალო ზომის ქვარგვალებში არკოზული ქვიშაქვა მხოლოდ  $12\%$ -ს შეადგენს.

უფრო სამხრეთით სოფ. ქვერის ტერიტორიაზე (მიოპლიოცენური ზოლის შუა ნაწილი) სინქრონული ნალექები წარმოდგენილია ლოდნარ-კონგლომერატებით (ჭრილის აღწერილ ნაწილში რიყნარის კომპონენტების ზუსტი დათვლა არ წარმოებულა).

კონგლომერატების ჭრილის სამხრეთი დაბოლოება გვაქვს სოფ. ახალდაბის მიდამოებში ქ. გორის ჩრდილო-დასავლეთით (ზოლის სამხრეთი ნაწილი), მიოპლიოცენის ლოდნარ-კონგლომერატებში მსხვილი მასალა ( $15 \times 20$ ,  $20 \times 30$  სმ) შედგება არკოზული ქვიშაქვებისაგან ეოცენური და ლიასის თიხისა ( $79\%$ ). კირქვა და მერგელოვანი კირქვა შეადგენს  $20\%$  (ქვარგვალი უმთავრესად 5—6 სმ ზომისაა). კონგლომერატებში ხშირად გვხვდება თრიალეთის ჩრდილო ფერდობის ტურონისთვის დამახასიათებელი ცისფერი მერგელები და ტუფებრექჩიები.

აღმოსავლეთისაკენ სოფ. კიტრიულისა და ორჭოსანის ხაზზე კონგლომერატებში მასალის განაწილება შემდეგნაირია: ჩრდილოეთით ქედის უნაგირასთან, სადაც სოფ. კიტრიული მდებარეობს (ზოლის ჩრდილო ნაწილი), კონგლომერატის მსხვილი ქვარგვალები და ლოდები უმთავრესად შედგენილი ზედა სენონის მარცვლოვანი და მერგელოვანი კირქვისა და კლასტური კირქვისაგან. ქვიშაქვა აქ არ გვხვდება. სამხრეთ-აღმოსავლეთით სოფ. ბერშუეთის ახლოს მსხვილ ქვარგვალებში ( $15 \times 20$  და უფრო მეტი სმ)  $60\%$  მარცვლოვანი და კლასტური კირქვაა,  $15\%$  მერგელოვანი კირქვა და მერგელი და  $5\%$  ქვიშაქვა. ანალოგიური თანაფარდობა დაცულია სამხრეთითაც სოფ. ორჭოსანის მიდამოებში, მაგრამ მასალის სიდიდე აქ კლებულობს, მსხვილი ქვარგვალები სპორადულად გვხვდება. ჭრილის სამხრეთ ნაწილში ნადარბაზევის ტბის ტერიტორიაზე კონგლომერატის შედგენილობაში  $42\%$  არკოზული ქვიშაქვაა შუა ეოცენის ტიპისა,  $10\%$  თეთრი და ვარდისფერი ცარცის მერგელი (აქ გავრცელებულია ზომით საშუალო და მსხვილი მასალა, ზოგჯერ ლოდებიც),  $5\%$  პორფირიტი და კვარცპორტფირი,  $2\%$  ოოლითური, სარმატული ფაუნით გაჰედილი, კირქვა, იშვიათად ბრექჩია და კლასტური კირქვა. ქვარგვალების სიდიდე საშუალო და წვრილია.

(1) აღსანიშნავია, რომ ერთი ფენა მიოპლიოცენური წყვების ზედა ნაწილში მთლიანდ პლატფორმიტული მასალისაგან შედგება.

ამ ჭრილის უფრო აღმოსავლეთით სოფ. ზემოკურისა და საკორინთლოს ტერიტორიაზე (ზოლის ჩრდილო ნაწილი) კირქვა და მერგელოვანი კირქვა უკვე 50—54% -ს შეადგენს, არკოზული ქვიშაქვა კი 38—40% -ს; დანარჩენს შეადგენს ლიასის შავი ფიქლები, პორფირიტები და კაუები. გაბატონებული ქანების ქვარგვალები საშუალო და მსხვილი ზომისაა ( $7 \times 8,9 \times 10$  სმ).

შემდეგ, ლეხურის ნაპირებზე სოფ. იგორეთიძან მიოპლიოცენური ზოლის ჩრდილო კიდევებამდე გავრცელებულია წვრილი და საშუალო სიდიდის ქვარგვალებისგან შემდგარი კონგლომერატები და გრაველიტები (ქვარგვალის უდიდესი ზომა—10 სმ). შედგენილობა: ქვიშაქვა, კირქვა, მერგელი, მცირე რაოდენობით კლასტური კირქვა (ერცნი, ცარცი, ლიასი).

უფრო დაწვრილებით შესწავლილია ლეხურასა და ქსანს შორის მდებარე ტერიტორიის განივჭრილი. მის ჩრდილო ნაწილში სოფ. ვაკის მიდამოებში ერცნისა და ლიასის არკოზული ქვიშაქვა შეადგენს მასალის 94% -ს. ლოდნარ კონგლომერატში ( $10 \times 20$ ,  $20 \times 30$  სმ) საკმაოდ ხშირად გვხვდება 50—60 სმ ზომის ლოდები, კონგლომერატის წვრილი მასალა შედგენილია ცარცის მერგელებისა და ღორღული კირქვისაგან ( $6\%$ ).

კონგლომერატის აღწერილი გამოსავლების სამხრეთით შეიმჩნევა უკვე ქვიშაქვის ქვარგვალების შემცირება რაოდენობისა და სიდიდის მხრივ. მაგალითად, ს. ქვემო ჭალის მიდამოებში (დაახლოებით მიოპლიოცენურის ზოლის შუა ნაწილში) კონგლომერატებში  $80\%$  ქვიშაქვაა, ხოლო სამხრეთით—ლეხურის ხეობის ფერდობებზე, ქვიშაქვის შემცველობა კიდევ უფრო კლებულობს  $65—53\%$ ); უმცირეს რაოდენობას იგი აღწევს ღელე თორთლის მარჯვენა (ნაპირზე— $28—30\%$ ). შესაბამისად იზრდება კირქვიან-მერგელოვანი ქვარგვალების რაოდენობა. მასალის სიდიდე ასევე მცირდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ. სოფ. ქვემო ჭალის სამხრეთით ლოდები იშვიათად გვხვდება და მათი სიდიდე არ აღემატება  $20—25$  სმ-ს<sup>(1)</sup>.

სოფ. იგორეთის სამხრეთით (ზოლის სამხრეთი ნაწილი) ლეხურის ორივე ნაპირზე, ისევე როგორც აღმოსავლეთისაკენ სოფ. ოკამის მიდამოებში, ღართისკარის წყებაში ქვიშაქვის ქვარგვალების შემცველობა ისევ მატულობს  $70\%$ -მდე. ამ შედგენილობის მასალა მსხვილია და ზოგჯერ შეიცავს ლოდებს; დანარჩენი მასალა კირქვებისა და მერგელებისაგან შედგება.

აღწერილი განივცეთის სამხრეთ ნაწილში კონგლომერატების მასალაში შეგხვდა ვიტროფირული ტუფი, რომელიც თრიალეთის ჭინამობის ერცნისათვის არის დამახსიათებელი.

ჭრილის ქვედა ნაწილში ლეხურის ქვემო წელში ნაცხორის წყების საზღვარზე მასალა საშუალო ქვარგვალებისაგან შედგება ( $5 \times 7$ ,  $7 \times 10$  სმ).

დეპრესიის აღმოსავლეთ ნაწილში ქსნისა და არაგვის ნაპირებზე კონგლომერატების შედგენილობა მხოლოდ იშვიათ აღგილებშია შესწავლილი.

(1) უნდა აღინიშნოს, რომ ს. ქვემო ჭალის მიდამოებში გამოდის მიოპლიოცენის ქვედა ჰორიზონტები. აქედან ცადია, რომ მოყვანილი ფაქტი არ მიუთითებს მის ცვლაზე ჰორიზონტული მიმართულებით.



მდინარე ქსანზე სათიბის ქედის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობზე უკარგრაფული ქსოვრისის ახლოს (ზოლის ჩრდილო ნაწილი) კონგლომერატების ქვარგვალებიდან 65% ეოცენური ტიპის არეაზული ქვიშაქვაა (მასალის სიდიდე: 15×20, 20×25 სმ, ზოგჯერ 35×40 სმ). ზ. ცარცის მერგელი და მერგველური კირქვი 20%, 10% ლუზიტანურის კირქვი (საშ. და მსხვილი ზომისა). დანარჩენი ქვარგვალები სენონის კლასტური კირქვის, ლიასის შავი ფიქლებისა და ანანურის კაეგებისაგან არის შედგენილი. კონგლომერატების ჭრილში ქსნის ნაპირზე, აღწერილი ადგილის ცოტა ჩრდილოეთით, ქვიშაქვის ქვარგვალების რაოდენობა მატულობს, ხოლო რიფული „ლუზიტანური“ კირქვა აქ აღარ გვხვდება.

სათიბის ქედის აღმოსავლეთ გაგრძელებაზე მისაქციელის მთის ფერდობზე შეიმჩნევა ღართისკარის კონგლომერატების ანალოგიური ცვლა.

ზოგიერთი მერიდიანული ზოლის გასწვრივ აღინიშნება კირქვისა და შერგელის მასალის (ჩვეულებრივად მცირე ქვარგვალების) რაოდენობის ზრდა, რაც მიმდინარეობს ეოცენური ქვიშაქვების ქვარგვალების ზომისა და რაოდენობის შემცირებასთან ერთად. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას ამ ქანების გამოფიტების სხვადასხვა ხარისხით: ეოცენური ქვიშაქვები უფრო მაგარია<sup>(1)</sup>, ძნელად იმსხვრევა და იფიტება, მაშინ რაოდესაც შედარებით ადვილად მხსევრევადი მერგელოვანი კირქვები და მერგელები უფრო წვრილ მასალის იძლევიან. უკანასკნელს შესაძლებლობა ჰქონდა ხრამების გასწვრივ დიდ მანძილზე გადაადგილებულიყო. ამასთან ამ მასალის შეფარდებითი რაოდენობა მეტი იქნება ამ ხრამების ქვემი ნაწილში.

როგორც ჩანს, მასალის ტრანსპორტს ხელს უწყობდა აგრეთვე კირქვისა და მერგელების ნაკლები ხედრითი წონა. სქემაზე (ნახ. 1) ვხედავთ, რომ, მაგალითად, ქვიშაქვის ქვარგვალები არავის მარჯვენა ნაპირზე მოტანილია გადაარცხვის ახლო ზოლიდან, კირქვა-მერგელები კი უფრო შორიძან. რაც შეეხება ლეხეურის მარცხენა ნაპირის კონგლომერატებს, შესაძლებელია მათი დალექვა ხდებოდა რელიეფის დანაწევრების სხვაგვარ პირობებში.

ღართისკარის წყების შესწავლის მოყვანილი შედეგები დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა:

1. მიოპლიოცენური კონგლომერატების განვითარების ფართო ზოლში ნალექების საერთო ლითოლოგიური ხასიათი თითქმის არ განიცდის ცვლას, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ცალკეულ შრეებში ხშირ ფაციესურ ცვალებადობას, ლინზებრივ წოლის ფორმებს და ხლართულ შრეებრიობას, რაც ამ ნალექებისათვის არის დამახასიათებელი;

2. კონგლომერატების წყების აღმავალ ჭრილში შეიმჩნევა მასალის სიდიდის ზრდა;

3. კონგლომერატების გავრცელების არეში გარკვეული პეტროგრაფიული მასალის პროცენტული შედგენილობის მიხედვით გამოიყოფა რამდენიმე

(1) რაზივალის აზრით, ქვიშაქვის სიმაგრის ხარისხია 7—42, ხოლო კირქვისა 0,4—5,1 (კორუნდის სიმაგრის მეთასედ ნაწილებში).

მერიდიანული ზოლი, რომლებიც განსხვავდებიან ერთიმეორისაგან ამ მიზანთ  
თულებით მასალის პეტროგრაფიული შედგენილობისა და რაოდენობის ცვა-  
ლებადობით. შემოტანილ მასალაში გაბატონებული კომპონენტების რაოდე-  
ნობა დეპრესიის ჩრდილო კიდეზე მცირდება ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ,  
ხოლო სამხრეთ კიდეზე—სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ;

4. რაოდენობის მხრივ გაბატონებულ კომპონენტებს ჩვეულებრივ აქვთ  
უდიდესი ზომა, რომელიც ჭრილის შესაბამისი ნაწილის შედგენილობაში ამ  
კომპონენტების რაოდენობის შემცირებასთან ერთად მცირდება;

5. კონგლომერატების წყების სისქე, ისევე როგორც ქვეშ მდებარე ნა-  
ცხორის წყების სისქე, თანდათან იზრდება დასავლეთიდან აღმოსავლეთისა-  
კენ. ამასთან ერთად მიოპლიოცენის ზოლის სამხრეთ ნაწილში სისქე მეტია;

6. დეპრესიის ჩრდილოეთით, სამხრეთით და დასავლეთით მდებარე ხმე-  
ლეთის კონტურები მიოპლიოცენის დროს საერთოდ ძველი ფორმაციების  
(მესამეული, ცარცული და იურული) აწინდელი გამოსავლების მდებარეობის  
ახლოს უნდა ყოფილიყო;

7. ბურღვის მონაცემების მიხედვით, საკუთრივ ტირიფონ-სალთვისის  
ველის ფარგლებში აღინიშნება ლითოლოგიური შედგენილობის საგრძნობი  
სხვადასხვაობა მთელი დეპრესიის საერთო ხასიათთან შედარებით. ტერიგე-  
ნული მასალის რაოდენობა და სიდიდე აქ დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ  
მცირდება.

ზემოთ მოყვანილი ცნობების მიხედვით, საკულევ რაიონში ღართისკა-  
რის (მიოპლიოცენის) კონგლომერატების დაგროვება შეიძლება შემდეგნაირად  
იქნება წარმოდგენილი: ტირიფონ-მუხრანის დეპრესიის კონგლომერატების  
ზოლის წარმოქმნა ამ ნალექების მდინარეთა ქსელისა და დროებითი ნაკადე-  
ბის მიერ აკუმულაციისა და გადალექვის შედეგია. წყლის ეს ნაკადები იმ  
ძირითად არტერიას ერთოდნენ, რომელიც მიედინებოდა მიოპლიოცენური  
ზოლის გასწრების სამხრეთ ნაწილთან ახლოს, რასაც მოწმობს მასში მასალის  
სიდიდის ზრდა. ამ ზოლიდან ჩრდილოეთისკენ და სამხრეთისკენ ტერიგე-  
ნული მასალა სხვადასხვა ძალის ნაკადებს ჩამოქონდა, ამიტომ მასალის  
ტრანსპორტის პირობები სხვადასხვაგარი უნდა ყოფილიყო. ს. ვაკის მიღა-  
მოებში დიდდალი მოზრდილი ლოდების დაგროვება შეიძლება წარმოვიდგი-  
ნოთ როგორც ერთ-ერთი მძლავრი გვერდითი ხეობის გამოტანის კონუსი.  
ჩრდილო ფერდობიდან უმთავრესად ეოცენისა და ლიასის არკოზული ქვი-  
შაქების მასალა მოღიოდა. ამის გარდა ირეცხებოდნენ ზედა ცარცის კირ-  
ქვები, მერგელები და კლასტური კირქვებიც. ნაწილობრივ ხდებოდა ზედაიუ-  
რული კირქვების, ლიასის ფიქლების, ბაიოსის პორფირიტებისა და სენომა-  
ნური კაუების გადარეცხვა<sup>(1)</sup>.

ლიასის ფიქლები, რომლებიც კონგლომერატების ქვარგვალებს იშვია-  
თად იძლევიან, უხვადაა წარმოდგენილი ამ ქანების ცემენტის წვრილმარცვ-  
ლოვან ფრაქციაში.

<sup>(1)</sup> მითითება [1] ჩრდილოეთიდან დეპრესიის ამ ნაწილში მხოლოდ იურული კირქვებისა  
და პორფირიტების შემოტანაზე მეტად სქემატური ჩანს.



არკოზული ქვიშაქვა და კირქვა კონგლომერატების ზოლის დასავლეთი დაბოლოებისთვის მთავარი კონპონენტებია, მაგრამ მათ ემატება პორფირი-ტები, კვარცპორფირები და ალბიტოფირები. ეს მასალა ძირულის მასივის აღმოსავლეთი ჰერიტერიიდან არის მოტანილი.

მითლიოცენური ზოლის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ქვარგვალებში ზოგან ზედა ცარცის კირქვები ჭარბობს, ზოგან კი ორიალეთის ქედის ეოცენის არკოზული ქვიშაქვები. პორფირიტები აქ ხშირად ხვდება. აღინიშნება ორიალეთის ქედის ტიპობრივი მასალაც: ტურონის მშვანე მერგელები, უფრო იშვიათად ტუფოგენური ქანები და ვიტროფირული ტუფები (მონაცემები ღართისკარის წყების შესახებ ამ უბანზე არ არის საქმარისი და შემდგომ შევსებულ უნდა იქნეს).

მიოპლიოცენური ზოლის კონგლომერატების დაგროვება, რაც წარმოებდა მტკნარი წყლის ძირითადი ნაკადისა და მისი შენაკადების ქსელის (მათ ქვემო ნაწილებში) მონაწილეობით, დეპრესიის ღერძული ნაწილის ტექტონიკური დაძირვის პირობებში მიმდინარეობდა, დაძირვის ტენდენცია კი ნაცხორის შრეების (*Smt<sub>3</sub>*) დალექციის დროიდან არის მემკვიდრეობით მიღებული. იგი თავის მხრივ (დალექციის ჩემითან ერთად) გადაეცა მეოთხეულ დროსაც. მაგრამ ტირიფონის აუზის აღმოსვლებით ნაწილში მასალის აკუმულაციის სისწრაფე არ შეესაბამებოდა ფსკერის ჩაზნექას და ამიტომ ამ მიმართულებით ტერიგენული მასალა როგორც რაოდენობის, ისე სიდიდის მხრივ მკირდება.

მიოპლიოცენური დეპრესიის დერძულ ნაწილში შედარებით უდიდესი დაძირვის არე აღმოსავლეთით იმყოფებოდა—მუხრანის ველის ფარგლებში და, ეტყობა, ამ მიმართულებით მიედინებოდა მტკვრის წინამორბედი წყლის ნაკალი, რომელიც თავის მხრივ ერთოდა ლაგუნის ტრატს, უკანასკნელი კი მდინარეული გამონატანის დაგროვების შედეგად თანდათან იხევდა აღმოსავლეთით (ა. ჯანელიძე) ტირიფონისა და მუხრანის ველების გამყოფი იგორთის ამაღლების ტერიტორიაზე. ლართისკარის წყების ზედა ნაწილის გადარეცხვა უკვე გვიანი, ალბათ ძალიან ახალგაზრდა, მოვლენა უნდა იყოს.

საქართველოს სსრ მცნიერებათა აკადემია  
გეოლოგიისა და მინერალოგიის ინსტიტუტი  
თბილისი

(ରୂପାଖ୍ୟତ ମନ୍ଦିର 4.5.1955)

Digitized by srujanika@gmail.com

ମୁଖ୍ୟ ପରିକାଳିକା ମହିନେରେ

ପ୍ରାଚୀନ ଜ୍ଞାନକାଳୀନ ଲୋତିଆଙ୍କାଶକା

1. И. А. Преображенский, С. Г. Саркисян. Минералы осадочных пород. «Основные черты палеогеографии третичного времени Восточной Грузии», 1954, стр. 424.

### პალეონტოლოგია

ლ. ფავოთაშვილი

(საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი)

## შავი ზღვის აუზის ფაუნის განვითარება პლიოცენის განვალიობაში

შავი ზღვის პლიოცენის ტბიურ-ზღვიური ნალექები საკმაოდ წვრილ სტრატიგრაფიულ ერთეულებად დანაწილების საშუალებას იძლევა. პონტური, კიმერული, კუიალნიკური სართულებისა და გურიული ჰორიზონტის გამოყოფა პალეონტოლოგიურად კარგადაა დასაბუთებული უბირატესად ჩვენი ქვეყნის მეცნიერთა შრომების მიხედვით. გარდა ამისა, ამ ადგილების ზოგიერთ ნაწილში დადგენილია ორჩაგიური სართულის (ტამანის შრების) არსებობა. შესაძლებელია აგრეთვე, რომ პლიოცენის ეკუთვნის ჩაუდური სართულიც. დაბოლოს, შესაძლებლად მიგვაჩნია პლიოცენის ზემოთ ჩამოთვლილი წევრების უფრო წვრილ ერთეულებად დანაწილება.

ამ სტატიაში შევეცდებით პასუხი გავცემ კითხვას: ხომ არ არის ბენტონური მოსახლეობის ისტორიულ განვითარებაში წყეტა პონტური საუკუნიდან პლიოცენის დასასრულადმდე? სხვანაირად—შეიმჩნევა თუ არა სრული თანამომღევნობა ფაუნათა შორის მოელი ამ დროის განმავლობაში, შეიძლება თუ არა ლაპარაკი შავი ზღვის ღრმულის ტბიურ-ზღვიური აუზის ბენტონის ფაუნის განვითარების ერთიან ნაკადზე, დაწყებული პონტურიდან ჩაუდურადმდე?

პონტურისა და ჩაუდურის ფაუნათა შორის თანამომღევნობის საკითხი დიდი ხანია დადგებითადაა გადაჭრილი; მაგრამ უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა მოგვცა ახალი და განსაკუთრებული საბუთები, ერთი მხრივ, პონტურის მრავალი სხის უმჭიდროესი კავშირისა და, მეორე მხრივ, კიმერიულის სახეთა შორის კავშირის შესახებ. ეს ახალი ფაქტები მათ შორის გარდამავალი ფორმების არსებობაზე მიუთითებს. ეს მონაცემები სრული დამაჯერებლობით აღვენენ მკვეთრად მოხაზული კიმერული ჯგუფის, მაგალითად გვარ *Stenodacna Andritus*-ის, განვითარებას უდავო პონტური ფორმებისაგან. კიმერიულში შემოინახა პონტურში არსებული ზოგიერთი სახე, ხოლო სხვა კიმერიული ფორმები წარმოიშვნენ პონტურ საუკუნეში მცხოვრები წინაპრებისაგან. პონტურსა და კიმერიულს შორის არ არსებულა დროის ისეთი შუალედი, რომლის მანძილზე შავი ზღვის ღრმული დასახლებული ყოფილიყო პონტურთან გენეტურად დაუკავშირებელი ფსკერის ფაუნით.

იგივე ითქმის კიმერიული და კუიალნიკური ფაუნის ურთიერთკავშირის შესახებ. მართალია, ფაუნა ოდესის არეების კუიალნიკური სართულისა, ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულებისა და ჩრდილო-დასავლეთი კავკასიის წინა მხარისა მთლიანად საკმაოდ მკვეთრად განსხვავდება კიმერიული სართულის



ფაუნისაგან, მაგრამ სამაგიეროდ საქართველოს სსრ დასავლეთი ნაწილის (აფხაზეთისა და განსაკუთრებით გურიის) ფაუნა უდავო კიმერიული ფესვის მრავალ ელემენტს შეიცავს, კუიალნიკურის ასეთი ზოგიერთი ფორმა აღნიშნული იყო ნ. ანდრუსოვისა და ნ. ყიფიანის მიერ; მაგრამ ასეთი სახეების რიცხვი ძლიერ გაიზარდა საბჭოთა პალეონტოლოგების—ა. ებერზინის, გ. ჭელიძის, ლ. გიბუნიას, ლ. დავითაშვილის და სხვათა განოკვლევებით. ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ კუიალნიკურ საუკუნეში არსებობას განაგრძობდა კიმერიული კარდიდების მრავალი ძირითადი ჯგუფი. კარდიდები კუიალნიკურში, ჩვენი მომარილიანობაზე წყლების პლიოცენის მოღუსეთა ეს მნიშვნელოვანი ოჯახი, წარმოდგენილი იყო მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი კიმერიული ფორმებით; ამ ნალექებში მოიპოვებიან აგრეთვე მტკნარი წყლის წარჩოშბის კიმერიულისათვის დამახასიათებელი დრეკისენსიდებისა და მუცელთფეხიანების შთამომავალნი.

გარდა ამისა, ზოგიერთი ჯგუფი და ფორმა, რომლებიც წინათ ცნობილი იყო მხოლოდ კუიალნიკურიდან, კიმერიულშიც აღმოჩნდა. მაგალითად, მუცელ-ფეხიანთა ჯგუფები *Viviparus mandarinicus* Sen., რომლებიც პირველად აღ-წერილი იყო დასავლეთ საქართველოს კუიალნიკური ნალექებიდან, სადაც ისინი ხშირი და ამ ტერიტორიის კუიალნიკურისათვის დანახასიათებელი არიან, ახლა იმავე არეაბის კიმერიულ ნალექებშიც არიან აღნიშნული. აღ-სანიშნავია, რომ ამიერკავკასიის კუიალნიკური სართულის ფაუნა შედგენილობის მიხედვით უფრო ახლოსა დგას იმავე ტერიტორიის კიმერიული სართუ-ლის ფაუნასთან, ვიდრე ჩრდილო უბნების კუიალნიკურ ფაუნასთან. ეს ფრიად საინტერესო მოვლენაა შავიზღვა—კასპიის აუზის ნეოგენური პალეოზოგეო-გრაფიის თვალსაზრისით.

ამრიგად, ჩრდილო და განსაკუთრებით ჩრდილო-დასავლეთის ფაუნისტურა კომპლექსი ძლიერ მკვეთრად განსხვავდება სამხრეთ-აღმოსავლეთის კუთხიალნი-კურისაგან: საქართველოს კუთხიალნიკურ ფაუნაში მოლუსკთა სახეები რამდენ-ჯერმე უფრო მრავალრიცხვანია და უფრო მჭიდრო გენეტურ კავშირს ამჟ-ლავნებს წინამორბედ კიმერიული საუკუნის ფორმებთან, ვიდრე ჩრდილოეთით მდებარე კუთხიალნიკურის გავრცელების ყველა სხვა უბნის ფორმებთან. ასეთმა მკვეთრმა განსხვავებამ შავი ზღვის აუზის სხვადასხვა ადგილის კუთხიალნიკური ფორმების კომპლექსთა ხასიათისამ, შეიძლება ეჭვი გამოიწვიოს, რომ ეს კომპლექსები სავსებით ერთდროული არ არიან, ხომ არ შეიიღება, მაგალითად, წარმოვიდგინოთ, რომ დღევანდლანდე შესწავლილ, ფაუნისტურად დახსაია-თებული, საქართველოში კუთხიალნიკურისადმი მიკუთვნებული ნალექები ამ სართულის ქვედა ნაწილს ეკუთვნოდეს, ხოლო კუთხიალნიკური ფაუნის შემცველი ოდესის, თვით ყირიმისა და კავკასიის წინა ნაწილის ჩრდილო-დასავლეთი რაიონების ნალექები—ზედა კუთხიალნიკურს? შესაძლებელია ჩვენ კიდევ უფრო შორს წავიდეთ, დავუშვათ კიმერიულსა და კუთხიალნიკურს შორის რაღაც განსაკუთრებული პორიზონტის ასებობა და ამ პორიზონტს მივაკუთვ-ნოთ კუთხიალნიკურად დათარიღებული გურიის ნალექები და მათი ცხადი ეკვივალენტები აფხაზეთში—ის შრეები, სადაც მრავლად მოიპოვება პონ-ტურისა და კიმერიულისათვის დამახასიათებელი ჯგუფების კიმერიული სუ-

პერსტიტები? ასეთი ვარაუდი ერთი შეხედვით სავსებით დამაჯერებულ გამოიყურება; მაგრამ ეს არ არის სწორი. შავი ზღვის არების პლიოცენში ცნობილია მომენტები, როდესაც ამ აუზის ესა თუ ის ნაწილები ერთი-მეორისაგან ზოოგეოგრაფიულად შესამჩნევად გამოიჩინეოდა. კიმერიულ საუკუნეში ე. წ. დუაბური ფაუნა მკვეთრად განსხვავდებოდა ქერჩისა და ტამანის ნახევარკუნძულთა ფაუნისაგან. თვით ქერჩის ნახევარკუნძულის ფარგლებშიც შემჩნეულია ცალკეული ადგილების ორიქტოცენოზების მნიშვნელოვანი ზოოგეოგრაფიული თავისებურებანი. სხვადასხვა უბნების მეტ-ნაკლები ზოოგეოგრაფიული თავისებურება დასტურდება ჩვენი ნეოგენის ყოველი პორიზონტისათვის, ყოველ შემთხვევაში, დაწყებული ჩორაკულიდან, და ამ ფაქტს ანგარიში უნდა გაეწიოს. მართალია, რომ იმ შერთა ფაუნის ზოოგეოგრაფიული განსხვავებანი, რომელთაც ჩვენ კუიალნიკურ სართულს ვაკუტვნებთ, განსაკუთრებით მკვეთრადაა გამოსახული, უფრო მკვეთრად, ვიდრე კიმერიულისა და პონტურის ყოველი ადგილსამყოფელისა, მაგრამ აქ ჩვენა გვაქვს მაინც ზოოგეოგრაფიული, და არა ქრონოლოგიური ხასიათის განსხვავებანი. ეს დასტურდება იმ ფაქტით, რომ სამხრეთის ტიპის ზოგიერთი კუიალნიკური ფორმა ფილოგენეტურად მჭიდროდაა დაკავშირებული კიმერიულის ტიპობრივ ფორმებთან კერძოდ *Didacna medea* Dav., *Limnocardium (Euxinicardium) misargyridae* Dav., *Natella cf. postduabica* Dav., *Chartoconcha postcimmerica* Dav., *Dreissensia colchica* Kip. არსებობას განაგრძობდნენ შავი ზღვის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გურიული საუკუნის გარკვეული დროის განმავლობაში [1]. სავსებით დასაშვებია, რომ ეს უბანი გამოცალკევებული იყო დანარჩენი ტბა-ზღვისაგან რაღაც წყალქვეშა მაღლობით ან კუნძულთა ჯაჭვით; მაგრამ ამავე დროს სახეთა გეოგრაფიული განაწილებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა ჰქონდა ნაწილობრივ სამხრეთისა და ჩრდილოეთის კლიმატურ სხვაობას, ნაწილობრივ აუზის ჩრდილო ნაწილების რამდენადმე მეტ გამტკნარების მდინარეთა წყლებით, რომელიც უპირატესად რუსეთის პლატფორმიდან მოედინებოდნენ. თუ კუიალნიკურ საუკუნეში ერთგვარი აცივება დაიწყო შედარებით კიმერიულთან, ეს აცივება უფრო მკვეთრი ჩრდილოეთით იყო, ვიდრე სამხრეთით. ამ დებულებას ადასტურებენ ფ. მჭედლიშვილის პალეობოტანიკური გამოკვლევები.

ძნელი სათქმელია, თუ რით იყო ძირითადად გამოწვეული კუიალნიკური ფორმების გადაშენება. მაგრამ შეიძლება ვიგარაუდოთ, რომ კუიალნიკურში დაწყებული აცივება გურიულ საუკუნეშიც გრძელდებოდა. შესაძლებელია, რომ გურიული აუზის ტიპობრივი ფორმები უფრო სიცივის ამტანი იყვნენ, ვიდრე კუიალნიკურის ტიპობრივ სახეთა უმეტესობა. ამ საუკუნეთა საზღვარზე შესაძლოა მარილიანობის ერთგვარი შემცირება ხდებოდა და შესაძლოა ამან გამოიწვია კიმერიული სახეებისაგან წარმოქმნილი კუიალნიკური მრავალი ფორმის გადაშენება. ის გარემოება, რომ გურიულმა ფორმებმა შეძლეს ჩრდილოეთით გაერცელება (ქერჩის ნახევარკუნძული, სემ ქოლოდეზე), ხოლო მათი უდავო შთამომავალი ჩაუდურ დროში დასახლდნენ უზარმაზარ სივრცეზე გალიბოლიდან ქერჩის ნახევარკუნძულამდე და შემდეგ კიდევ უფრო

შორს აღმოსავლეთისაკენ, —გურიული პორიზონტის ძირითადი ელემენტების შედარებითი სიცივისამტანობის სასარგებლოდ ლაპარაკობს. კუიალნიკური სუპერსტიტების ურთიერთდამოყიდებულება გურიული საუკუნის ტიპობრივ ფორმებთან, რომლებიც უკეთ იყვნენ შეგუებული გურიული აუზის პირობებთან, მეორეთა სასარგებლოდ მიმდინარეობდა. ახალი, გურიული ფორმები მჭიდროდ საზღვებოდნენ ფსკერის სათანადო უბნებზე, მიერეკებოდნენ იქიდან კუიალნიკურ სუპერსტიტებს და ხელს უწყობდნენ ამ უკანასკნელთა გადაშენებას.

ჩვენ უკვე აღნიშნეთ, რომ გურიულ აუზში ვარკვეული დროის მანძილზე განაგრძობდნენ არსებობას კუიალნიკური სახეები. ზოგიერთი ასეთი კუიალნიკური რელიქტის, ანუ სუპერსტიტების ნიუარებს, რომლებიც გურიული საუკუნის აუზებში ცხოვრობდნენ, კუიალნიკური შრეების სათანადო ფორმებთან შედარებით ჩვენ ვერავითარ არსებით ცვლილებებს ვერ ვამჩნევთ. ზოგიერთ მათგანს ემჩნევა ერთგვარი შორთოლოგიური ცვლილება, ზოგი კი საგრძნობლად შემცირებული თავის კუიალნიკურ წინაპრებთან შედარებით. ასეთია, მაგალითად, *Didacna medea* Dav. რომლის ერთი საგდული აღმოჩნდა 6. ყიფიანის გურიულ მოლუსკითა კოლექციაში, საქართველოს მუზეუმში, თბილისში. თუ ზრდის უხეში რგოლების რიცხვისა და ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ეს ნიუარია ეკუთვნობა ზრდადამთავრებულ ინდივიდუმს, სიღიღით კი ის გაცილებით უფრო პატარაა, ვიდრე იმავე ასაკის მრავალი სხვა ნიმუში, რომელიც ჩვენ გვიგროვებია გურიაში ანდა შეგვხვედრია კოლექციებში. ეს იყო, აღბათ, ამ სახის უკვე ჯუჯა ფორმა. საგებით სარწმუნოა, რომ მცირედ შეცვლილი ან სრულიად შეუცვლელი კუიალნიკური პორიზონტის ფორმები გურიული საუკუნის აუზში მეტ-ნაკლებად „დაჩაგრული“ იყვნენ და გადაშენების გზას აღვნენ. ისინი საბოლოოდ გადაშენდნენ, აღბათ, გურიული საუკუნის დასასრულმადე ბევრად უფრო იდრე.

რაც შეეხება გურიული პორიზონტის კარდიდების ოჯახის უფრო ფართოდ გავრცელებულ ფორმებს, ეს ჯგუფი „*Didacna*“ (ანუ „*Monodacna*“) *digressa* Liv. ფართო გაგებით, მიუხედავად თავისი შედარებითი მრავალფეროვნებისა, ერთი ფორმის შთამომავლად მიგვაჩნია. ეს ფორმა, აღბათ, ეკუთვნის კუიალნიკური კარდიდების მრავალრიცხვოვან ჯგუფს—*Didacnomyia vulgaris* Sinz.-ს. იმის შემდეგ, რაც კუიალნიკური მოლუსკების კარდიდების ზოგიერთი ოჯახი სავსებით ამოწყდა, ხოლო ზოგიერთი მცირე რაოდენობით მხოლოდ ცალკეულ უბნებზე გადარჩა, *Didacnomyia vulgaris* ჯგუფის დიდაკნობებმა კარგად გადაიტანეს კრიტიკული მომენტი და ხელსაყრელ ბიოტურ პირობებში აღმოჩნდნენ: მათ წინ გადაიშალა საქმაოდ ვრცელი, შედარებით თავისუფალი ზღვიური ფსკერის სივრცე და, მრავალ, ეს ფსკერის ორგანიზმები მოხვდნენ ისეთ პირობებში, რომლებიც განსაკუთრებით ხელსაყრელია შეგუებითი რადიაციისათვის,—მრავალნაირი იდაპტიური მიმართულებებით სწრატი ევოლუციისათვის. ძნელია სრული დამჯერებლობით ითქვას, თუ სახელდობრ რამ შეუწყო ხელი გურიული პორიზონტის ამ წინაპარ დიდაკნობიებს, კარგად გადაეტანათ აბიოტური პირობები, რომლებიც კუძალნიკურ

და გურიულ საუკუნეთა მიჯნაზე მოხდა. თუმცა შესაძლებელია, რომ ამ შემთხვევაში გადამწყვეტი ფაქტორს წარმოადგენდა ამ ფორმების ერთ-ერთი დამახასიათებელი ეკოლოგიური ნიშან-თვისება: ისინი ეფლობოდნენ ნალექში და, მაშასადამე, ენდობიოსს ეკუთვნოდნენ: ხოლო ასეთი ფორმები სხვა თანაბარ პირობებში ჩვეულებრივ უფრო ადვილად იტანენ ჰიდროლოგიური პირობების შევეთრ და სწრაფ ცვლილებებს, ვიდრე ის მოლუსკები, რომლებიც გრუნტის ზედაპირზე ცხოვრობენ და, მაშასადამე, ეპიბიოსს ეკუთვნიან (აღვნიშნავთ, რომ არა ყველა ფორმა, რომლებსაც *Didacnomya*-ს აკუთვნებენ, ენდობიონტია. საკმარისია აღვნიშნოთ, რომ ასეთი არ შეიძლება ყოფილიყვნენ იმავე, კუიალნიკურ საუკუნეში ცნობილი სახის *Didacnomya phasiaca* Dav.-ის წარმომადგინლები).

იმის შემდეგ, რაც *Didacnomya vulgaris*-ის ჯგუფის გურიული ფორმების წინაპრებმა გადაიტანეს შავი ზღვის აუზის რეენიმის მძაფრი შეცვლის ხანა, ისინი სხვადასხვა მიმართულებით ვითარდებოდნენ და დასაბამი მისცეს როგორც სუსტად ამოზნექილ, მეტ-ნაკლებად მკრთალი წიბოების მქონე, შედარებით ბრტყელ ფორმებს, რომელთაც შეეძლოთ ენდობიონტური ცხოვრების პირობების განვრძობა, ისე ეპიბიონტურ ფორმებს, რომელთა შორის გაჩნდნენ საკმაოდ დიდი და ამოზნექილი, სქელკედლიანი ნიერის მქონე ფორმები.

მაგრამ მალე ამ ფორმების გვერდით, რომელიც ერთი ფესვიდან იყვნენ წარმოქმნილნი, ფართოდ გავრცელდენ სხვა კარდიდებიც, რომელთა წარმოშობა ჯერ კიდევ არ შეიძლება საცხებით გარკვეულად ჩაითვალოს. ეს უპირველეს ყოვლისა, *Submonodacna hellespontica* Andrušs.-ის ჯგუფის ფორმებია, რომელიც განავრძობდნენ არსებობას მომდევნო ჩაუდურ საუკუნეში და ჩაუდურის ფაუნის ერთ-ერთ დამახასიათებელ ელემენტს წარმოადგენენ.

მაშასადამე, გურიული ფაუნა უწყვეტადა დაკავშირებული კუიალნიკურ ფაუნასთან; თუმცა პირველის ზოგიერთი წარმომადგენელი ჯერჯერობით თითქოსდა კრიპტოგენულად გვეჩვენება, საცუძველი არა გვაქვს ვამტკიცოთ, რომ მათი წინაპრები ნაპოვნი არ იქნებიან მეორის კომპონენტთა შორის.

ამრიგად, გურიულ საუკუნეში უკვე გაჩნდნენ ახალი ელემენტები, ფორმები, რომლებიც განავრძობდნენ განვითარებას ჩაუდურ საუკუნეში, როგორც ჩაუდური ფაუნის წინამორბედნი გურიულ აუზში. ასეთ ფორმებს უნდა მიეკუთვნონ აგრეთვე დრეისენსიდების ზოგიერთი წარმომადგენელი და, გარდა ამისა მუცელთევებიანთა გვარი *Meganninia*, რომლის სახეები პირველად ნაპოვნი იყო გურიის ჩაუდურ პირიზონტში; უკანასკნელ ხანებში ჩვენ ამ გვარის ახალი სახე ვიპოვეთ გურიის გურიულ ნალექებში.

მჭიდრო კავშირი გურიულ და ჩაუდურ ფაუნებს შორის საცხებით უდავოა. ს. ილინი და ა. ებერზინი აღნიშნავდნენ ამ პირიზონტებს შორის გარდამაგალი ნალექების არსებობას. გ. კვალიაშვილმა [1] დიდი ხანი არაა, რაც გამოაქვეყნა ახალი მონაცემები ამ შრეებისა და მათი ფაუნის ხასიათის შესახებ. გურიული და ჩაუდური პირიზონტების კარდიდების შესწავლამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ფრიად დამახასიათებელი ჩაუდური ფორმა „*Didacna tschoudae*“ წარმოშობილია გურიული მოლუსკების „*Didacna digressa*“ ჯგუფი-

საგან. ვადასტურებთ ამ დასკვნას და ფიქრობთ, რომ ჩაუდური „*Didacna tschaudae*“ უნდა განხილულ იქნეს როგორც ახალი გვარის *Tschaudae gen. nova*-ს ტიპი. ამ სახის წარმომადგენლები ინდივიდუალური ცვალებადობის მაღალ დონეს ამჟღავნებენ. აქ უნდა გავარჩიოთ რამდენიმე სახესხვაობა. „*Didacna tschaudae*-ს გარდა არსებობდენ სხვა, მასთან ახლოს მდგომი სახეები. ჩაუდური *Meganninia corrugata* Dav. ნახსენები გურიული სახის უდავო მონათესავეა და, ალბათ, მისგან არის წარმოშობილი. მოლუსკების ევროლუციის ტემპები ჩაუდურ საუკუნეში შესაძლოა უფრო დაბალი როდი იყო, ვიდრე კიმერიულ საუკუნეში, როდესაც ფირფიტლაუქიანთა მრავალი ახალი სახე განვითარდა.

თუ, მიუხედავად ცვალებადობისა და სახეთა წარმოქმნის მაღალი ტემპებისა, გურიული და ჩაუდური შრეები ისე უხვად არ შეიცავენ თავისებურ ფორმებს, როგორც, მაგალითად, კიმერიული. ეს უპირველეს ყოვლისა გამოწვეული იყო გურიული და ჩაუდური საუკუნეების ხანმოკლეობით.

ამგარად, ჩაუდური ჰორიზონტის ფაუნა შეიცავს გურიულ ფორმებთან ახლოს მდგომ და უკანასკნელთაგან წარმოშობილ ფორმებს, აგრეთვე იმ სახეებს, რომლებიც გურიულ ჰორიზონტში გვხვდება. ზოგიერთი მკვლევრის მიერ გამოყოფილი „გარდამავალი“ წყება შეიცავს გარდამავალი ხასიათის ფაუნას, ე. ი. როგორც ისეთ ელემენტებს, რომლებიც დამახასიათებლად ითვლებოდა გურიული ჰორიზონტისათვის, ისე იმ ფორმებსაც, რომლებიც წინათ მხოლოდ ჩაუდურ ჰორიზონტში იყო ნაპოვნი. ვიღებთ რა მხედველობაში გურიული და ჩაუდური ჰორიზონტების ფაუნათა მჭიდრო კავშირს, აგრეთვე როგორც გურიულ, ისე ჩაუდურ დროთა ხანმოკლეობას, ჩვენ გვიძნელდება მართებულად ჩავთვალოთ ამ ორი ჰორიზონტის ორი სხვადასხვა სისტემისათვის მიკუთვნება, გურიულისა—მესამეულისათვის, ხოლო ჩაუდურისა—მეოთხეულისათვის.

ამგარად, ჩაუდური ფაუნა მჭიდროდაა დაკავშირებული გურიულთან: ჩაუდური ჰორიზონტის დამახასიათებელ ფორმათა უმრავლესობა უდავოდ იმ წინაპრებისაგანაა წარმოშობილი, რომელიც გურიულ საუკუნეში არსებობდნენ.

გამოვიყვანთ დასკვნები წინა სტრიქონებში ნათქვამისაგან და ჩამოვაყლიბოთ რამდენიმე ზოგადი დებულება:

1. შავი ზღვის ღრმულში ბენტონური ფაუნის თანამომდევნობა მთელი დროის მანძილზე, პონტური საუკუნიდან ჩაუდურამდე, დამტკიცებულად უნდა ჩითებალოს. ზოგიერთი ძირითადი ჯგუფის არსებობა და განვითარება შეიძლება განხილულ იქნეს პონტურიდან კიმერიულამდე, კიმერიულიდან კუიალნიკურამდე, კუიალნიკურიდან გურიულ საუკუნემდე, გურიული საუკუნიდან ჩაუდურამდე. გურიულ-ჩაუდური კომპლექსები, რომლებიც უკანასკნელ დრომდე არსებული წარმოდგენით მკვეთრად განსხვავდებოდა ყველა აღრე არსებული ბენტონური ფაუნისაგან, ე. ი. ფართო გაგებით „პონტური“ ხასიათის მატარებელი ფაუნისაგან, წინამორბედი საუკუნეების ფაუნისტურ კომპლექსებთან დაკავშირებული აღმოჩნდა. ზოგიერთი მკვეთრად გამორჩეული ჯგუფი, რომლებიც დამახასიათებელია ამა თუ იმ სართულისათვის, მაგალითად კიმერიულისათვის, და რომელიც „კრიპტოგენულად“ უცრად გამოჩენილად გვეჩვი-

ნებოდა, ძლიერ მჭიდროდ დაკავშირებული აღმოჩნდა წინამორბედ დროში გავრცელებულ ფორმებთან.

2. შავი ზღვის ტბიურ-ზღვიური პლიოცენის ერთმანეთის თანამიმდევრულად შემცვლელი ჰორიზონტების ფორმათა განხილვისას მხედველობაში მისაღებია აუზის ცალკეული უბნების ზოოგეოგრაფიული სხვაობა, რომელიც დამოკიდებულია ამ უბანთა მეტ-ნაკლები იზოლირებისაგან, კლიმატური მიზეზებისაგან, შარილიანობის შერყეობისაგან და სხვა შნიშვნელოვანი ჰიდროლოგიური პირობებისაგან. სამხრეთ-აღმოსავლეთი უბანი, რომელსაც ეკუთვნის დასავლეთ საქართველოს რიონის უბე, თვისობრივიად განსხვავებული რჩებოდა მთელი პლიოცენის მანძილზე, დაწყებული პონტურიდან. ზოგ შეციხვევაში მომდევნო ჰორიზონტები ამ უბანზე ფაუნისტურად უფრო მჭიდროდაა ერთომეორესთან დაკავშირებული, ვიდრე ერთი გარკვეული გეოლოგიური მომენტის ნალექები, წარმოქმნილი ამ უბანზე, და სხვა უბნების ნალექები, წარმოქმნილი იმავე გეოლოგიურ მომენტში.

3. უშუალო კავშირი ყოველ წინამორბედ და ყოველ მიმდევნო ჰორიზონტის კომპლექსთა დამახასიათებელ ელემენტს შორის არასარწმუნოდ ხდის იმ ვარაუდს, თითქოს ამ საუკუნეთა შეუალედებში შავი ზღვის ღრმულის დაცარვა შეეძლო სხვაგვარი წარმოშობის ფაუნიან რომელიდაც ზღვას ან ტბაზღვას.

კერძოდ, უწყვეტი კავშირი კუიალნიკურ და გურიულ ფაუნათა შორის გვაიძულებს ვალიაროთ იმ მოსაზრების უვარვისობა, თითქოს კუიალნიკურის შემდეგ მთელი შავი ზღვის ღრმული დაფარა აღჩაგილურმა ზღვამ. ჩვენ თუ დავუშვებთ, რომ აღჩაგილური ზღვის წყლებმა ოუნდაც მცირე ხნით დაფარა ეს ღრმული, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კუიალნიკურის მრავალმა ელემენტმა ეს ღრმოვა გაატარა თავშესაფრებში, საიდანაც ისინი კვლავ გამოვიდნენ გაშლილ ზღვაში გურიული საუკუნის დასაწყისში. მაგრამ ძნელი წარმოსადგენია კუიალნიკური კარილიდების—ლიმნოკარილიუმების, ნაოელათა, დიდაკნებისა და სხვათა გადარჩენა გამტკნარებულ ლიმანებში, რომლებიც მქვეთრად იყვნენ გამოყოფილი ძირითადი ზღვიური აუზისაგან, და კიდევ უფრო ინელი გასაგებია, თუ რატომაა მცირედ შეცვლილი კუიალნიკური ფორმების მთელი ეს კომპლექსი და ან რატომ არავითარი ცვლილება არ განიცადეს მათ „თავშესაფრებში“ იმ საუკუნის მანძილზე, რომელსაც ჩვენ, ა. ებერზინის მიხედვით, შეიძლება ტამანის საუკუნე ვუწოდოთ. ეს პიპოთეზი ჩვენ უფრო არასარწმუნოდ მოგვეჩენება, თუ გავიხსენებთ, რომ ამ ჰიპოთეზით ეს „თავშესაფრები“ უნდა ყოფილიყო შავი ზღვის აუზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც გამტკნარების ისეთი ფაქტორი, როგორიცაა ხმელეთიდან წყლების მოდინება, უფრო ნაკლებ მოქმედებდა, ვიდრე აუზის იმ ნაწილებში, რომელიც რუსეთის პლატფორმას ეკვრიან.

მიუხედავად ამისა, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს მონაცემებს აღჩაგილური ნალექების არსებობისა არა მარტო ტამანისა და ქერჩის ნახევარკუნძულებზე, არამედ პრისივაშიეს არეებშიც. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ფაქტები მიუთითებენ აღჩაგილური ზღვის უბის არსებობაზე შავი ზღვის ჩრდილოეთი-

თაც: სათუოა, რომ ზღვის წყლებს მიეღწია შორს შავი ზღვის ღრმულამდე. რაც შეეხება ო. ვიქტოროვასა და ს. კოვალევსკის მტკიცებას მოლდავეთში აღჩაგილურის არსებობის შესახებ [2], ეს მოსაზრება არ შეიძლება სავსებით დასაბუთებულად ჩაითვალოს. ვიტორები ეყრდნობიან რუმინელ გეოლოგებს დავიდს და ვასკაუცანუს, რომლებმაც მოლდავეთში თითქოსდა აღჩაგილური მაქტრიდები იპოვნენ. მაგრამ ვ. კოლესნიკოვი უსაფუძვლოდ როდი აღნიშნავდა, რომ ვასკაუცანუმ ერთი სარმატული ფორმა აღჩაგილურ *Mactra subcaspia*-დ ჩათვალა; ვიტორის მიერ წარმოდგენილი ფორამინიფერებისა და ოსტრაკოლების სიები ამ ფორმების შემცველი ნალექების აღჩაგილურ ასაკს არ ამტკიცებენ. აღჩაგილურის დასადასტურებლად ასეთივე არასარწმუნოა ერთი დაზიანებული *Potamides*-ის პოვნა; ვიტორების აზრით, ეს ფორმა „სავსებით აქმაყოფილებს აღჩაგილისათვის დამახასიათებელ სახეს: *Potamides (Inderia) caspius* Andrus. var. *transversa* Andrus“. [2]. ასეთი ფრთხილი ფორმულირება ვკიჩენებს, რომ ავტორები დაბეჯითებით არ აღნიშნავენ ამ მონაცოვრის დიდ სტრატიგრაფიულ მნიშვნელობას, რომელიც შეიძლება „აქმაყოფილებდეს“ იმ ფორმებსაც, რომლებიც გვხვდება აღჩაგილურის გარეშეც, მაგალითად, ზედა მიოცენში.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ა. არხანგელსკი [3] მიუთითებდა, თუმცა ძლიერ ფრთხილად, ვ. გოლუბიატნიკოვის მიერ აღნიშნული აღჩაგილური ტიპის ფორმების არსებობას დონის ქვემო წელის პონტური ქანების ზედა პორიზონტებში. ჩვენ ამ რაიონში ჩავატარეთ ექსკურსიები, ზაგრამ, მიუხედავად დაბეჯითებით ძებნისა, აღჩაგილური მაქტრები ვერ ვიძოვეთ. აღბათ, ფორმები, რომლებზედაც მიუთითებს გოლუბიატნიკოვი, მართლაც პონტურში იყო ნაპოვნი და ეს არის *Parvivenus widjialmi* Sinz.-ის ნაშთები, რომლებიც აქ ხშირია და ცუდი დაცულობის პირობებში, თავისი ზომების მიხედვით, შესაძლებელია აღჩაგილური გაქტრებისათვის მიემსგავსებინათ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

პალეობიოლოგიის სექტორი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 24.12.1955)

### დამოუკუთხული ლიტერატურა

1. Г. А. Квалиашвили. О верхнем плиоцене Гурии. 1-ая научная сессия Сектора палеобиологии АН ГССР, 1954, стр. 31.
2. Р. Е. Викторова и С. А. Ковалевский. Акчагыл в Молдавии. ДАН СССР, т. ХСIV, № 4, стр. 737—740.
3. А. Д. Архангельский. Геологическое строение СССР. Л.—М., 1932, стр. 296.

ტექნიკა

## დ. თოლოლაძე

**საქალაქო ინდუსტრიულ მშენებლობაში შენობათა დატალების  
ერთიანი სამშენებლო მახასიათებლი**

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა კ. ზავრიევმა 19.1.1955)

წარმოების ინდუსტრიალიზაცია, ე. ი. სამანქანო ტექნიკის გამოყენება ქალაქის საბინაო - სამოქალაქო მშენებლობაში, ამ დარგის მთელ რიგ სპეციალურ თავისებურებათა [1] გამო შემდეგი სამი ძირითადი ჯგუფის შექმნით გამოიხატება: 1. პროცესები, ტექნოლოგიურად დაუკავშირებელნი შენობის ასაგებ აღგილთან და ერთნაირად დამახასიათებელნი ცალკეული სამშენებლო მოედნებისათვის; 2. სატრანსპორტო პროცესები; 3. პროცესები, ტექნოლოგიურად დაკავშირებულნი შენობის ასაგებ აღგილთან — სამშენებლო მოედანთან.

პირველი ჯგუფი სრულდება ერთიანი სარაიონო (საქალაქო) სამშენებლო მრეწველობის ფაბრიკა-ქარხნებში და მისი პროდუქცია სამშენებლო დეტალები. მესამე ჯგუფის პროცესებად ითვლება ისეთები, რომლებიც ტექნოლოგიურად შეუძლებელია შესრულდეს ან ეფუქტურად შეიცვალოს სხვა პროცესებით სამშენებლო მოედნის გარეთ. მათ შორის ძირითად მძიმე და შრომატევად პროცესს წარმოადგენს შენობის აწყობა სამშენებლო მოედანზე მოტანილი სამშენებლო დეტალებისაგან. აგრეთვე საყურადღებოა საბოლოო გასაფორმებელი სამუშაოები.

ამჟამად მოწინავე სამშენებლო ორგანიზაციები ფართოდ ახორციელებენ საბინაო-სამოქალაქო მშენებლობას ზემოთ მოყვანილი სქემის საფუძველზე. განსაკუთრებით ვრცელდება კარგასპანელიანი და დიდბანელიანი კონსტრუქციების გამოყენება. საქალაქო სამშენებლო მრეწველობის მასობრივი პროდუქციის სტანდარტიზაციისათვის საჭიროა გვერდებს სამშენებლო დეტალების მახასიათებელთა სისტემა. ამ უკანასკნელ დრომდე განსაკუთრებული ყურადღება ექცევდა ძირითადად მხოლოდ დეტალების საექსპლოატაციო ნახასიათებლებს (კონსტრუქციული, არქიტექტურული, სითბო- და ხმაგამტარიანობა და სხვ.), მაგრამ აგრეთვე საჭიროა ანგარიში გაეწიოს დეტალების სა- ძირის მახასიათებლებს. ისინი გააშუქებენ შენობათა დეტალებს საერთოდ მშენებლობის ინდუსტრიალიზაციის პრინციპული სქემისადმი მათი შეთანადების თვალსაზრისით და აგრეთვე მოგვცემენ კონკრეტულ პირობებში ცალკეული დეტალების ტექნიკურ-ეკონომიური შეფასებისა და ერთმანეთთან შედარების საშუალებას.

განვიხილოთ ხსენებული მახასიათებლების მნიშვნელობები ქალაქის ინდუსტრიულ მშენებლობაში:

1. სამშენებლო დეტალის წონა (ყვ-კგ). შენობათა აგება ძირითადად ხასიათდება ცალკეული სამშენებლო დეტალებისაგან მათი აწყობით. ამ აწყობის — მონტაჟის საშუალებები და ხერხები განსაზღვრავენ გამოსაყენებელი დეტალების მაქსიმალურ წონას. სანამ შენობებს ხელით აგებდნენ (თუნდაც მცირე მექანიზაციის გამოყენებით), ცხადია, ცალკეული დეტალის წონა ეთანადებოდა ადამიანის ძალას. კერძოდ, გარდა ტექნოლოგიური პირობებისა, ამით აიხსნება საუკუნეებრივი გამოყენება აგურისა, როგორც კედლის ძირითადი მასალისა. ადამიანის ძალაზეა გათვალისწინებული აგრეთვე სხვადასხვა მცირე ზომის არქიტექტურულ-კონსტრუქციული ელემენტების წონა.

თანადროულ მშენებლობაში, როცა დამკვიდრდა მძლავრ სატრანსპორტო და ტეირთამშევ მანქანათა გამოყენება, მაქსიმალური წონა დეტალებისა მასობრივი ტიპის შენობებისათვის 2—3 ტონას აღწევს. რკინაბეტონის პანელები კარკასიანი და უკარკასო შენობებისათვის 3—5 ტონას იწონის. უკანასკნელ დროს მოსკოვში დაისახა ტენდენცია დეტალების წონა აიყვანონ 7 ტონამდეც. სამონტაჟო მანქანას, როგორც წესი, ირჩევნ შენობის კონსტრუქციის დაღვენის შემდეგ, იმ ანგარიშით, რომ მანქანის ტეირთამშეობა შეესაბამებოდეს ასაკრები დეტალებისაგან მაქსიმალურის წონას. ამ მეთოდს აქვთ ძირითადი ნაკლებანებანი, რომლებიც აუარესებენ წარმოების ზოგიერთ ტექნიკურ-ეკონომიურ მაჩვენებელს.

ა) ხსენებულ შემთხვევაში ადგილი აქვს სამონტაჟო მანქანათა ტეირთამშეობის შესამჩნევ გამოყენებლობას, რადგან პრაქტიკულად ცალკეული დეტალების წონა დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. მაგალითად, მოსკოვის მაღალსართულიანი სახლების კარკასის მონტაჟისას УБК—49 ტიპის 5 ტ. ტეირთამშეობის ამწით, 5 ტ. სამონტაჟო ელემენტების რაოდენობა საშუალოდ მხოლოდ 15 % -ს აღწევდა, ხოლო ძირითად ნაწილს (60 % -მდე) შეადგენდა 0,8—1,0 ტ. წონის ელემენტები. ცხადია, ამით, მიუხედავად რამდენიმე დეტალის ერთ სამონტაჟო ერთეულად გაერთიანებისა, მაინც მცირე იყო ამწევების ტეირთამშეობის გამოყენება — საშუალოდ 50 % არ აღემატებოდა.

ცალკეული დეტალების წონათა და სამონტაჟო მანქანის ტეირთამშეობის შეთანხმების საკითხი დგას ასაწყობი კონსტრუქციების გამოყენების პირველ შემთხვევიდანვე, ჯერ კიდევ 1940-იანი წლებიდან. უკანასკნელ წლებში, როგორც ცნობილია, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ამწევების ტეირთამშეობის გამოყენების გადადებისათვის მცირე ზომის ბლოკების (ბეტონის ბლოკები, აგური, მოსაპირკეთებელი ფილები და სხ.) კონტეინირების მეთოდს. ეს მეთოდი საშუალებას იძლევა, ასე თუ ისე, ეფექტურად შეესაბამოთ ახალი მძლავრი სამშენებლო ტექნიკის გამოყენება რელ პირობებს — მცირე წონის დეტალებისაგან შენობათა აგებას.



ამრიგად, ინდუსტრიულ სამოქალაქო მშენებლობაში შენობათა დეტალების წონის დადგენისას გამოსავალ დებულებად უნდა მიჩნეულ იქნეს სამონტაჟო მანქანათა ტვირთამწეობის მაქსიმალური გამოყენების პირობა — ცალკეული დეტალების ან სამონტაჟო ერთეულების წონა უნდა ეთანადებოდეს როგორც ერთმანეთს, ისევე სამონტაჟო მანქანის ტვირთამწეობას.

ბ) სამონტაჟო მანქანის არჩევისას მხედველობაში არ იღებენ სამუშაოთა მოცულობას. ამასთან ერთად ასაწყობი კონსტრუქციების შენობათა მასობრივ მშენებლობასთან დაკავშირებით განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამონტაჟო მანქანათა გამოყენების ეკონომიურ მხარეს. საერთოდ სამშენებლო მოედანზე მანქანათა მუშაობას სპეციფიკური ხასიათი აქვს: ისინი გამოიყენებიან მხოლოდ განსაზღვრული მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად, შედარებით მცირე დროში. როგორც ხსნებული პირობების ანალიზიდან ჩანს [1], სამშენებლო მოედანზე ეკონომიური ოვალსაზრისით მიზანშეწონილია ერთი ან მინიმალური რაოდენობის სამშენებლო მანქანების გამოყენება, რომელთა წარმადობა (სიმძლავრე) უნდა ეთანადებოდეს შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასა და მშენებლობის ხანგრძლივობას.

სამონტაჟო მანქანის წარმადობა ძირითადად მისი ტვირთამწეობით განისაზღვრება. ამიტომ დეტალების წონა მოცემულ კონკრეტულ პირობებში უნდა ეთანადებოდეს სამონტაჟო მანქანათა რიგიდან მოცემული სამონტაჟო სამუშაოების შესასრულებლად ყველაზე მეტად მიზანშეწონილ ტვირთამწეობას.

ამრიგად, შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი დებულება: ინდუსტრიულ საქალაქო მშენებლობაში შენობათა აგებისას სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობის შესაბამისად ტექნიკურად მისალები სამონტაჟო მანქანათა რიგიდან შეირჩევა ეკონომიურად მიზანშეწონილი ტვირთამწეობის სამონტაჟო მანქანა. მის ტვირთამწეობას უნდა შეესაბამებოდეს მოცემული შენობის დეტალების ან სამონტაჟო ერთეულების წოხა.

2. დეტალების გაბარიტული ზომების მახასიათებელი (n). შენობათა დეტალების გაბარიტული ზომები პრაქტიკულად მოსახერხებელია პირობითად დავახასიათოთ მოცემული დეტალების რაოდენობით შესაბამის შენობათა ნაწილის ერთეულის განზომილებაზე —  $n = \frac{1}{V}$ , სადაც V არის დეტალის მოცულობა იმავე განზომილებაში.

საქალაქო ინდუსტრიულ მშენებლობაში, როგორც უკვე აღნიშნულია, დიდად ვრცელდება დიდი წონისა და ზომის დეტალები, მაგალითად, სართულშუა გადახურვის რკინაბეტონის პანელები „ოთახზე“ ჩვეულებრივ 3—5 ტ. იწონის და მათი ზედაპირის ფართია 20—25 მ<sup>2</sup>. ასევე ითქმის კედლის პანელებზეც.

საჭიროა აღინიშნოს, რომ დიდი ზომის დეტალების გავრცელება აიხსნება მათი შეკავშირების შესამჩნევ ადგილებში თავიდან აცილების მისწრაფებით. ეს ღონისძიება დროებითად, რაღაც შენობათა არქიტექტურულ-კონსტრუქციული პროექტირების შემდგომ განვითარებისას პრაქტიკულად მიღწეული იქნება დეტალთა შეკავშირების ადგილის დამაკმაყოფილებელი გაფორ-

მება ან დეტალთა შესაბამისი დანაწევრება. ეს გზა უკვე ნათლად ჩანს ახალი ანაკრები კონსტრუქციის შენობათა პროექტირებისას (მაგ., ოთახში დეტალების შეკავშირების ადგილის შეთავსება არქიტექტურული გაფორმების ნაწილებთან; სართულშუა გადახურვის პანელების ჰორიზონტალურად ორ ნაწილად გაყოფა და ა. შ.).

ამრიგად, დეტალების ზომები უნდა დაისახოს მათი საჭირო წონის მიხედვით, დეტალის (ან მისი ნაწილების) მოცულობითი წონის შემცირების პრინციპის მხედველობაში მიღებით. ამასთანავე ეს ზომები აუცილებლად შეთანხმებულ უნდა იქნეს არსებულ მოდულურ სისტემასთან.

3. დეტალის სამონტაჟო მახასიათებელი გამოიხატება საჭარმოო ხარჯების რიგით — ღირებულება (მან.), შრომატევადობა (კუ/საათ.), ხანგრძლივობა (საათი) და სხვ., რომლებიც საჭიროა მოცემული დეტალის მონტაჟისათვის. ამასთან მხედველობაში მიიღება მხოლოდ მუდმივად მოქმედი ფაქტორები (მუშახელი, გასალები, ინსტრუმენტები და სხვ.), ხოლო ცვლადი სიღიდეები (საპროექტო ნიშნული, ამწის ტიპი, არასწორი ორგანიზაციის შედეგად მიღებული ხარჯები და სხვ.) არ ითვლება, რადგან ისინი არ ახასიათებენ თვით დეტალებს და ამ უკანასკნელთა შედარებისას როლს არ თამაშობენ.

სამუშაოებლო მოედანზე სამონტაჟო სამუშაოთა დიდი ხვედრითი წონის გამო აუცილებელია დეტალთა სამონტაჟო მაჩვენებელთა მნიშვნელობის შემცირებისაკენ მისწრაფება.

4. დეტალის მახასიათებელი ტექნოლოგიურ და სამუშანებლო მოედანთან დაუკავშირებელი პროცესების თვალსაზრისით (D<sub>5</sub>). რამდენადც ხსენებული პროცესები ხშირად არ სრულდება ფაბრიკა-ქარხნებში, საერთოდ უარესდება წარმოების ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლები და ამ მდგომარეობას აუცილებლად უნდა მიეცეს ყურადღება შენობათა დეტალების სამუშაოებლო თვალსაზრისით შეფასებისას. განსახილველი მახასიათებელი გამოიხატება სამონტაჟო მახასიათებლის ანალოგიურად. ის ასახავს იმ ძირითადი პროცესების მნიშვნელობას, რომლების შესრულებაც საჭიროა მოცემული დეტალის მონტაჟის შემდეგ შესაბამისი შენობების ნაწილის საპროექტო მდგომარეობამდე მისაყვანად და რომელთა განხორციელება შესაძლებელი იყო წარმოების პირველ ძირითად ჯგუფში.

საქალაქო ინდუსტრიულ მშენებლობაში საჭიროა მისწრაფება განხილული მახასიათებლის მნიშვნელობის მინიმუმამდე შესამცირებლად.

5. დეტალის მახასიათებელი სამონტაჟო სამუშაოთა თვალსაზრისით (D<sub>6</sub>). ეს მახასიათებელიც ანალოგიურია ზემოგანხილულებისა. ის ასახავს ისეთი მცირე მოცულობის გასაფორმებელ სამუშაოებს, რომლებიც პრაქტიკულად ყოველთვის საჭიროა შესრულდეს შენობის დეტალების მონტაჟის შემდეგ — სამლებრო სამუშაოების ზოგიერთი სახე, მინების ჩასმა, დეტალთა შეკავშირების ადგილის გაფორმება და ა. შ.

გარდა შენობათა დეტალების ძირითადი სამშენებლო მახასიათებლებისა, მისი საწარმოო თვისებები შეფასდება აგრეთვე, მაგალითად, მონტაჟისა-თვის მოხერხებულობით, ზომების სიზუსტით, ადვილად მოსატეხი ნაწილების არსებობით და სხვ.

ცალკეული მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე შეიძლება ჩამოვა-ყალიბოთ „მიზანშეწონილი დეტალის“ დახასიათება: 1. დეტალის წონა უნდა ეთანადებოდეს, სამონტაჟო სამუშაოთა მოცულობისა და მშენებლობის ხან-გრძლივობის შესაბამისად არჩეული სამონტაჟო მანქანის ტვირთამშეობას. 2. დეტალის (ან მისი ცალკეული ნაწილის) მოცულობითი წონა უნდა იყოს მინიმალური მნიშვნელობისა; 3. ხარჯებს დეტალის მონტაჟისათვის (მუშა-ხელს, მასალებს და სხვ) უნდა ჰქონდეს მინიმალური მნიშვნელობა; დეტალი უნდა იყოს მოსახერხებელი სატრანსპორტო-სამონტაჟო სამუშაოებისათვის, მისი ასაწევად მომზადება, დროებით გამაგრება საპროექტო მდგომარეობაში, საბოლოო დამაგრება მინიმალური დროის განმავლობაში უნდა ხერხდებო-დეს და ა. შ. 4. დეტალი შესაბამისი შენობის ნაწილის საპროექტო სახის მისაღებად არ უნდა საჭიროებდეს ტექნოლოგიურად სამშენებლო მოედან-თან დაუკავშირებელი პროცესების შესრულებას, ხოლო საბოლოო გასაფორ-მებელი პროცესები უნდა ხასიათდებოდეს მინიმალური მნიშვნელობით, ისე, რომ შესამჩნევ გავლენას ვერ ახდენდეს მონტაჟის საწარმოო მაჩვენებლებზე.

ამრიგად, მიზანშეწონილი დეტალის განმსაზღვრელ სიდიდეს წარმო-ადგენს მისი სამონტაჟო მახასიათებელი ( $D_5$ ). მისი მნიშვნელობები შენობა-თა ცალკეული ნაწილების დეტალებისათვის სამონტაჟო ტექნიკის მოცემულ დონეზე უნდა იქნეს განსაზღვრული და ჩაითვალოს ნორმატულ სიდიდეებად.

დეტალების მახასიათებლების პრაქტიკულად მოსახერხებელი სარგებ-ლობისათვის საჭიროა გრძელდეს მათი ერთიანი მნიშვნელობა. ეს უკანასკნე-ლი რომელიმე დეტალისათვის მიიღება ერთეული განზომილების შესაბამისი შენობის ნაწილის საპროექტო სახის მისაღებად „მიზანშეწონილი დეტალის“ გამოყენებისას საჭირო ხარჯების შეფარდებით იმავე მიზნისათვის განსახილ-ველი დეტალის განყენებისას საჭირო ხარჯებთან.

აღნიშნოთ  $q = q_e$  — გამოსაყენებელი სამონტაჟო მანქანის ტვირთამშე-ობა, რომლის ტოლია მიზანშეწონილი დეტალის წონა;  $\gamma_e$  — მიზანშეწონი-ლი დეტალის საშუალო ხედრითი წონა;  $V_5 = \frac{q}{\gamma_e}$  — მიზანშეწონილი დე-ტალის მოცულობა  $\frac{q}{\gamma_e}$  — განვითარებაში.

მაშინ წინათ მიღებული აღნიშვნების გათვალისწინებით მოცემული დე-ტალის ერთიანი სამშენებლო მახასიათებლის  $\eta_e$  მნიშვნელობა შეიძლება გამოისახოს შემდეგი ფორმულით:

$$\eta_e = \frac{\frac{D_5 \cdot \gamma_e}{q}}{(D_a + D_b + D_c) \cdot n} = \frac{D_5 \cdot \gamma_e}{(D_a + D_b + D_c) \cdot n \cdot q} < 1;$$

შენობათა დეტალების ერთიანი სამშენებლო მაჩვენებელი  $\eta_1 = 0,75$  განისაზღვროს ცალ-ცალკე საწარმოო ფაქტორების — ღირებულების, შრომა-ტევადობის, პროცესის ხანგრძლივობის და სხვათა მიხედვით.

დეტალთა ცალკეული სამშენებლო მახასიათებლების, ერთიანი სამშენებლო მახასიათებლისა და პრაქტიკაში მათი სარგებლობის გასაშუქებლად განვიხილოთ შემდეგი მაგალითი:

განვსაზღვროთ ხსნებული მაჩვენებლები კედლის ბეტონის ბლოკისათვის ზომებით  $19,5 \times 39,5 \times 19$  სმ, შრომატევადობის მიხედვით; კედლი (სისქი 40 სმ) ორივე მხრივ შელესილია და შიგა მხრივ აკრულია შპალერით. დეტალის მახასიათებლები იქნება: ა. წონა — 12 კგ; ბ. ზომების მახასიათებლი  $n = \frac{1}{0,2 \cdot 0,2} = 25$ ; გ. სამონტაჟო მახასიათებელი (1მ³ შემობისათვის მუშახელი  $D_a = \frac{0,4 \cdot 1,6}{25} = 0,026$  კაც-დღე; დ. მახასიათებელი ტექნიკოგიურად სამშენებლო მოედანთან დაუკავშირებელი პროცესების მხრივ (გარე და შიგა შელესვა) (1 მ² კედლისათვის მუშახელი ნატურალური —  $0,146 + 0,205 = 0,351$  კაც-დღე, 1 თანრიგზე მიყვანილი — 0,558 კაც-დღე):  $D_B = \frac{0,558}{25} = 0,022$  კაც-დღე. ე. მაჩვენებელი საბოლოო-გასაფორმებელ სამუშაოთა თვალსაზრისით (შპალერის აკვრა) (1 მ² კედლისათვის მუშახელი ნატურალური — 0,048 კაც-დღე 1 — თანრიგზე მიყვანილი — 0,074 კაც-დღე):  $D_C = \frac{0,074}{25} = 0,003$  კაც-დღე; სამშენებლო ტექნიკის თანამედროვე დონეზე შესაძლებელია კედლის მიზანშეწონილი დეტალისათვის მივიღოთ: საშუალო მოცულობითი წონა —  $\gamma_2 = 0,24$  ტ/მ², მონტაჟის შრომატევადობა  $D_E = 1,5$  კაც-დღე; დავუშვათ, რომ შენებლობის მოცულობისა და ხანგრძლივობის შესაბამისად ყველაზე მეტად მიზანშეწონილია 3 ტ. ტვირთამწეობის ამწის გამოყენება. ამრიგად, განსახილველი საკედლე ბლოკის ერთიანი სამშენებლო მაჩვენებელი იქნება:

$$\eta_2 = \frac{1,5 \cdot 0,24}{(0,026 + 0,022 + 0,003) \cdot 25,3} = 0,094;$$

ანალოგიურად ვდებულობთ, რომ ერთიან სამშენებლო მახასიათებელს კედლის ზოგიერთი სხვა დეტალისათვის აქვს შემდეგი მნიშვნელობები [1]: აგურისათვის — 0,129; „მოსპროექტის“ ტიპის პანელისათვის — 0,400; „ИСТ—3“ ტიპის პანელისათვის — 0,667; „ИСТ—5“ ტიპის პანელისათვის — 0,750. როგორც ჩანს, სამშენებლო თვალსაზრისით აღნიშნული დეტალებიდან ყველაზე მეტად მისაღებია „ИСТ—5“ ტიპის პანელები.

საერთოდ, ერთიანი სამშენებლო მაჩვენებლების კონკრეტულ მნიშვნელობათა მიხედვით შენობათა დეტალები სამ ჯგუფად იყოფა: 1. მარტივი დეტალები — წარმოადგენენ ერთგვაროვან მასალებს (აგური, სხვადასხვა მცი-

რე ზომის ბლოკები, ფილები და სხვ.)— $\eta_e = 0,05 - 0,2$ ; 2. რთული დეტალები — შედგებიან სხვადასხვა სახის მასალების შრეებისაგან და ჩვეულებრივად აქვთ ბრტყელი ფორმა (პანელები, დიდი ზომის ბლოკები და სხვ.)— $\eta_e = 0,2 - 0,7$ ; 3. დეტალები-კვანძები შეიცავენ შენობის სხვადასხვა ნაწილს და უპასუხებენ მათ კომპლექსური მუშაობის პირობებს (სან. კვანძი). მათვების  $\eta_e = 0,5 - 0,9$ . საქალაქო ინდუსტრიულ მშენებლობაში ამებად განსაკუთრებით ვრცელდება შენობათა რთული დეტალები და დეტალები-კვანძები ერთიანი სამშენებლო მახასიათებლის  $\eta_e = 0,4 - 0,7$  მნიშვნელობით.

შენობათა და დეტალების სამშენებლო თვალსაზრისით განხილვის მოყვანილი მეთოდი შეიძლება გამოყენებულ იქნეს საქალაქო მშენებლობის შემდგომი განვითარებისათვის, ერთი მხრივ, დეტალების საფაბრიკო-საქარხო წარმოებაში შენობათა მიზანშეწონილი აწყობის პირობების გასათვალისწინებლად და თვით დეტალების სტანდარტიზაციისა და უნიფიცირებისათვის; მეორე მხრივ, ცალკეულ შენობათა პროექტირებისას ტექნიკურ-ეკონომიკურად მეტად მიზანშეწონილი დეტალების ასარჩევად კონკრეტული პირობების მიხედვით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სამშენებლო საქმის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 16.2.1955)

### დამოუმჯობლი ლიტერატურა

I. Д. Ф. Толорая. К вопросу о монтажной системе машин и производственных характеристиках монтируемых деталей зданий в городском индустриальном строительстве. Автореферат. М., 1954.

ტექნიკა

გ. ფედერიცია

## მშენებელის სახულის მიზანის განვითარების საკითხის დასახლის

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა რ. აგლაძე 24.12.1955)


მშენებელის სახულის მიზანის განვითარების წარმატებას ელექტრული კონტაქტები წყვეტილი და მოძრაობის მიზანის სახულის [1,2] და ნემსისებრი [5] კონტაქტები, ტექნიკაში მეტად გავრცელდა მოსრიც მოსრიც (ჯაგრისული) კონტაქტები. მიუხედავად ამისა, ელექტროფიზიკური პროცესები გამზომ მოსრიც კონტაქტებში არაა საკმაოდ შესწავლილი, ამავე დროს რიგი სპეციფიკური მოვლენები ასეთ კონტაქტებში არ შეიძლება აიხსნას ელექტრომანქანების (ძალოვანი) მოსრიც კონტაქტების თეორიის [6,14] ცხობილი დებულებებით. ამ გარემოების გამო განვითარებული სექტორის მოსრიც კონტაქტების გამოსაყენებლად საჭირო ხდება მრავალგვარი კონსტრუქციული გადაკეთება [1—4]. ასეთი ღონისძიებით სრიალის ზღვრული სიჩქარე აყვანილ იქნა 3 მ/სეკ-მდე [2], ხოლო სექტორის და მოწყობილობების დაბატებითი გართულებისას—17 მ/სეკ-მდე [3,4]. ტემპერატურების გაზომვისას ხშირად თავს არიდებენ კონტაქტებს და მიმართავენ სხევა-დასხვა უკონტაქტო (ინდუქციურ, ბირომეტრიულ) და არაპირდაპირ ხერხებს [1]. ხსნებული ხერხები რთული და არაუნავერსალურია.

მიღალი და ზემაღალი სიჩქარეების ათვისება ტექნიკური მანქანების მშენებელი ნაწილებში მექანიკური და თბური რეგიმების კონტროლისათვის მანქანი ხერხების გამომებნას მოითხოვს. წინამდებარე შრომა ამ ამოცანის გადაწყვეტას ემსახურება და ემყარება მშენებობის სხეულებთან უშუალო ელექტრული კავშირის გამოყენებას. მუშაობა ჩატარდა თბილისის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ელექტროტექნიკურ ღამისათვის.

## გამოკვლევის პირობები და მეთოდი

გამზომ მოსრიც კონტაქტებში გადის მეტად მცირე ( $10^{-4}$ — $10^{-1}$  ამპ.) დენები. ამიტომ ხახუნის ზედაპირზე, როგორც ჩანს, უნდა მოველოდეთ ლითონების მშრალი (და უდენო) ხახუნისათვის დამახასიათებელ ფიზიკურ-ქიმიურ პროცესებს, წინამდებარე ძალა მოსრიც კონტაქტებისა, სადაც, როგორც ცხობილია, დენის არსებობა იწვევს „გაპოხვის უფექტუს“, „პრიალა ფენის“ წამოქმნას, ჯაგრისების გახურებას, ელექტრონაბერწელიანობას და სხვა კონტაქტურ მოვლენებს [6,14]. ამასთან დაკავშირებით, ჩვენი გამოკვლევების პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა შემდეგ ცვლად სიღიდეებს: ა და ბ—სრიალისა და ბრუნვის სიჩქარეებს,  $N_0$ —ჯაგრისის დაწოლის როლზე,  $A$ —გარემომცველი პირობების ერთობლიობას,  $B$  და  $D$ —რგოლისა და ჯაგრისის მასალებს,  $t_B$ ,  $t_D$  და  $t_A$ —რგოლის, ჯაგრისისა და გარემოს ბუნებრივ ტემპერატურებს,  $T_B$  და  $T_D$ —რგოლისა და ჯაგრისის ტემპერატურებს მათი ხელოვნური გახურებისას. ამ ურთიერთდაკავშირებული სიღიდეების ცალ-

ცალკე რეგულირების სირთულემ გამოკვლევის სპეციალური აპარატურისა და მეთოდიკის დამუშავება მოითხოვა, რომელთაგან მოკლედ აღწერთ მხოლოდ ჩვენ მიერ აგებულ სპეციალურ ექსპერიმენტულ აგრეგატს (ნახ. 1).



ნახ. 1. გამზომი დენგადამტანების გამოსაცდელი აგრეგატი

ზედაც გამოსაცდელი დენგადამტანები მაგრდება; მიღწი (8) თავსდება ორი მასიური ელექტროორმოსტატი, რომლებშიც ჩამაგრებულია გარდამქნელები (ჭინალობის თერმომეტრები და თერმოწყვილები) და სინდიკის თერმომეტრები. ამ უკანასკნელთა კაბილარები ბრუნვის ღრეულს ეთავსება; ბრუნვის ღროს თერმომეტრებზე დაკვირვება ხდება მიღის (8) ფანჯრებიდან, მათ გასწვრივ მოძრავ დგიმთამშეზე (10) მოთავსებული სტრობოსკოპიული მოწყობილობის (9) მეშვეობით.

ოსცილოგრაფირების, აგრეთვე ელექტრობოგირული და პოტენციომეტრული გაზომვების სქემები ჩვეულებრივია და ამიტომ მათ აქ არ აღწერთ.

გამზომ მოსრიალე კონტაქტებში ზოგიერთი მოვლენის შესახებ

$t_D(v, N_0)$  გამოკვლევები (მრუდი 1, 2, 3, 4, ნახ. 3-a) მიუთითებენ  $t_D$ -ს შეზღუდულ სიდიდეებზე, რაც შეესაბამება უკანასკნელი დროის თეორიულ წარმოდგენებს [13, 14].  $t_D$  იზომებოდა თერმოწყვილებით  $0,1—0,2$  მმ დაშორებით ხახუნის ზედაპირიდან.

დიდი ნაწილი საკონტაქტო წყვილებისა იჩნეს ეფექტს, რომელიც ხარისხობრივად კოჰერირებას [7] წააგავს (ნახ. 2-a). როდესაც  $v=0$ , გადასვლის ჭინალობა მხოლოდ ერთხელ კოჰერირდება, რის შემდეგაც მისი აღდგენა აღარ ხდება, ხოლო, როდესაც  $v>0$ , კოჰერირება მყარი ხდება, მაგრამ  $v$ -ს სიდიდისაგან იგი პრაქტიკულად დამოუკიდებელია (შდრ. ოსცილოგრამები 1 და 2).

გადასვლის ჭინალობას  $r_k$  აქვს პულსიური, პიკური ხასიათი (იხ. ოც. 1, ნახ. 4-a); მისი საშუალო სიდიდე  $R_k$  არაა სტაბილური. ის მეტად მგრძნობიარეა გარემოსა და სრიალის პირობებისადმი.

ელექტროძრავი (1) ( $50—3000$  ბრ/წუთ.) შეერთებულია ბალანსირების კოლოფთან (2), რომელიც ვიბრაციის რეეიმს ქმნის; კოლოფზე დამაგრებულია მუხრუჭი (4), ელექტროტაქომეტრი (3), ლილვზე კი წამოცმულია მქნევარა (5) ცვლადი კონტაქტური რგოლებით; ჯაგრისის პანელს (6) თან ახლავს მარგულირებელი დამწოლი მოწყობილობა ( $100—2000$  გრ); მქნევარა (5) შეერთებულია მილთან (8), რომელსაც აქვს დამხმარე დენგადამტანები (7) და მიღის თავისუფალი ბოლო (8a), რომელ-


განცალევებულ, ერთეულ მოსრიალე კონტაქტის წრედში მულავნდება კონტაქტური ე. მ. ძ.—ე., რომელსაც აქვს პულსიური ნიშანცვალებადი ხასიათი (ნახ. 2-ი) და ამავე დროს შეიცავს მუდმივ შეხადგენელს— $E_k(v, t_D)$  (მრ. 1, 2, 3, 4 ნახ. 3-ი), რომელიც ზოგიერთ წყვილში ნიშანს იცვლის. დამოკიდებულებათა გამოკვლევებმა:  $E_k(T_D)$ , როდესაც  $v = 0$  (მრ. 1, 2, ნახ. 3-ი) და  $E_k(t_D)$ , როდესაც  $v = \text{const.} > 0$  (მრ. 3, ნახ. 3-ი) გვიჩვენა, რომ ნიშანის ცვლას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როდესაც  $v = \text{const.}$ , თუკი  $T_D$  ცვალებადობს, და რომ  $t_D$  შესამჩნევ გავლენას ახდენს  $e_k$ -ზე მხოლოდ იმ პირობებში, თუ  $v > 0$ .  $E_k$ -ს საგრძნობი სიიდიდეები შეზღუდული  $t_D$ -ს დროს მიგვითითებს ზედაპირული ფურჩების მაღალ თერმოლექტრულ თვისებებზე, რაც დამახასიათებელია ლითონების უანგებისათვის [10]. ზემონათქვამს საჭიროა დავამატოთ, რომ  $v = \text{const.}$  პირობებში  $T_D$ -ს ზრდის დროს მულავნდება ხახუნის ძალის  $F$  გადიდება, მაგრამ ამასთან ერთად ჯაგრისების გაცვეთა კლებულობს (მრ.  $F$  და  $G$ , ნახ. 3-ი). მსგავსი მოვლენები იჩნდა თავს ლითონების მშრალი ხახუნის რიგ გამოკვლევებში [8, 9].

ცდების მონაცემების საფუძველზე ჩვენ მიერ გამომუშავებულ იქნა ზოგადი წარმოდგენები ელექტროფიზიკური პროცესების შესახებ გამზომი ძოსრიალე კონტაქტების ზედაპირზე. ამათვან საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყანოთ მხოლოდ ზოგიერთი დებულება<sup>(1)</sup>:

1. საკონტაქტო ზედაპირებზე წარმოიქმნება ფურჩები, როგორც ჩანს, უანგას ხასიათისა [8], ნახევრადგამტარის თვისებებით. დასაშვებია წყლის მეტად თხელი აფსების არსებობაც [14].

2. ფურჩები მუდამ ახლდება განუწყვეტელი ცვეთითა და წარმოქმნით, რაზედაც მიუთითებს ზემოაღწერილი განსხვავება დამოკიდებულებისა  $r_k(u)$ , (კოპერერული ეფექტი)  $v = 0$ -ისა და  $v > 0$  დროს.



3. როდესაც ფურჩების გაცვეთა ხდება ხეხვით და არა ნგრევით ან რღვევით (რაც დამახასიათებელია საკონტაქტო მასალების დიდი ნაწილისათვის), მაშინ ყველა სხვა უცვლელი პირობის დროს ფურჩების გაცვეთის



ნახ. 2.  $a$ —მოსრიალე კონტაქტის ვოლტ-ამპერული მახასიათებელი. თუკის რგოლი სპილენგრაფიტოვანი ჯაგრისით,  $N_0 = 1050$  გრ./სმ<sup>2</sup> (გადალებულია კათოდფური ასცილოგრაფით ცვლადი—50 Hz ძაბვის 2 პერიოდის განმავლობაში). პოლარობა განისაზღვრება ნიშნით ჯაგრისზე; ნ—განცალკევებული (ერთეული) მოსრიალე კონტაქტი ე. მ. ძ.  $v = 41,8$  მ/ს ერთ დროს: 1—თუკის რგოლი სპილენგრაფიტოვანი ჯაგრისით,  $N_0 = 1300$  გრ./სმ<sup>2</sup>, 2—სპილენგრაფიტოვანი ჯაგრისით ( $N_0 = 1650$  გრ./სმ<sup>2</sup>). პოლარობა განისაზღვრება ნიშნით რგოლზე

(1) წარმოიქმნება საკითხები ძირითადად მიეკუთვნება მყარი სხეულების ფიზიკის სფეროს (ლითონების მშრალი ხახუნი) და ამიტომ აქ დაწვრილებით არ განიხილება.

სიჩქარე ხახუნის ზედაპირზე სრიალის სიჩქარის — უს პროპორციულია, ხოლო საკონტაქტო ზასალების ზედაპირზე მათი წარმოქმნის სიჩქარე ტემპერატურის პროპორციულია და აშავე დროს დამოკიდებულია უანგბადის მიწოდებაზე; თავის მხრივ უანგბადისა და სითბოს მიღწევა უანგვად ზედაპირებამდე რეგულირდება თვით ფურჩების სისქით — ძ [11], ამიტომ ყოველი უს დროს რგოლებსა და ჯაგრისებზე მყალდება ფურჩების ერთგვარი საშუალო სისქეები  $\Delta(v, t)$ , რაც დაკავშირებულია მათი გაცვეთისა და წარმოქმნის სიჩქარებს შორის წონასწორების დამყარებასთან.




ნახ. 3. განცალკევებული (ერთეული) გამზომი მოსრიალე კონტაქტუების მახასიათებლები. აღნიშვნები ყM, ყMГ, ყП მიყუთვნება თუკის რგოლს სპილენძის, სპილენგრაფიტოვანი და თუკის ჯაგრისებით, როდესაც  $N_0 = 1050$  გრ/სმ<sup>2</sup>; MMI მიყუთვნება სპილენძის რგოლს სპილენგრაფიტოვანი ჯაგრისით, როდესაც  $N_0 = 1650$  გრ/სმ<sup>2</sup>

5. ფურჩების (უმთავრესად ჯაგრისის ფურჩის) სისქის პულსაციები ძირითადად აპირობებენ  $E_k$ ,  $r_k$ -სა და სხვა საკონტაქტო მოვლენების ზასიათს. სრიალის მაღალი სიჩქარეების დროს; ვიბრაციები, ჯაგრისების რელაქსაციური რხევები [12], წყლის აფსესის სისქის პულსაციები [14] და კონტაქტური სივრცის სხვა პარამეტრების [6] ცვალებადობა წარმოადგენს შეორებარისხოვან ფაქტორებს, რადგან ისინი ვერ ხსნიან რიგ კონტაქტურ მოვლენებს, განსაკუთრებით კი  $E_k(v, t)$ ,  $r_k(v, T)$  და სხვ.

6. მ<sub>B</sub> და მ<sub>D</sub>-ს ცვალებადობასთან ერთად ხდება ტემპერატურების გადანაწილება თერმოლექტრული წრედის შემდეგი უბნის პირაპირებზე:

$B-B$ -ს ჟანგი—(აქ სითბოს წყაროა)— $D$ -ს ჟანგი— $D$ , რაც ძირითადად სხვის ნიშანცვალებადობას  $E_k$  ( $v, T_D$ ) და— $e_k$ -ს პულსაციებს. ე. გ. გ.-ის ნიშნის ცვლას შეიძლება ხელი შეუწყონ აგრეთვე ლითონთა ჟანგების დაბალმა ინ-ვერსიულმა ტემპერატურებშა.



ნახ. 4.  $r_k$ -ს სტაბილიზაცია ჯაგრისის შეთბობით. ოგონუბი სპილენძისა, ჯაგრისები კი სპილენძგრაფიტლიან 5×6×35 მმ,  $N_0 = 1650$  გრ/სმ<sup>2</sup>:  $a = v = 10.4$  მ/სეკ=const.: 1—კონტაქტები ბუნებრივ რეჟიმშია, 2—იგივე კონტაქტები მათი შეთბობის არაცესში; 0—კონტაქტების და-ხასიათება ადგილიდას დაჭრის მომენტში: 1—კონტაქტები ბუნებრივ რე-ჟიმში, 2—იგივე კონტაქტები მათი შეთბობის შემდეგ


7. სტაციონარული [7] და მოსრიალე [6] ელექტრული კონტაქტების თეორიის თანახმად,  $r_k = r_n + r_c$ , სადაც  $r_n$  (ბ, გ) ფურჩების წინაღობაა, ხოლო  $r_c$  (ა, გ)—შეხების აღვილებზე ელექტროდენის ხაზების შევიწროებით გამო-წვეული წინაღობა და  $\rho$  ( $T$ )—ფურჩების მასალების ხვედრითი წინაღობა; აქედან ჩანს როგორც ფურჩების სისქის პულსაციების კავშირი  $r_k$ -ს დაკირ-ვებულ ხასიათთან, ასევე  $v$ -ს და  $t$ -ს როლი კონტაქტურ პროცესებში.

გამზომ მოსრიალე კონტაქტებში ფურჩებული პროცესების შესახებ გამო-მუშვებული წარმოდგენები სხეულების მოითხოვს, მაგრამ უკვე ამ სტადიაზედაც მათი პრაქტიკული მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ, ხსნიან რა მოვლენებს დამაქმაყოფილებლად, ისინი მიუთითებენ ორ მნიშვ-ნელოგან დასკვნაზე: I.  $r_k$  და  $e_k$  სტაბილური განცდებიან, თუ მიღწეული იქ-ნება  $\theta_D$ -ს სტაბილიზაცია, რისთვისაც საჭირო იქნება ჟანგვად ზედაპირზე მყარი თბური რეჟიმის არსებობა; ეს უკანასკნელი, თავის მხრით, განხორ-ცილდება, თუკი ჯაგრისის სხეულს ხელოვნურად შევათბობთ; II. ჯაგრისის ხელოვნურად შეთბობის პირობებში დამოკიდებულებას:  $r_c + r_n = r_k$  ( $v, T_D$ ) უნდა ახასიათებდეს მინიმუმები, რომელიც  $v$ -ს ზრდასთან ერთად გადაი-ნაცვლება  $T_D$ -ს გადიდებული მნიშვნელობებისაკენ.

ოსკოლოგრამების რიგი, რომელიც წარმოდგენილია ნახ. 4-ზე, გვიჩვე-ნებს, რომ ეს დასკვნები ცდებით დადასტურდა. დასკვნებმა ხელი შეუწყო დასახული ამოცანის შეტაც მარტივ და ეფექტურ გადაწყვეტას.

## დაუმახინჯებელი დენგადატანის ხერხი

ცდებით დადგენილია, რომ  $n$ -ს ყოველ მნიშვნელობას შეესაბამება ისეთი ოპტიმალური  $T_{DO}$ , რომლის დროსაც  $R_k$  მინიმუმს აღწევს, მისი პულსაციები ქრება, ხოლო  $e_k$  სტაბილური ხდება და საგრძნობლად მცირდება. გამოირკვა,



ნახ. 5. ა—კონსოლური დეროს დრეკადი დეფორმაციების შედარებითი ოსცილოგრამები; ბ—სტრატეგიული ტემპერატურის შედარებითი თერმოგრამები (გარდამემნელი: სპილენ-კონსტანტანის თერმოწყვილი): 1—პარეკლადი მოვლენები (ჩატურილია დაუმიზნებულად სინდიკის კონტაქტების მეშვეობით), 2—იმავე მოვლენების ოსცილოგრაფიული ჩაწერა ჩვეულებრივ პირობებში მოქმედი მოსრიალე კონტაქტების მეშვეობით, 3—იმავე მოვლენის ჩანაწერი, იმავე მოსრიალე კონტაქტების მეშვეობით, მხოლოდ ჯაგრისების შეთბობის შემდეგ (დუზადატრანის მონაცემები იხ. მე-4 ნახ. განმარტებებში)

რომ პრაქტიკაში საქმიანი ერთგვარი საშუალო ტემპერატურის დამყარება. კერძოდ, სპილენბერგაუიტვოგანი ჯაგრისისა და სპილენის რგოლებისათვის, ჯაგრისებზე წნევის ზღვრული ნორმის ( $N_0 \approx 1600$  გრ/სმ<sup>2</sup>) პირობებში,  $T_{DO} = 95 \pm 15^\circ\text{C}$  უზრუნველყოფს კონტაქტური მახასიათებლების მკვეთრ გაუმჯობესებას (სტაბილიზაციას) სიჩქარეთა ფარგლებში 0-დან 42 მ/სეკ-მდე.

გამომუშავებულმა ხერხმა საშუალება მოგვცა ლაბორატორიაში ჩაგვეტარებინა შეტაც მცირე დრეკადი დეფორმაციების ტენზომეტრირება სტანდარტული, დაბალომიანი ტენზოგარდამქმნელებით, როდესაც გამოსაცდელ ობიექტზე მხოლოდ ორი აქტიური გარდამქმნელი (ელექტროდოგირის ორი მხარე) იყო განლაგებული, და აგრეთვე ტემპერატურების მცირე ცვალება-დობის ოსცილოგრაფიულება, წინაღობის დაბალომიანი (53 რმი) თერმომეტრებითა და ჩვეულებრივი თერმოწყვილებით, 42 მ/სეკ-მდე სრიაალის სიჩქა-

რის დროს. მაგალითისათვის ნახ. 5-ზე მოყვანილია ორი ასეთი შედარეჭიბრაჟის გაზომვის ოცნების მიზანისათვის ასეთი შედარეჭიბრაჟის წარმოდგენილი ხერხის ეფექტურობა მით უფრო აშკარა ხდება, თუ მიღებული იქნება მხედველობაში, რომ აღნიშვნული შვედები მიღწეულია თითოეულ რგოლზე ერთი ჯაგრისის დადგმით და დაბალობითი გარღამქმნელების გამოყენებით.

სპეციალური კონტაქტებით კომპენსაციური გაზომვების ხერხი


გაზომვათა პოტენციომეტრული შეთოდისათვის, წინააღმდეგ გაუწონას-წორებელი ელექტრობოგირისა,  $r_k$ -ს სიდიდესა და ხასიათს (გარკვეულ ფარგლებში) გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს; სამაგიეროდ დაუშვებელია გამზომი წრედში გარეშე ე. მ.

ძ.-ის არსებობა [15].

განხილული მასალებიდან ცხადი ხდება, რომ  $r_k$  არ წარმოიქმნებოდა, თუ განვახორციელებდით ისეთ კომუტაციას, რომელიც სრიალის ხახუნს პრინციპულად გამოთიშვადა. ასეთ ხერხად ჩვენ მიერ დამუშავებულია მგორავი (ბურთოვანი ან გორგოლაჭოვანი) კონტაქტი, რომელშიც სრიალის ხახუნი შეცვლილია გორების ხახუნით, ამ მიზნისათვის საჭირო ზომის ბურთოვანი (ან გორგოლაჭოვანი) საკისრების გამოყენებით. მაგრამ ასეთი კონტაქტის პრინციპულ უპირატესობათა უშუალო რეალიზაცია შეუძლებელია გაპოხვის საჭიროების გამო, გაპოხვა კი არსებითად გამზომი ელექტროწრედის გაწყვეტას ახდენს.

ნე-3 ნახაზზე წარმოდგენილია მახასიათებლები განცალკევებული (ერთეული) მგორავი (გორგოლაჭოვანი) კონტაქტისათვის, რომელიც განხორციელებული იყო კონსუსტრი გორგოლაჭოვანი საკისრით 7509.

როგორც ვხედავთ, გაუბოხვად (მრ. 1)  $r_k$  მკვეთრად ზევით იშევს და  $n = 1100$  ბრ/წუთ.-ის დროს უკვე ძლიერი ვიბრაციები წამოიქმნება. სოლი-




ნახ. 6. განცალკევებული (ერთეული) მგორავი კონტაქტის  $r_k$ -ს მახასიათებლები

დოლით გაპოხვა პრაქტიკულად წყვეტს ელექტროშრედს (მრ. 2); თხევადი გაპოხვა  $r_k$ -ს რამდენიმედ დაწევას ახდენს (მრ. 3, ავტოლი);  $r_k$ -ს შემდგომი დაწევა ხდება კონტაქტის შეთბობით (მრ. 4,  $T_k = 70^{\circ}\text{C}$ ).

დამაკმაყოფილებელი შედეგი მიიღება სკეციალური გრაფიტირებული სოლიდოლის საპოხის გამოყენებისა და კონტაქტის  $T_k = 70 \pm 10^{\circ}\text{C}$ -მდე შეთბობის დროს (მრ. 5).

კონტაქტის კონსტრუქციული განხორციელება დამოკიდებულია გამოსაცდელ ობიექტზე თავისუფალი ადგილის ზომებზე. თერმოშევილებით ტემპერატურის გაზომვისას „ცივი ნარჩილი“ თავსდება მბრუნავ სხეულზე, ლილზე დამაგრებულ რეოლურ თერმოსტატში, რომლის ღრუში ტემპერატურის კონტროლი უძრავი თერმოშევილით ხდება.

ნახ. 7-ზე წარმოდგენილია მბრუნავი მასიური სპილენძის მილისის გახურებისა და გაცივების შედარებითი კომპენსაციური გაზომვების შედეგები. გაზომვები წარ-



ნახ. 7. ტემპერატურის კომპენსაციური შედარებითი გაზომვები

მოებდა თერმოშევილებით (სპილენძი—კონსტანტანი) შემდეგი კონტაქტების მეშვეობით: სინდიფის კონტაქტით (დაუმახინჯებლად მრ. 1), ჩვეულებრივი ნისლირიალე კონტაქტით (მრ. 2), და მგორავი (ბურთოვანი) კონტაქტით (მრ. 3). სიჩქარის რეჟიმები ასახულია „n“ მრუდით. როგორც ვხედავთ, მრ. 3 და 1 პრაქტიკულად ერთმანეთს ემთხვევა. მგორავი კონტაქტები მნიშვნელოვან ღირებულებას იძენენ მცირედალოვან ამძრავიან მბრუნავ სხეულებში გაზომვების დროს.

დასასრულ ავტორი მადლობას უძლვნის ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატს ბ. ტიმოფეევს ამ მუშაობის ჩატარებისას მოცემული რჩევისათვის.

სსრ კაცმურის ელსადგურების სამინისტროს  
თბილისის ნაგებობათა და პიდროვნერგეტიკის

სამეცნიერო-საკვლევი

(რედაქციას მოუვიდა 24.12.1955)

## დამოუბნებული ლიტერატურა

1. Э. Р. Нигин. Измерение температуры лопаток и дисков газовых турбин (Обзор). Обзорный бюллетень авиамоторостроения, № 11, 1948.
2. Н. П. Раевский. Методы экспериментального исследования механических параметров машин. Изд. АН СССР, 1952.
3. F. Dutee, F. Phillips a. R. Kemp. Slip rings and Brushes for constant electrical resistance.—Prod. Engineering, VI, Vol. 19, № 6, 1948, p. 129.
4. Г. Е. Рудашевский. О токосъёме при тензометрировании. Изв. АН СССР ОТН, № 1, 1948.
5. C. W. Hiatt. Rotor Temperature in the Ultracentrifuge.—Rev. scient. Instrum., II, Vol. 24, № 2, 1953, p. 182.
6. F. Spayt a. S. East. Sliding contacts-a review of the literature.—Electrical Engineering, X, Vol. 72, № 10, 1953, p. 912.
7. Д. П. Пенингер. Электрические контакты (обзор). ЖТФ, т. 10, в. 4, 1940.
8. И. Е. Дьяченко, О. Е. Кестнер и А. А. Чатынян. Исследование износа при сухом трении и повышенных температурах. Изв. АН СССР, ОТН, № 11, 1954.
9. А. С. Чертавских. О влиянии окисления на внешнее трение металлов, Труды II Вс. конф. по трению, т. 1, 1947.
10. Б. М. Царёв. Контактная разность потенциалов, ГИТГЛ, 1955.
11. Н. П. Богородский, В. В. Пасынков, Б. М. Тареев. Электротехнические материалы. ГЭИ, 1951, стр. 358.
12. А. Ю. Ишлинский и И. В. Крагельский. О скачках при трении. ЖТФ, т. 14, в. 4—5, 1944.
13. R. Holm a. S. Marys. Temperature Development in a Heater With Application to sliding Contacts.—Jour. appl. Mech., Vol. 19, 1952, p. 369.
14. E. Shoberg. Electrical Resistance of Carbon Brushes on Copper Rings.—Trans. AJEE, Vol. 73, т. III, 1954, p. 788.
15. R. Modlinger. Temperaturmessungen an elektrischen Maschinen. Elektrotechnik, Bd. 3, № 3, p. 73 und № 4, p. 105, 1949.

ფიტოპათოლოგია

ნ. ჭავჭავაძე და ე. გელოვანი

### თუთის ბაქტერიოზის მყნობით გავრცელების შესახებ

(ჭავჭავაძე აკადემიის ნამდვილმა წევრმა ლ. ყანჩაველმა 20.1.1955)

თუთის ბაქტერიოზის წინააღმდეგ პროფილაქტიკური ღონისძიებების დადგენასთან დაკავშირებით არსებითი მნიშვნელობა ეძლევა გამომწვევი ორგანიზმის გავრცელების გზების გამოკვლევებს. აღნიშნული საკითხი დღემდე საქმარისად შესწავლილი არაა. ლ. სტარიგინას, მ. გოლდინისა და სხვ. (1940) ცნობით [3], აგრეთვე ჩვენი გამოკვლევებით, დადგენილია, რომ *Pseudomonas mori* ბუნებაში უმთავრესად იზამთრებენ დავადებულ ტოტებში, საიდანაც გადადიან ახალგაზრდა ყლორტებზე და იწვევენ ავადმყოფობის შემდგომ განვითარებას.

სპეციალური ცდებით გამოვლინებულია, რომ *Ps. mori* არასტერილურ ნიადაგში შეტანისას სწრაფად იღუპება, ხოლო ნიადაგში მოხვედრილი ავადმყოფი მცენარის ნარჩენები, რომლებმთაც ვირულენტური ბაქტერიები დიდხანის ინახებიან (სანამ არ დაიშლება მცენარეული ქსოვილები), შეიძლება ინფექციის წყაროდ გადაიქცეს.

მრავალწლიურმა დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ გაზაფხულზე დამყნილ თუთის ახალგაზრდა ნერგებზე ბაქტერიოზის მასობრივ გავრცელებას აქვს ხოლმე ადგილი. ამასთან დაკავშირებით საინტერესო საკითხი ისმება მკვლევართა წინაშე: ხდება თუ არა სანამყნო კვირტებთან ერთად თუთის ბაქტერიოზის ვეგეტატურად გადასვლა? ლიტერატურაში ამ საკითხის შესახებ ჯერჯერობით მასალები არ მოგვეპოვება. აღნიშნული საკითხის შესწავლისადმია მიძღვნილი ეს კვლევა.

მუშაობა მიმდინარეობდა ორი წლის (1950, 1951 ჭ.წ.) მანძილზე თბილისის მეაბრეშუმეობის ექსპერიმენტულ ბაზაზე. ცდისათვის ავილეთ ბაქტერიოზის მიმღები ჯიშის „გრუზიას“ ძლიერ დაავადებული კალმები. უკანასკნელზე დაზიანებულ ადგილებს კიბოსებრი შეხედულება ჰქონდა და შავი ფერი გადაჰკრავდა. საძირედ აღებული იყო სრულიად სალი, ერთწლიანი თუთის ოესლნერგები. კვირტები დამყნისათვის იღებოდა დაზიანებული ადგილიდან სხვადასხვა მანძილზე როგორც ზემო, ისე ქვემო მიმართულებით—10, 20 და 25 სმ დაშორებით დაზიანებული ადგილიდან. კონტროლისათვის ჩავატარეთ სალი კალმებიდან აღებული კვირტებით მყნობა. 1950 წელს დამყნილი იყო 112 მცენარე, ხოლო 1951 ჭ. 200 მცენარე. სავეგეტაციო პერიოდის განმავლობაში საცდელ ნაკვეთებზე ტარდებოდა აგროწესებით გათვალისწი-

ნებული აგროტექნიკური ღონისძიებანი. ცდის საბოლოო ალრიცხვა ჩატარდა თვე-ნახევრის შემდეგ.

პარალელურად მიმდინარეობდა წმინდა კულტურების გაშოყოფა როგორც კალმების დაზიანებული ადგილებიდან, ისე მისგან სხვადასხვა მანძილის დაშორებით. წმინდა კულტურების მრავალჯერადი გამოყოფით დადასტურდა, რომ ვირულენტურ ბაქტერიებს შეიცავდა როგორც დაზიანებული ქსოვილები, ისე სალიც, რომლებსაც ბაქტერიოზისათვის დამახასიათებელი გარენული ნიშნები არ ემჩნეოდა. *Ps. mori* წმინდა კულტურა გამო იყოფილა დაზიანებული ადგილიდან 10 სმ, უფრო იშვიათად კი 20 სმ მანძილზე; 25 სმ დაშორებით კი კულტურა მხოლოდ ორ შემთხვევაში გამოიყო.

ორი წლის მონაცემები მოცემულია პირველ ცხრილში, საიდანაც ირკვევა, რომ ბაქტერიოზის ვეგეტატური გზით გადასვლა მყნობის შედეგად შესაძლებელია ავადმყოფი კალმებიდან აღებული კვირტებით დამყნით. ბაქტერი-

ცხრილი 1

ნომერი	ცდის ვარიანტი	ავადმყოფი და სალი წერვების თანაფარდობა პროცენტობით						შენიშვნა	
		ბაქტერიოზით და- ვადებული ადგილი-		ბაქტერიოზით და- ვადებული ადგილი-					
		დან	ზემოთ	დან	ზემოთ				
		10 სმ	20 სმ	25 სმ	10 სმ	20 სმ	25 სმ		
1	დაავადებული კალმები- დან აღებული კვირტებით მყნობა	32,4	28,2	3,2	1,2	30,8	4,2	1950 წ	
2	სალი კალმებიდან აღებუ- ლი კვირტებით მყნობა (კონტროლი)	83	—	—	—	—	—	3 კვირტი არ გაღივდა	
1	დაავადებული კალმები- დან აღებული კვირტებით მყნობა	14,6	30,3	17,2	2,1	25,9	9,9	1951 წ	
2	სალი კალმებიდან აღებუ- ლი კვირტებით მყნობა (კონტროლი)	88	—	—	—	—	—	2 კვირტი არ გაღივდა	

ოზის ყველაზე მეტი შემთხვევა ( $30,8\%$ ) აღნიშნულია იმ კვირტების დამყნის ვარიანტებში, როდესაც სანამყენო კვირტი აღებულია დაზიანებული ადგილიდან 10 სმ მანძილზე ( $\frac{1}{4}$  და და  $\frac{1}{2}$  დედა მხარეზე).

ამ ცდებმა გვიჩვენა, რომ, რაც უფრო დაცილებულია კვირტები დაზიანებული ადგილიდან, მით უფრო ნაკლები შესაძლებლობაა ავადმყოფობის გადაცემისა (ცხრ. 1), საჭიროა ალვინიშნოთ, რომ უშუალოდ დაზიანებული ადგილებიდან აღებული კვირტები მეტწილად სრულიად არ ღივდებოდა.



ამგვარად, ჩვენი ცდებით დადასტურებულია ბაქტერიოზის გავრცელების შესაძლებლობა დაავადებული კალმებიდან აღებული სალი კვირტებით, რომლებიც მოთავსებულნი არიან არა უშორეს 20 სანტიმეტრისა ინფექციის კერიდან.

მიღებული ექსპერიმენტული მონაცემები მოწმობს, რომ თუთის ბაქტე-  
რიოზის წინააღმდეგ მიმართულ კომპლექსური ბრძოლის ღონისძიებებში გან-  
საკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს:

1. საღი კალმების მიღების მიზნით სადედე პლანტაციების გამოყოფას და მათი განსაკუთრებული მოვლის უზრუნველყოფას.

2. კალმები უნდა დამზადდეს მხოლოდ სალი საფეხვ ხეებიდან.

3. საღი საკალმებ მასალის მკაცრი შერჩევა და პროფილაქტიკური წესების დაცვა (ხელების სისუფთავე, იარაღის დეზინფექცია და სხვ.). მყნობის ოპერაციების დროს.

ზემოხამოთვლილი ღონისძიებების ჩატარება საგრძნობლად შეამცირებს თუთის ხის ბაქტერიოზით დაავადებას და ააცილებს ავადმყოფობის გავრცელებას კალმებით.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

မဖြောက်တာ လာဖွေ့စ် ငိုးစိုးစွဲ

ତଥିଲାବିଶ

(ରେଡାଯିପିରାସ ମଜ୍ଜାକିରା 20.1.1955)

ଲୋକାନ୍ତର ପାଇଁ ଆମେ ଯାଏଇବୁ

1. Н. Т. Запрометов. Болезни шелковицы. Ташкент, 1953.
  2. Е. Н. Михайлов. Воздушитель бактериоза шелковицы и его культурально-физиологические особенности. Труды Ср.-АЗ. Института шелководства, в. 14, 1937.
  3. Л. П. Старыгина, М. М. Гольдин, Н. М. Лягина и Т. И. Трясунова. Бактериоз шелковицы. Журнал „Микробиология“, т. IX, в. 3, 1940.

## მთხოვანი

## ს. პითაშვილი

## ჯაგრცხილის მეტეოზოგის თვისებების უსსახელი

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვ. გულისაშვილმა 21.1.1955)

ჯაგრცხილი 6—10 მეტრის სიმაღლისა და 10—12 სმ სიმსხო ხეა. მას სახალხო მეურნეობაში საქმიანო დიდი გამოყენება აქვს.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჯაგრცხილი მხოლოდ კავკასიაშია გავრცელებული.

თავისი გავრცელების არეალში ჯაგრცხილის კორომები მხოლოდ მეორეული წარმოშობისაა, რაც გამოწვეული უნდა იყოს მუხნარების პირწმინდად მოქრით ან სხვა გზით გაჩინავებით.

ჩვენი შრომის მიზანია გავაშუქოთ ჯაგრცხილის კორომების გენეზისისა და მისი თესლით და ვეგეტატიურად გამრავლების საკითხი.

ჯაგრცხილის კორომის თესლით განახლების უფექტურობა მისი თესლის აღმოცენების უნარიანობაზე დამოკიდებული. მართალია, ჯაგრცხილი ბევრ თესლს იძლევა, მაგრამ მისი აღმოცენების უნარიანობა მცირება და 15—20% არ აღემატება. მას მოწმობს ჩვენ მიერ თბილისისა და გორის პირობებში ჩატარებული დაკვირვებები (იხ. ცხრილი 1).

## ცხრილი 1

## ჯაგრცხილის თესლის აღმოცენების უნარიანობა

ჯ ი შ ი	თ ე ს ლ ი ს				დაი- ფესა ცალლ- ბით	ცალ- ბით	%	შენიშვნა
	მოკრეფის ადგილი	მოკრეფის თარიღი	ლაბო- რატ. აღმო- ცენ. უნარი	თესვის თარიღი				
ჯაგრცხილა	ლისი (წოდორეთი)	15/IX 1951 წ.	25%	20/IX 1951 წ.	500	75	15%	
"	ვარაზისხვი	20/IX 1951 წ.	28%	22/IX 1951 წ.	500	80	16%	
"	გორი	28/IX (გარდატენი)	29%	2/X 1952 წ.	500	100	20%	

საცდელად თესლი მოკრეფილი იყო ლისის, ვარაზისხვისა და გორის მიღამოებში მისი სიმწიფეის დასრულების შემდეგ.

პირველი ცხრილიდან ჩანს, რომ მოცემულ პირობებში (გრუნტში) ჯაგრცხილის თესლის აღმოცენების უნარიანობა 20% არ აღემატება. მაგრამ, როგორც დაკვირვებებმა დაგანახვა, მიუხედავად ამისა, ჯაგრცხილის მწიფე კორომების თესლით განახლება სრულიად ნორმალურად მიმდინარეობს, რაც თესლის სიმრავლით უნდა იყოს განვირობებული.

ბუნებრივად ჯაგრცხილა სუსტად მრავლდება გადაწენით, ხოლო თითქმის სრულებით არ მრავლდება ფესვის ნაბარტყით, ფესვისა და ყლორტის კალმებით, ამიტომ ამ ჯიშის ვეგეტატიური გზით გამრავლებას სამეურნეო

მნიშვნელობაც არა აქვს. მიუხედავად ამისა, ამ საკითხის შესწავლას გარეული თეორიული ინტერესი აქვს, რისთვისაც საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ამ საკითხის ირგვლივ შეგროვებული მასალა.

თბილისის პირობებში ჩვენ ალერგიულ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა ჯაგრცხილის გადაწვენილი ყლორტის დაფესვიანებისა, რაზედაც წარმოდგენას გვაძლევს ცხრილი 2.

## ცხრილი 2

ჯაგრცხილის დაფესვიანებული ტოტის გადანაწვენის დახასიათება

ნიმუშის აღების ადგილი	ძირ- კვის ხნოვა- ნება	დაფესვიანე- ბული ტოტის		ფესვების			შენიშვნა		
		ხნოვა- ნება	სიმსხო მმ-ბით	რაო- დენო- ბა ცალო- ბით	საშ. სიგრძე მმ-ბით	საშ. სიმსხო მმ-ბით			
		ლისი	14	1,5 წ.	5	3	22	3	დედახესთან დამოკი- დებული
ვარაზისხევი	15	2,5 წ.	8	2	2,4	4	18	2	"
ლისი	15	2,5 წ.	8	3	2,4	4	18	2	"

ეე-2 ცხრილიდან ჩანს, რომ დაფესვიანების უნარი აქვს 1—2 წლის ყლორტებს, მაგრამ ისინიც მეტად სუსტად ფესვიანდებიან.

რაც შეეხება ჯაგრცხილის ძირკვის ამონაყრით განახლების უნარს, იგი ძლიერია და მას პირველხარისხოვანი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ჯაგრცხილის ძირკვის ამონაყრით განახლების უნარიანობაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი მე-3 ცხრილი.

## ცხრილი 3

ჯაგრცხილის გეგმატიური განახლების უნარიანობა

ჯიში	ათი ძირკვის			ყველაზე დიდი ამონაყრის			ყველაზე პატა- რა ამონაყრის			ყველა ამონაყ- რის საშუალო		
	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი თ	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი თ	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყ რის გან ვითარები
	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი თ	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი თ	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყრი	საშენ ნები	სიმსხ ო	ამონაყ რის გან ვითარები
ჯაგრცხილა	10 წელი	2,2	40	10 წ.	1,8	1,2	0,2	0,2	1,6	1,8	1,8	1,8
"	25 "	4,0	58	"	3,6	3,0	0,5	0,4	2,8	2,4	2,4	2,4
"	42 "	6,2	84	"	2,8	2,6	0,3	0,3	2,2	2,0	2,0	2,0
"	62 "	12,2	162	"	1,6	1,2	0,15	0,10	1,2	1,0	1,0	1,0

მე-3 ცხრილიდან ჩანს, რომ: 1. ჯაგრცხილას ძირკვის ამონაყრის მოცემის დიდი უნარი აქვს, 2. რაც მეტია ძირკვის სიმსხო, მით მეტია ამონაყართა რაოდენობა, 3. ახალგაზრდა ჯაგრცხილის საშუალო ზომის ძირკვის ამონაყარი გაცილებით უფრო ინტენსიურად იზრდება, ვიდრე მსხვილი და ხნიერი ძირკვისა, 4. აღნიშული მიზეზების გამო ჯაგრცხილის დაბლარი მეურნეობა კორომის ახალგაზრდა და შუა ხნოვანებაში გაცილებით წარმადია, ვიდრე სიბერის დროს, რაც გათვალისწინებულ უნდა იქნეს მეურნეობის წარმოებისას.

## ჯაგრცხილნარის კორომების გენეზისი

ჯაგრცხილნარის კორომების ბუნებრივი განახლების შესწავლით მიღებული მასალების ანალიზით დადგენილ იქნა ჯაგრცხილნარი კორომის განვითარების თვისობრივი განსხვავებული სამი ფაზა: საწყისი, ანუ პირველი ფაზა, შუალედი ანუ მეორე ფაზა, და საბოლოო ანუ მესამე ფაზა.

საწყისი ანუ პირველი ფაზა. როგორც აღნიშნეთ, წმინდა ჯაგრცხილნარი კორომები არ არსებობს, არამედ მასში მუდამ შეტ-ნაკლები ინტენსივობით შერეულია მუხა, წაბლი, რცხილა, წიფელი და სხვა. ქვეტყის ჯიშებიდან მასში გვხვდება შინდი, ზღმარტლი, კუნელი, ასკილი და სხვა.

ვინაიდან ჯაგრცხილნარი კორომები ყველგან მეორეული (ძირკვის ამონა-ყრით) წარმოშობისაა, ამიტომ მისი განვითარების საწყისი ფაზაც სწორედ აქვთ იწყება.

რარკვის ამონაყრით შილებულ ჯაგრცხილნარში. 1—10 წლამდე, ჯაგრცხილის ამონაყართა საერთო რაოდენობა მუდამ გაცილებით სჭარბობს მუხისას, რისთვისაც ხნოვანების ამ პერიოდში კორომს წმინდა ჯაგრცხილნარის სახე აქვს (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4.  
ჯაგრცხილისა და მუხის ამონაყართა რაოდენობრივი შეფარდება. ლისი, 1951 წ.

ჯიზი	ღეროს რაოდენობა 100 კვ. მეტრზე. ცალ-ით	ამონაყრის ხნოვანება	საშუალო სიმაღლე მ-ბით	საშუალო სიმსხო სმ-ბით	ღეროს საერთო რაოდენობა 1 ჰექტარზე
ჯაგრცხილი ტუხა (Q. iberica)	200	10 წელი	1,6	2,0	20000
თესლით მუხა (Q. iberica)	24	8	1,4	2,0	800
ამონაყრით	48	12	1,8	2,5	1600

მე-4 ცხრილიდან ჩანს, რომ: 1. მოცემულ კორომში ჯაგრცხილა რაოდენობრივად თითქმის 20-ჯერ სჭარბობს მუხის თესლით აღმონაცენსა და ინტენსივური ამონაყარს, 2. ტყის გაჩენის შესამე წლიდან ადგილი აქვს მუხის თესლის აღმოცენებასაც. ეს უკანასკნელი, სარგებლობს რა ჯაგრცხილის ქურქით, საბურველის ლია ადგილებში ინტენსიურად იზრდება.

შუალედი, ანუ მეორე ფაზა. ეს ფაზა იწყება 10—11 წლიდან და გრძელდება 25—30 წლამდე. ამ პერიოდში მუხა, სარგებლობს რა ჯაგრცხილის მიერ შექმნილი ქურქით, სიმაღლეზე ზრდაში ეწევა, ხოლო ზოგჯერ უსწრებს კიდეც ჯაგრცხილის და ძლიერ ვარჯს ივითარებს. ეს პერიოდი, როდესაც მოცემულ კორომში მუხა თავის პირველდელ მფარველ ჯიშთან (ჯაგრცხილა) კონკურენციაში უპირატეს მდგომარეობას იღებს.

ამ ბრძოლაში მუხის გამარჯვების თვალსაჩინო ფაქტია ჯაგრცხილის ღეროთა საერთო რაოდენობის შემცირება ფართობის ერთეულზე მუხის სასარგებლოდ. ჯაგრცხილის კორომის ბუნებრივი განვითარების ამ ფაზაში ღეროს შედარებით ძლიერი გამოხშირვა სახეობათა შორის მძაფრი ბრძოლის აშკარა გამოხატულებად უნდა ჩაითვალოს.

ჯაგრცხილნარი კორომის განვითარების II ფაზის ბოლოს კორომის შემცირების ჯიშების რაოდენობრივ თანაფარდობაზე წარმოდგენას გვაძლევს მე-5 ცხრილი.

ცხრილი 5  
ჯაგრცხილისა და მუხის ღეროთა თანაფარდობა II ფაზის ბოლოს

ჯ ი შ ი	ღეროს რაო- ცხნისა 100 კვად. მეტრზე ცალობით	ხეების საშუა- ლო ხნოვანე- ბა	ხეების საშუალო სამაღლე მ-ბით	ხეების სა- შუალო სიმ- ხო სმ-ბით	ღეროს საერ- თო რაოდე- ნისა 1 ჰაზე ცალობით
ლისში ჯაგრცხილა მუხა (Q. iberica)	160 20	23 25	3,5 4,0	4,0 10,0	16000 2000
ვარაზისხევში ჯაგრცხილა მუხა (Q. iberica)	120 48	22 24	5,0 4,0	3,0 6,0	12000 4800

მე-5 ცხრილიდან აშკარაა, რომ, თუ 10 წლის ხნოვანების კორომში 1 ჰექტარზე მოდიოდა (ცხრ. 4) საშუალოდ 20000 ჯაგრცხილის ღერო, 23—25 წლის ასაკისათვის იგი შემცირებულია 16000-დან (წოდორეთი) 12000 ცალამდე (ვარაზისხევი). ჯაგრცხილნარი კორომის განვითარების II ფაზა იწყება 10—11 წლიდან და გრძელდება 20—25 წლამდე. ეს ის პერიოდია, როდესაც კორომის შედგენილობაში გარკვეული რაოდენობრივი და თვისობრივი ცვლილებები ხდება: ჯაგრცხილნარი კორომი იქცევა ჯაგრცხილნარ-ძუხნარად.

მესამე ანუ ბოლო ფაზა. ეს ფაზა უნდა ჩაითვალოს ჯაგრცხილნარის განვითარების საბოლოო საფეხურად, ვინაიდან ამ ფაზაზე სრულდება ბუნებრივი და ჯაგრცხილნარ-ძუხნარი კორომის გადაქცევა მუხნარ-ჯაგრცხილნარად. ეს ფაზა იწყება 20—25 წლიდან და სრულდება 40—45 წლის ასაკში, როდესაც კორომის შედგენილობის კოეფიციენტი აშკარად იცვლება მუხის სასარგებლობა.

რაც შეეხება ქვეტყეს, იგი სახეობრივი შედგენილობის მიხედვით, გართალია, თითქმის უცვლელი ჩემბა, მაგრამ რაოდენობრივად მცირდება. ამ ფაზაში მიუხედავად იმისა, რომ რაოდენობრივად ჯაგრცხილი თითქმის ორჯერ მეტია, ვიდრე მუხა, სიდიდის მიხედვით (სიმაღლე, სიმსხო) ის მეტად ჩამორჩება მუხას, რის გამოც ფაქტობრივ კორომი გახდა მუხნარ-ჯაგრცხილნარი. მუხისა და ჯაგრცხილის ბრძოლა აქ უკვე მუხის გამარჯვებით დაგირგვინდა. მოცემულ კორომში მუხას პირველი სართული უკავია და თუ ადამიანი არ ჩერია, ეს მისი მყარი მდგომარეობა იქნება.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია

სატყეო ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 21.1.1955)

დამომახული ლიტერატურა

1. В. Бушн. Ботанико-географический очерк Кавказа. Москва, 1935.
2. А. Грушевский. Степи Кавказа. Тифлис, 1928.
3. А. А. Гросгейм. Анализ флоры Кавказа. 1936.
4. А. А. Гросгейм. Растительные ресурсы Кавказа. АН Аз. ССР, 1946.
5. З. Гулиашвили. Мезотипы Кавказа, № 1. Тбилиси, 1944.
6. Б. Гуцишвили. Степи Кавказа. Музейно-выставочный зал Кавказа. Тифлис, 1935.
7. Я. С. Медведев. Деревья и кустарники Кавказа. Тифлис, 1919.
8. М. Мирчашвили. Дубравы Кавказа. № 2. Тбилиси, 1948.

## ნიადაგმცოდვეობა

## 6. პარაგველია

სასუმნების განვითარება ჩაისა და ციტრუსების ფესვთა სისტემის  
განვითარებაზე

(წარმოადგინა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა მ. საბაშვილმა 16.12.1954)

რაციონალური მიწათმოქმედება, კერძოდ სასუქების გამოყენება, შეძლებელია მცენარის ფესვთა სისტემის განვითარების ხასიათის შესწავლის გარეშე, რაზედაც სრულიად სამართლიანად ბიგვითოთებს ს. კუდრინი [1].

ხეხილის ბალებში სასუქების შეტანისას ხშირად არ აქცევენ ყურადღებას ფესვების განვითარების ხასიათს. მაგალითად, სასუქები შეავათ მხოლოდ შტამბის ირგვლივ 20 სმ სილრმეზე, იმ ღროს, როდესაც მრავალწლიან მერქნიან მცენარეთა შემწოვი ფესვთა სისტემა სცილდება კრონის პროექციის საზღვარს და 20 სმ-ზე უფრო ღრმად მიდის. სასუქების ზედაპირული შეტანის შედეგად ხე იძულებულია გაავითაროს დამატებითი შემწოვი ფესვები ნიადაგის ზედა, მშრალ ფენაში, ვინაიდან სასუქების ღრმად შეტანა (20 სმ უფრო ღრმად) დაკავშირებულია ტექნიკურ სიძნელეებთან და ამიტომ უკანასკნელ დროში ეს ორნისძიება არ არის საკმაოდ დამუშავებული იმისათვის, რომ შეიძლებოდეს მისი დანერგვა წარმოებაში. ა. ტულინის მიერ [2] წამოყენებულია შემდეგი საინტერესო ხერხი, რომელიც იძლევა სასუქების ღრმად გადაადგილების საშუალებას. ავტორმა ცდის დაყენების საშუალებით დამტკიცა, რომ სუპერფოსფატის შეტანა ნახევრად დამწვარ ნაკელთან და ამონიუმის სულფატთან ერთად ხელს უწყობს ფოსფორის ძრადობის გადიდებას, რომელიც ყირიმის კარბონატულ ნიადაგებში გადაადგილდება შეტანის ადგილიდან 15—20 სმ სიღრმეზე.

ამ გაორმოებით აიხსნება, ალბად, ის ფაქტი, რომ ორგანული და მინერალური სასუქების ერთად შეტანა, მაგალითად ვენახებში [3], უფრო ეფექტურია, კიდრე ამ სასუქების ცალ-ცალკე შეტანა.

წამყვანი სუბტრობიკული კულტურების (ჩაისა და ციტრუსების) ფესვთა სისტემის განვითარებაზე სასუქების გავლენის შესახებ შედარებით შცირე მონაცემებია. ძაგალითად, მიგვითითებენ [4] ფოსფორმჟავა სასუქების ძლიერ მოქმედებაზე ჩაის ბუჩქის ფესვთა სისტემის მიმართ.

1951—52 წელს ჩვენ შევისწავლეთ მანდარინის ხის და ჩაის ბუჩქის ფესვების განვითარების საკითხი სასუქების შეტანასთან დაკავშირებით. ამ მიზნით ჩვენ შევიჩიეთ მანდარინის მცენარეები ჩაისა და სუბტრობიკული კულტურების საკავშირო კვლევითი ინსტიტუტის სოხუმის ფილიალის კელასურის ბაზაზე, ეწერ ნიადაგზე. ჩაის ბუჩქების გათხრა წარმოებდა იმავე ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში წითელმიწა ნიადაგზე. ორივე შემთხვევაში არჩეული იყო საკონტროლო (სადაც სასუქი არ შექმნდა) და ორგანულ-მინერალური სასუქებით განოყიდებული გარიანტები.

სრულმოსავლიან მანდარინის პლანტაციაზე (1938 წლის ნარგავი) ფესვების გათხრით ჩვენ ვცდილობდით გაგვიშექებინა ფესვთა სისტემაზე სასუქების გავლენის საკითხი.

შეისწავლებოდა შემდეგი ვარიანტები: 1. საკონტროლო (უსასუქო), 2. სრული მინერალური სასუქი: ფოსფორიანი და კალიუმიანი, აგროწესების თანახმად, და 200 კგ აზოტი ჰაზე სულფატ-ამონიუმის სახით, 3. ნაკელი 200 კგ აზოტის ეგვივალენტური რაოდენობით.

სასუქები შეაქვთ ყოველწლიურად, 1947 წლიდან დაწყებული, ერთისა და იმავე რაოდენობით, ერთისა და იმავე ხეების ქვეშ.

ფესვების გათხრა წარმოებდა ხის ერთ ნახევარზე, ყველა შემთხვევაში რიგთაშორისის ერთისა და იმავე მხრიდან. ჩვენ ამოცანაში არ შედიოდა ფესვთა სისტემის მთლიანი ამოთხრა, ჩვენ გვინდოდა დაგვედგინა შემწოდების შეფარდება ჩონჩხის ფესვებთან და მათი ურთიერთგანლაგება სხვადასხვა ვარიანტზე. გათხრილი ფესვები ჩაიხატებოდა.

შეტანილი სასუქების სახესთან დაკავშირებით მანდარინის ხის ფესვების განვითარების შესწავლამ შემდეგი გვიჩვენა:

1. ჩონჩხიანი ფესვები ვარჯის პროექციის საზღვარს სცილდება; ვარჯის რადიუსი საშუალოდ 1 მ შეადგენს, ხოლო ცალკეული ფესვების სიგრძე 3 მეტრს აღწევს;

2. საკონტროლო მცენარეების (უსასუქო) შემწოვი ფესვები განლაგებულია ფესვთა სისტემის პერიფერიაზე — ჩონჩხიანი ფესვების ბოლოებზე შტამბიდან, დაახლოებით 3 მ მოშორებით;

3. სასუქების შეტანისას შემწოვი ფესვების ძირითადი მასა განლაგებულია შტამბთან შედარებით ახლოს — ნაკვეთის განოყიერებულ ნაწილში, ე. ი. დაახლოებით 1 მ რადიუსში. ამით ირლვევა მცენარის ბუნებრივი უნარიანობა წარმოქმნას შემწოვი ფესვები ჩონჩხიანი ფესვების ახალგაზრდა ნაწილებზე;

4. ფესვების უმრავლესობა განვითარებულია დამუშავებულ და განკუიერებულ სახნავ ჰორიზონტში (15—20 სმ) და მხოლოდ ერთეული ფესვები ცალკეულ იდგილებში, სადაც ღრმა და ფხვიერი ნიადაგია, 40—50 სმ სიღრმეს აღწევენ;

5. შემწოვი ფესვების განვითარება მხოლოდ სრული მინერალური სასუქის შეტანისას (NPK) საგრძნობლად არ განსხვავდება ფესვების განვითარებისაგან უსასუქო ფონზე;

6. ნაკელის შეტანა მკვეთრად ზრდის შემწოვი ფესვების რაოდენობას.

ხეხილოვანი მცენარეების ფესვების განვითარებაზე ორგანული სასუქების ზეგავლენის შესწავლას მინერალური სასუქების გავლენასთან შედარებით აწარმოებდა აგრეთვე ა. პრიმაკი [5].

ფუნჯა ფესვების ინტენსიური წარმოქმნა ნაკელის ზეგავლენით, ჩვენი აზრით, აისნება, ერთი მხრივ, ამ სასუქში სხვადასხვა საკვები ელემენტების დიდი შემცველობით, ხოლო მეორე მხრივ — მინერალური სასუქი შედარებით ადვილად ისნება წყალში და ხსნარის სახით მიედინება შემწოვ ფესვებთან. ნაკელი კი არ შეიზავება თანაბრად ნიადაგთან, საკვებისა და წყლის მაღალი კონცენტრაციის ქრებს ქმნის ნიადაგში და ხელს უწყობს ფესვების განვითარებას ასეთ ქრებში. ამიტომ შემწოვი ფესვების შეფარდება ჩონჩხის ფესვებთან, როგორც მოყვანილი სურათიდან ჩანს, მკვეთრად იზრდება. ნიადაგის ცალკეული კოშტები იმდენად დახლართულია ფესვებით, რომ მათი მოცილება შეუძლებელი ხდება.

ზოგიერთი ავტორი [6] ნაკელის დადებით მოქმედებას ფესვებზე მიკო-რიზის გაძლიერებული ცხოველმოქმედებით ხსნის.

შესაძლებელია, რომ ნაკელი უწყობს ხელს ნიადაგის გამდიდრებას სხვა მიკროორგანიზმებით, რომელთა გარეშე როგორც აშას აღნიშნავენ ლ. დოროსინსკი და კ. ლაზარევი [7], მცენარეები ცუდად ვითარდება.



საკონტროლო; 2→NPK; 3 ნაკელი

შემდგომ ჩვენ შევუდექით საკვლევი მცენარეების ფესვების ოდენობრივ ალრიცხვას, ვცდილობდით რა დაგვემცირებინა კაცშირი ფესვების ზრდასა და ნიადაგის ეფექტურ ნაყოფიერებას შორის. ფესვების გამოსარეცხად ნიადაგის ნიმუშებს ვიღებდით კოლესნიკოვის მიერ „ამოყენებული „დამოუკიდებელი მონოლიტის“ მეთოდის მიხედვით, შემწოდი ფესვების მთავარი მასის გავრცელების სილრჩევები. შონლოლიტის ფართობი  $25 \times 25$  სმ ზოგიერთ შემთხვევაში  $10 \times 10$  სმ. უღრიდა, სიღრმე — 20 სმ. ცდა ტარდებოდა საშმაგი განმეორებით. ჩაის პლანტაციაზე მონლოლიტს ვიღებდით რიგთაშორისის შეკაში, ხოლო ციტრუსების პლანტაციაზე — ფესვების პერიფერიაზე. ფესვებს ვრცელდით 0,25 მშ ნახველებიან საცრებზე და ვწონიდით ჰაერმშრალ მდგომარეობაში.

როგორც ზემომიყვანილი ცხრილიდან ჩანს, არსებობს პირდაპირი კავშირი სასუქების სისტემატური შეტანისას ჰაერმშრალი ფესვების წონასა და ნიადაგის გადიდებულ ნაყოფიერებას შორის.

ცხრილი 1

## ფესვთა სისტემის განვითარების დამოკიდებულება ნიადაგის ნაყოფიერებაზე

ფ	ნიადაგი	პლანტაცია	ვარიანტი	სიღრ	ნაყოფიერების ელემენტები						კლი	
					ნატრიუმი	PH	ფირფრებული ფენოლი	ფირფრებული ფენოლი	P <sub>2</sub> O <sub>5</sub>	K <sub>2</sub> O	შესათვისებელი მგ 100 გ ნიადაგში	
I	ეწერი	მანდარინის (პლანტაციი)	საკონტროლო NPK	0—20 0—20	1,47 2,34	5,30 4,65	13,8 28,1	111,0 136,5	—	6,1 146,9	24,4 12,5	11,0 12,5
II	"	" "	საკონტროლო NPK + ნაკელი	0—20 0—20	1,41 2,57	5,46 5,70	15,8 16,3	96,6 115,9	13,3 31,5	8,1 24,2	10,2 16,5	
III	წი- თელ- მიწა	ჩაის პლან- ტაცია	საკონტროლო	0—20 20—40	— —	5,11 4,99	14,8 —	100,8 105,9	—	25,0 —	7,9 12,5	7,9 9,1
	"	" "	NPK	0—20 20—40	5,77 5,58	4,64 4,42	19,1 —	276,4 166,5	54,1 8,3	24,9 16,4	14,2 7,3	
	"	" "	NPK + ნაკელი	0—20	6,81	4,04	18,9	232,8	29,1	12,5	15,2	
			"	20—40	3,79	4,27	—	130,4	8,2	8,2	6,8	

ამრიგად, პვლევის შედეგად ჩეენ მივდიგართ იმ დასკვნამდე, რომ სუბტროპიკულ მრავალწლიან ჰცენარეთა ფესვების რაოდენობა იზრდება სასუქების ზეგავლენით. ეს კანონზომიერება გვიკარნახებს სასუქების შეტანის საჭიროებას შემწოდი ფესვების გავრცელების ზონაში და ფოსფორ-კალიუმინი სასუქების ადგილობრივ ღრმად შეტანას მცენარის კვების მოცულობის გადიდების მიზნით. ზემოთქმულთან დაკავშირებით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სასუქების ორგანულ-მინერალურ სისტემას.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემია

ნიადაგმცოდნების, აგროქიმიისა

და მელიორაციის ინსტიტუტი

თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 16.12.1954)

### დამოწმებული ლიტერატური

1. С. А. Кулрин. Об одном из главных недостатков исследовательской работы по удобрениям. Агробиология, № 1, 1951.
2. А. С. Тулин. Внесение фосфатов в зону залегания корневых мочек яблони. Сад и огород, № 10, 1951.
3. А. К. Переверзева. Внесение удобрений на виноградниках. Виноделие и виноградарство СССР, № 10, 1951.
4. М. К. Дараселия и Н. С. Бабилодзе. Бюллетень ВИИЧ и СК, № 1, 1951.
5. А. К. Приймак. Избирательное отношение корней к удобрениям. Сад и огород, № 10, 1951.
6. М. Рейнер и В. Нельсон-Джонс. Роль микориз в питании деревьев. М., 1949.
7. Л. М. Доросинский и Н. М. Лазарев. Роль микроорганизмов в корневом питании растений. Агробиология, № 2, 1951.

## მუსა მაშატაძის მინიცენტი

ლ. ჭავაძე

პიპერტონიული დააგადებისა და მასპერიტონიული პიპერტონის  
 დროს ნერვ-სისხლძარღვისა აპარატის ცვლილებების  
 საკითხებისათვის

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა მ. წინამძღვილმა 1.3.1955)

ნერვ-სისხლძარღვთა აპარატის ცვლილებების მინიშვნელობა ჰიპერტონიული დააგადების დროს ფრიად დიდია. თუ ცენტრალური მარკებულირებული წარმონაქმნების—თავის ტვინის ქერქის, უნაღლესი ვეგეტატიური ცენტრების ფუნქციების მოშლა განსაზღვრავს ჰიპერტონიული დააგადების წარმოშობა— განვითარებას [4,5], დროთა განმავლობაში ჩამოყალიბებული სისხლძარღვთა სისტემის შორის ფლობულობის ცვლილები ძირითად როლს ასრულებს ცალკეული ორგანოებისა და სისტემების სიცოცხლისათვის უაღრესად სახითათ დაზიანებათა წარმოქმნაში.

პათომორფოლოგების მიერ კარგად დღიურილი სისხლძარღვთა დაზიანების ფორმები ჰიპერტონიული დააგადების დროს [1] გვამური მასალის შესწავლას ეყარება.

რაც შეეხება ნერვ-სისხლძარღვთა დაზიანებების განვითარების ტემპს, მათ კავშირს შენების მომატებასთან, ჰიმორალურ ფაქტორებთან, ეს საკითხი ჯერ კიდევ არასაჭმაოდაა შესწავლილი, ამიტომ ჩვენ მიზანშეწონილად ვცანით შეგვესწავლა კლინიკაში, აგრეთვე გვამურ მასალაზე და ექსპერიმენტული რეფლექსოგენური ჰიპერტონიის დროს: ა) სინკვაროტიდული ზონის, აორტის რკალის, აორტის გულმკერდისა და მუცელის ნაწილების ნერვული აპარატი; ბ) ჰიპერტონიული ავადმყოფობით შეპყრობილთა შრატის პრესორული ეფექტი; გ) ჰიპერტონიული ავადმყოფობით შეპყრობილთა რეაქცია პრესორულ და დეპრესორულ ნივთიერებებზე; დ) სხვადასხვა მიზამოს სისხლძარღვთა პათომორფოლოგიური ცვლილებები რეფლექსოგენური ჰიპერტონიის დროს.

ჰიპერტონიული დააგადების დროს კლინიკის თანამშრომელთა მიერ კარიტიდული სანუსის აორტის რკალის, აორტის გულმკერდისა და მუცელის ნაწილების ნერვული აპარატის შესწავლისას შესაძლებელი იყო როგორც ნერვული ბოჭკოების, ისე რეცეპტორების უეპელი დაზიანების დადგენა. ნერვული ბოჭკოების დაზიანების ხარისხი ერთნაირი როდი იყო სხვადასხვა შემთხვევაში და, მკვეთრად შეცვლილი ბოჭკოების დიდ რაოდენობასთან ერთად, ადგილი ჰქონდა ისეთ შემთხვევებსაც, სადაც ნერვული ბოჭკოების ცვლილებები შეტად უმნიშვნელოდ იყო გამოხატული.

აღნიშვნულ სისხლძარღვთა ადვენტიციაში, აგრეთვე *vasorum*-ზე, განლაგებული რეცეპტორული აპარატები იმყოფებოდა დეგენერაციის სახისათვის. სტადიაში, დაწყებული დესტრუქციული პროცესის საწყისი სტადიებიდან (არგენტოფილია, ვარიკოზულ დამსხვილებათა წარმოქმნა), გათავებული მძიმე დაზიანებებით მგრძნობიარე დაბოლოებების დაშლით. ეს



უკანასკნელნი კაროტიდულ სინუსში გაცილებით უფრო იშვიათად აღმართებენ  
ბოდენ, ვიდრე აორტაში. ნერვული ბოჭქოებისა და მგრძნობიარე დაბოლო-  
ებების დაზიანებას ყველა შემთხვევაში კეროვანი



სურ. 1. კაროტიდული სინუსი. ჰიპერტონიული დავა-  
დება. რეცეპტორების დაცვებულისა და სტადია

დროს (კარდიოპულმონალური ნაკლოვანება, კიბო, ჰერიტონიტი). ამასთა-  
ნავე პირდაპირი დამოკიდებულებაც არ ყოფილა ნერვული სინუსისა და აორტის ნერვული  
აპარატის ნერიროპისტოლოგიური ცვლილებები უმნიშ-  
ვნელობი იყო გამოხატული აგრეთვე რიგ დავადებათა

ცოველივე ეს მიგვითითებს იმაზე, რომ ჰიპერტონიული დავადების  
დროს ნერვული ბოჭქოებისა და კაროტიდული სინუსის, აორტის რეალისა  
და აგრეთვე მისი გულმკერდისა და მუცელის ნაწილების რეცეპტორების მორ-  
ფოლოგიური ცვლილებების განვითარებაში ძირითად როლს ასრულებს არა  
სისხლის წნევის სიმაღლე, სისხლის მიმოქცევის მოშლის ხარისხი და ინტოქ-  
სიკაციის სიძლიერე, არამედ ცენტრალური ნერვულ-რეგულატორული აპარა-  
ტების ცვლილებები.

არავითარ ეჭვს არ იწვევს, რომ მსხვილ სისხლძარღვთა პერიფერიული  
ნერვული აპარატების აღწერილი მორფოლოგიური ცვლილებები მეორეულია.  
ცენტრალური ნერვული სისტემის—თავის ტვინის ქერქისა ქერქქვეშა ცენტრე-  
ბის პირველად დაზიანებას, რაც იწვევს წნევის მომატებას, შედეგად მოსდევს,  
უპირველეს ყოვლისა, მექანორეცეპტორების ხანგრძლივი და ძლიერი გალი-  
ზიანება, რაც თავს იჩენს როგორც მათი ფუნქციების ცვლილებებში, ისე მა-  
თი მორფოლოგის განსაზღვრულ ეტაპზეც.

იმასთან დაკავშირებით, რაც ითქვა, შეიძლება ვითიქროთ, რომ პერი-  
ფერიული ნერვული წარმონაქმნების აღწერილ სტრუქტურულ ცვლილებებს

და მგრძნობიარე დაბოლო-  
ებისათი ჰქონდა (სურ. 1,  
2, 3, 4). ანალოგიური მო-  
ნაცემები აქვთ მიღებული  
უ. ს მირნოვასა [6] და  
შ. შენგელიას [8].

ჰიპერტონიული დავა-  
დების დროს კაროტიდული  
სინუსისა და აორტის ნერ-  
ვული აპარატის ეს ცვლილე-  
ბები მკვეთრად განსხვავდე-  
ბოდა იმისაგან, რაც აღმო-  
აჩნდათ შემთხვევითი მიზე-  
ზებისაგან დალუპულ პირებს  
(სასამართლო-სამედიცინო  
მასალები), სადაც არავითა-  
რი მორფოლოგიური ცვლი-  
ლებების დადგენა არ მოხერ-  
ხდა. კაროტიდული სინუსი-  
სა და აორტის ნერვული  
აპარატის ნერიროპისტოლო-  
გიური ცვლილებები უმნიშ-  
ვნელობი იყო გამოხატული  
აგრეთვე რიგ დავადებათა

შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ცენტრას და პერიფერიას შორის ფიზიოლოგიურ თანაფარდობათა დარღვევა სისხლძარღვთა აფერენტული სისტემების გაუკულ-მართებული იმპულსაციის ხარჯზე. ამ უკანასკნელმა გავლენა უნდა შოახდინოს სისხლძარღვთა რეაქციების ხასიათზე და პუმონალური პრესორული ავენტების მოქმედებაზე.

ამ კითხებაზე პასუხს შეიაღება წარმოადგენდეს ოოგორუც ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილთა რეაქცია პრესორულ და დეპრესორულ ნივთიერებათა შეყვანაზე, ისე თანაფარდობა ამ ავადმყოფთა შრატის პრესორულ ეფექტსა და სისხლის წნევის დონეს შორის.


ოოგორუც ჩვენი კლინიკის ასისტენტის მოსკვიჩევას გამოკვლეულმა გვიჩვენა, იმ შემთხვევაში, ოოცა ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილს უკეთდება ადრენალინის ხსნარის ( $1 : 1000$  და  $1 : 10000$ ) 0,25—0,5 მლ და ნიტროგლიცერინის

$1\%$  და  $0,1\%$  ხსნარის 2 წევთი მიეცება (ენის ქვეშ), არაიშვიათად შეიძლება დადგენილ იქნეს ფაზურ რეაქციათა შემდეგი ფორმები:

1. რეაქცია ოოგორუც საშუალო, ისე მინიმალური დოზების შეყვანაზე;
2. ულტრაპარადოქსული რეაქცია — სისხლის წნევის დაწევა ადრენალინის შეყვანის შემდეგ და მომატება ნიტროგლიცერინის მიცემის შემდეგ;
3. რეაქციის ინერტობა — ჰიპერტონიული ავადმყოფობით შეპყრობილები აღინიშნებოდა გაცილებით ნელი დაბრუნება საწყის სიდიდეებამდე, ვიდრე ჯანმრთელებში.

ვინაიდან არ გვქონდა შესაძლებლობა მიგველო რენინი ქიმიური გზით, ავრეთვე განგვესაზღვრა იგი სისხლში სპექტროოფორმეტრიულად, შრატის პრესორული ეფექტის დონის გასარევებად გამოვიყენეთ პრესორულ ნივთიერებათა განსაზღვრის ბიოლოგიური მეთოდი.

ეს საკითხი გულდასშით. შეიავლება სტუდენტებმა კულტრიაცევებამ და პისარევამ, ოოგორუც განოიყენეს ტრენდელენბურგის შეთოდი. მათ შეძლეს





საცემით გარკვევით დაედგინათ, რომ არ არსებობს პირდაპირი თანხურულობა სისხლის წნევის დონესა და შრატის პრესორულ ეფექტს შორის. მაგალითად, ავადმყოფში  $170/100$  მმ (სს) სისხლის წნევით შრატის პრესორული ეფექტი უდრიდა  $53\%$ , ხოლო ავადმყოფში  $200/100$  მმ სისხლის წნევით შრატის პრესორული ეფექტის დადგენა არ მოხერხდა. ოთხ ავადმყოფში, რომელთაც ჰქონდათ ერთნაირი წნევა —  $160/100$  მმ (სს), ზრატის პრესორული ეფექტი მერყეობდა  $3\%-34\%$  შორის (ცხრილი 1).



სურ. 3. გულმკერდის აორტი. ჰიპერტონიული დაავადება. მგრძნობიარე დაბოლოების დაშლა გულმკერდის აორტის შუა გარსში

რალური ფაქტორის მნიშვნელობა სისხლის წნევის სტაბილიზაციის, რადგან პრესორული ეფექტი დამოკიდებულია არა იმდენად მიმღებელი პრესორული ნივთიერებათა რაოდენობისაგან, რამდენადაც ცენტრალური [5] და პერიფერული ხერცული აპარატების აგზნებადობისაგან. უკანასკნელთა მორფოლოგიური ცვლილებების დონე კი ჩვენ მიერ ნაჩვენები იყო ზემოთ, რითაც, როგორც ჩანს, აიხსნება აღმოჩენილი არაშესატევისობა შრატის პრესორულ ეფექტსა და სისხლის წნევის დონეს შორის ჰიპერტონიული დაავადებით შეპყრობილებში.

ნათესავის დადასტურება მიღებულ იქნა ასისტენტ არდამატსკის მიერ, როცა იგი შეისწავლიდა იგრძელვე პრესორულ ნივთიერებათა გამოჩენის დროს ექსპერიმენტული ჰიპერტონიით შეპყრობილი ძალების სისხლში, საღაც შესაძლებელი შეიქნა იასის დადგენი, რომ შრატის პრესორული ეფექტი მატულობს არა სისხლის წნევის მომატებასთან ერთად ანდა ჰიპერტონიის განვითარების პირველ დღეებში, არამედ ოპერაციიდან შემოღებულ 5—6 კვირის შემდეგ. სხვანაირად რომ ვთქვათ, კაროტიდული ზონის გამოთიშვის შემდეგ ძალებში ჰიპერტონია წარმოიქმნება უმაღ, ვიღრე სისხლში გაჩნდება პრესორული ნივთიერებანი.

ბაბიკოვას ნაშრომის საფუძველზე, რომელშაც ძალლებში აღმოაჩინა აორტის რკალის რეცეპტორების ორთოლოგიური ცვლილებები ჩენინის ვენაში შეყვანიდან და სისხლის წნევის  $100$  მმ-დე (სს) მომატებიდან 5 საათის

ცხრილი 1

პრესორულ ნივთიერებათა შემცველობა ჰიპერტონიული დაავადებით და წეფრიტით  
შეპორობილთა სისხლში (შრატი განვავებით 1:50)

№/რ ჩ	ავადმყოფის გვარი	დიაგნოზი	სისხლის წნევა	სისხლძარღვთა შევიწროების %
				1
1	2	3	4	5
1	მ-ვა	ჰიპერტონიული დაავადება	230/130	230/0
2	ს-ვი	"	210/110	90/0
3	ვ-ნა	"	200/150	120/0
4	მ-რი	"	200/100	—
5	შ-ლი	"	200/100	140/0
სისხლძარღვთა გაფართოება				
6	ვ-ოვი	"	190/100	330/0
7	ჩ-ვა	"	190/100	560/0
8	(ვ-ოვი)	"	185/110	330/0
9	ქ-ოვი	"	180/140	300/0
10	მ-ევი	"	180/115	270/0
11	კ-ევი	"	180/100	430/0
12	პ-ვა	"	180/110	400/0
13	კ-ოვი	"	175/115	370/0
14	ტ-ოვი	"	170/100	530/0
15	უ-ინი	"	170/80	350/0
16	რ-კო	"	160/100	160/0
17	ა-ინი	"	160/90	30/0
18	შ-ნა	"	160/90	200/0
19	დ-იუკი	"	160/85	130/0
20	კ-ნა	"	160/80	190/0
21	ე-ოვი	"	160/70	120/0
22	კ-ვა	"	155/95	—
23	ტ-ევი	"	155/80	340/0
24	ს-ერი	"	130/80	—
25	ს-ევი	"	130/70	100/0
26	პ-კი	"	180/115	520/0
27	გ-ვა	ქრონიკული წეფრიტი	220/130	430/0
28	ა-ვა	"	200/110	130/0
29	მ-იჩი	"	160/80	310/0
30	კ-ერი	"	120/60	240/0
31	ნ-ვი	მშვავე წეფრიტი	180/115 და 180/110	100/0 0/0
32	ზ-კო	"	150/90 და 120/70	16.60/0 და 150/0-ით

გავლის შემდეგ, უნდა ვიფიქროთ, რომ განსაზღვრულ ეტაპებზე სისხლის წნევის მომატება პრესორულ ნივთიერებათა განვითარების ხარჯზე იწვევს რეცეპტორული აპარატების რეაქტიულ, მაგრამ, მასნიკოვის აზრით, შექმენებად ცვლილებებს. ეს მოწმობს ფუნქციების პრიმატს და, გასაგებია, რომ საჭიროა გარკვეული დრო, რათა ჩამოყალიბდეს ნერვ-სისხლძარღვთა აპარატის სათანადო მორფოლოგიური ცვლილებები. აქედან ბუნებრივია გარაული იმის შესახებ, რომ სისხლძარღვთა ნერგული აპარატის, მათ რიცხვში სისხლძარღვთა მკვებავ სისხლძარღვთა ნერგული აპარატის ფუნქციურ და მორფოლოგიურ ცვლილებათა სტადიურობამ თავისი გამოხატულება უნდა პოვოს თვით სისხლძარღვთა კედლების მორფოლოგიურ ცვლილებათა სტადიურობაშიც.



სურ. 4. მუცლის აორტა. ჰიპერტონიული დაავადება. მგრძნობიარე დაბოლოების გამოხატული დეფენსიურაცია

საჭირო არ არის იმის სპეციალური მტკიცება, რომ ჰიპერტონიული დაავადებისათვის სისხლძარღვთა ტიპობრივი დაზიანებანი, ჰიპერპლასტიკური, ინფილტრაციული და ნეკროზული პროცესების სახით (ლანგი [4]), წარმოადგენენ მორფოლოგიურ ცვლილებათა მოგვიანებულ და საბოლოო სტადიებსაც კი, ამიტომაც არ შეიძლება გამოყენებულ იქნენ იმისთვის, რომ ვიქინიოთ მსჯელობა სისხლძარღვთა ცვლილებების აღრეულ ფუნქციურ და, შესაძლოა, შექცევად ფორმებზე. დასმული საკითხის გადაწყვეტაში საწყისი ეტაპი შესაძლოა ყოფილიყო სისხლძარღვთა პათოპისტოლოგიური შესწავლა ექსპერიმენტული ჰიპერტონიის დროს.


ექსპერიმენტული რეფლექსოგენური ჰიპერტონიის დროს გორევში [2] ძალლებში ოპერაციიდან 3—4 თვის გავლის შემდეგ გულისა და ფილტვების სისხლძარღვებში აღმოაჩინა არგენტინული მემbrane-რანების დამსხვილება. ოპერაციიდან 6 თვის შემდეგ არგენტინულური შეტბრანები განიცდიან გალობას და კოლაგენზაციას. ამასთან ერთად ალინიშნებოდა გრძოლელის ჰიპერპლაზია და გაფაშრება,



სურ. 5 ძალლის ექსპერიმენტული ჰიპერტონიის ბოჭკოების განვითოლიანობა ჩანს მხოლოდ ცალკეულ უბნებში, სისხლჩაქცევათა კერვები

შიგნითა ელასტიკური ფენის დანახვილება და განბოჭკოება, ე. ი. ისეთი ცვლილებები, რომლებიც მოწმობენ შელწევადობის მნიშვნელოვან დარღვევებს. გორგების მიერ მიღებული მონაცემები დადასტურებულ და გაფართოებულ იქნა ჩვენი კლინიკის თანამშრომლის არღამატსკის გამოკვლევებში, რომელმაც გულისა და თირკმლების, აგრეთვე თავის ტვინის სისხლძარღვებში აღმოაჩინა ნათლად გამოხატული სისხლძარღვთა შელწევადობის ცვლილების მორფოლოგიური ნიშნები, რაც თავს იჩენს პერივასკულური შეშებების ელემენტებით, სისხლძარღვთა კედლების დამსხვილებით და ჰომოგენიზაციით, სისხლჩაქცევებით (სურ. 5,6).

ამრიგად, ჰიპერტონიული დაავადების განვითარების პირველ ეტაპებზე სისხლძარღვთა კედლების მორფოლოგიური ცვლილებები, ძირითადად, თავს იჩენს შელწევადობის ცოტად თუ ბევრად მკვეთრად გამოხატულ მოშლილობაში. შელწევადობის, რომლის ცენტროგენური გენეზი ჰიპერტონიული დაავადების ყველაზე აღრეულ სტადიებში, რატნერის, ლომოურის [9] გამოკვლევათა საფუძველზე, არავითარ ეჭვს არ იწვევს. ამასთანავე განსაკუთრებული ყურადღების ლირსია ის ცვლილებებიც თავის ტვინის ქერქის უჯრედებში, რომლებიც დადგენილ იქნა არღამატსკის მიერ ოპერირებულ ძალებზე. აქ უპირატესად ადგილი ჰქონდა გაჯირჯვების მივლენებს, განსაკუთრებით მომეტებულად ხანგრძლივი ექსპერიმენტული ჰიპერტონიის დროს, და უჯრედთა შექმნებას, ე. ი. იმ ცვლილებებს, რომლებიც, სწორედ განსარევების მიხედვით, თავის ტვინის ქერქის შემდეგ დაზიანებას მოწმობს (სურ. 7).



სურ. 6. იგივე ძალი. თირკმელი. ცენტრული სისხლძარღვა, რომლის კედელი გათხელებული, გაფარგებული, ვაკოლიზირებულია. სისხლძარღვის გარშემო ინფილტრატი, რომელიც შედგება ადვენტიციის უჯრედებისაგან

ამ მონაცემებს პრინციპული მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საფუძველს გვაძლევს მივიჩნიოთ, რომ თავის ტვინის ქერქის უჯრედთა პათომორფოლოგიური ცვლილებები რეფლექსოგენური ჰიპერტონიის დროს გაპირობებულია არა მარტო სისხლის მიწოდების შეზღუდვით ოპერაციულ ჩარევასთან დაკავშირებით, არამედ, შესაძლოა, წარმოადგენს იმ პროცესების გამოხატულებას თავის ტვინის ქერქში, რომლებიც წარმოიქმნება რეფლექსურად კაროტიდული ზონების გამოთიშვასთან დაკავშირებით და კავშირშია ჰიპერტონიის აღმოცენებასთან.

ცხადია, ეს მორფოლოგიური მონაცემები, რომლებიც შესწავლილ იქნა ძალებზე ექსპერიმენტული რეფლექსოგენური ჰიპერტონიის დროს, არ შეიძლება უცვლელად გადატანილ იქნეს ჰიპერტონიული დაავადების იმ ფორმებზე, რომლებსაც ვხვდებით ადამიანში, მაგრამ მაინც შეუძლებელია იმის მთლია-

ნად უარყოფაც, რომ ერთგვარი მიახლოებით ეს მონაცემები ემთხვევა იმ ფუნქციურ ცვლილებებს, რომელიც ელექტრონული ცეფალოგრაფიკულად (ვ. ა ხობაძე [7]) და ქრონიკული გამოვლენილ იქნა ჰიპერტონიული დაავადებით შებყრობილებში.



სურ. 7. ძაღლის ექსაგრიმენტული ჰიპერტონია—ვადა 12 თვე. ტვინი—თავის ტვინის ქერქის ნერვული უჯრედები შეჭმუნილია, ზშირად ჩხირების ფორმისაა; მათი ცილინდრული მორჩი ბურაოსტრ იკლაქნება. ბირთვების ნაწილობრივი გალლობა

დების დროს ჭარბმოქმნილი და შესწავლილი პათოლოგიური ჯაჭვის გაშლა გაპირობებულია ერთიანი გენეზით. ცენტრალური ნერვული სისტემის—თავის ტვინის ქერქისა და ქერქებებში ცენტრების ფუნქციურ-დინამიკური ცვლილებები, ასრულებს რა წამყვან როლს, იშვებს: 1. სისხლდარღვთა ტონუსის დარღვევას სისხლის წნევის მომატებით; 2. რეფლექსურ, რეაქციულ ცვლილებებს სისხლძარღვთა იფერენტულ სისტემებში; 3. ჰუმორალური ფაქტორების ჩართვას; 4. სისხლდარღვთა კედლების შეღწევადობის ცვლილებებს.

სარატოვის სამედიცინო  
ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 5.3.1955)

### დამომხმარებლი ლიტერატურა

1. Н. Н. Аничков, К. Г. Волкова, М. А. Захарьевская. Патологическая анатомия гипертонической болезни. Труды IV-й сессии АМН ССР, 1948.
2. В. В. Горев. Экспериментальные данные к патогенезу гипертонии, кл. мед. № 10—11. 1945.
3. Т. А. Григорьева. Репепторы аорты—мор. чувств. внутр. орг. 1948.
4. Г. Ф. Ланг. Гипертоническая болезнь. 1950.
5. А. Л. Мясников. Гипертоническая болезнь, 1951.
6. ვ. Г. Смирнова. Иннервация рефлексогенных зон при гипертонической болезни, тер. Арк., 3, 1949.
7. В. А. Ахобадзе. Данные электроэнцефалографического исследования больных гипертонической болезнью. Труды Ин-та Кардиологии АН ГССР, т. II. 1953.
8. III. Г. Шенгелия. Патоморфология каротидного синуса и каротидной железы при гипертонической болезни. Труды института кардиологии АН ГССР, т. II. 1953.
9. А. И. Ломоурин. О нарушениях двусторонней проницаемости капилляров при гипертонической болезни. Труды института кардиологии АН ГССР, т. II. 1953.

## ექსპრესიონის მიზანი

ის. ტატიშვილი და გ. ვიჩასაძე

მასალები აორტის სარქმლებს განვითარების მიზანის

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა ვლ. ქლენტმა 5.6.1955)

აორტის გახევისა და განმაშრევებელი ანევრიზმის დიაგნოზის დადგენა ავადმყოფის სიცოცხლეში ზედმიწევნით რთულ ამოცანას წარმოადგენს, რამდენიმე აღნიშნული პათოლოგიური მდგომარეობის დროს ჩვენ თითქმის არ მოვცემოვება პათოგნომონური სიმპტომები. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლიტერატურაში აღწერილი 500 შემთხვევიდან მხოლოდ 50 შემთხვევაში იყო გამოთქმული აზრი აღნიშნული დავადგების არსებობის შესაძლებლობის შესახებ ავადმყოფის სიკვდილამდე. ასე მაგალითად, ი. ბუხშტაბის მიერ ი. ჯანელიძის კლინიკაში აღწერილი 4 შემთხვევიდან განმაშრევებელ ანევრიზმას ვარაუდობდნენ მხოლოდ 2 შემთხვევაში. 6. ვიღებ მა 18 შემთხვევიდან დიაგნოზი ვერც ერთ შემთხვევაში ვერ დაადგინა სექციამდე.

იმ შემთხვევაში, როდესაც აორტის გახევა არ არის გამოწვეული არც ტრავმით და არც რომელიმე გამოხატული პათოლოგიური პროცესით (სიმსივნე), მას ჩვეულებრივად აორტის ე. წ. სპონტანურ ანუ თავისთავად გახვას უწოდებენ.

აორტის გახევა შესაძლებელია ფრიად იშვიათ შემთხვევებში აორტის კედლის შეხორცებით დამთავრდეს. აორტის მთლიანი გახევა, მისი კედლის ყველა შრის მთლიანობის დარღვევით, თითქმის ყოველთვის იწვევს ავადმყოფის სწრაფ სიკვდილს; არამთლიანი გახევის შემთხვევებში, როცა შიგნითა და შუა გარსის ნაწილის მთლიანობაა დარღვეული, შესაძლებელია აორტის განმაშრევებელი ანევრიზმი ჩამოყალიბდეს.

აორტის ე. წ. სპონტანური გახევა იშვიათია, რამდენადაც მსოფლიოში დაახლოებით მხოლოდ 500 შემთხვევაა აღწერილი.

ქალაქ თბილისის სასექციო მასალის მიხედვით 1923—1954 წლამდე 36300 პათოლოგიანატომიურ გაკვეთაზე აორტის ე. წ. სპონტანური გახევის სამი შემთხვევა იყო, რაც 0,008% შეადგენს.

მოვყენების მოკლე ცნობები ჩვენი დაკვირვების ქვეშ მყოფი ორი შემთხვევის შესახებ.

შემთხვევა 1. ავადმყოფობის ისტორია № 175. ავადმყოფი ქ. ი. ი., 56 წლის, ჩეხოსლოვაკიელი, შემოვიდა ევაკოპოსპიტალში 1945 წლის 20 მარტს. 1945 წლის 15 იანვარს დაიჭრა ტყვიით პირისახეში, მიიღო ქვედა ყბის მოტეხილობა. ევაკოპოსპიტალში შემოსვლისას უჩიოდა ჩირქის დენას ნიკაპზე არსებული ფისტულიდან და ლეჭვის გაძნელებას. ნიკაპზე აღინიშნება

ფისტულა, რომლიდანაც გამოიყოფა ჩირქი. ტემპერატურა ნორმალური აქვს ზოგადი მდგომარეობა დამაქმაყოფილებელი. შინაგანი ორგანოების მხრივ საგრძნობ ძვრებს ადგილი არ აქვს; ყურადღებას იაყრობს მხოლოდ გულის მარცხენა საზღვრის გაფართოება 2 სანტიმეტრით.

სისხლის ანალიზი. ჰემოგლობინი— $67\%$ , ერითროციტი—334000, ფერადობის მაჩვენებელი 1,0; ლეიკოციტი—5400, ერითროციტების დალექვის რეაქცია—26 მილიმეტრი საათში. ლეიკოციტური ფორმულა: ეოზინოფილი— $2\%$ , ჩხირბირთვიანი— $1\%$ , სეგმენტბირთვიანი  $74\%$ , ლიმფოციტი— $18\%$ , მონოციტი— $5\%$ . შარდში პათოლოგიური ცვლილებები არ აღინიშნება. ქვედა ყბის რენტგენოგრაფია: მოტეხილობა ნიკაპის არეში, ძვლის დეფექტით და წვრილი ძვლების სეკვესტრებით. 23 მარტს გაკეთდა ქვედა ყბის სეკვესტროტომია. 4 აპრილს დღის 12 საათზე ავადმყოფს დაეწყო გულის რევა, შემდეგ პირლებინება, ტონური კრუნჩხვები, თავის ტკივილი. 13 საათზე ავადმყოფმა დაკარგა გრძნობა, განუვითარდა ტუჩების, ცხვირის წვერისა და ზედა კიდურების თითების კიანოზი. 22 საათსა და 45 წუთზე ავადმყოფი გარდაიცალა სისხლის მიმოქცევის შწვავე ნაკლოვნების მოვლენებით.

კლინიკური დიაგნოზი. ქვედა ყბის ქრონიკული ოსტეომიელიტი და ფლეგმონა (ტყვიით ჭრილობის შემდეგ). თავის ტვინის სისხლის ძარღვების თრომბოზი, გულის სკლეროზი და გულ-სისხლძარღვთა შწვავე ნაკლოვნება. გაიკვითა 5 აპრილს, სიკვდილის 18 საათის შემდეგ (ოქმი № 100).

პათოლოგიანატომიური დიაგნოზი. ასწროვ აორტის სარქველზედა სპონტანური გახევა. აორტის განმაშრევებელი ანევრიზმი მთელ სიგრძეზე. აორტის ათეროსკლეროზი და მისი ასწვრივი ტოტის ექტაზია. ჰემპერიკარდიუმი. გულისა და მისი სარქველების სკლეროზი. თირკმლების არტერიოლოსკლეროზი. გულის ექსცენტრული ჰიპერტონია. პირისახის ტყვიით ჭრილობა ქვედა ყბის დამსხვრევით. ქვედა ყბის ლორენციულიტი. ჰიპერტონიული დაავადება.

აორტის კარიდან 2 სმ დაშორებით აორტა გარდიგარდმო გახეულია 4,5 სანტიმეტრის სიგრძეზე. გახევის მიღამოში აორტის კედელი თხელია; ადვენტიცია მედიას გარეთა ფენებით მოშორებულია ინტიმასა და მედიას შეგნითა ფენებს აორტის მთელ სიგრძეზე; მათ შორის მოთავსებულია შედედებული სისხლის მასა. პერიკარდიუმის გაფართოებული ღრუ სავსეა ნაწილობრივ შედედებული სისხლით.

მიკროპათომორფოლოგიური შესწავლისათვის ალებულია აორტის კედელი სხვადასხვა ადგილიდან, როგორც გახევის მიღამოდან, ისე მის ახლოს და აგრეთვე გახევის ადგილიდან დაშორებით. ჩვეულებრივი წესით დამუშავების შემდეგ ანათლები შეღებილია ჰემატოქსილინეოზინით, პიკროფუქსინით ელასტიკურ ბოჭქოებზე; გასაყინ მიკროტომზე ალებული ანათლები დათვალიერებულია პოლარიზაციულ მიკროსკოპში და შეღებილია ცხიმზე.

აორტის შიგნითა გარსის გამომუენი ენდოთელი წარმოდგენილია სიგრძეზე გაწეული უჯრედებით, ძლიერ ხშირად ეს უჯრედები ჩამოფექნილია. უშუალოდ ენდოთელის ქვეშ მოთავსებულ და მისგან არამკვეთრად გა-

მოყოფილ ლანგვანისის შრეს დაკარგული აქვს წვრილი ფიბრილური შენება, შეიცავს ვარსკვლავა ფორმის მცირერიცხვით უჯრედებს, გასქელებულია არა-თანაბრად და ჰომოგენურია. ინტიმის ღრმა ფენებში და ინტიმის მოსაზღვრე მედიაში აღინიშნება ლიპოიდების, უმთავრესად ქოლესტერინ-ესტერების ჩა-ლაგება წვეთებისა და უფრო დიფუზური მასების სახით. შიგნითა ელასტიკური გარსი სუსტადა განვითარებული, მასში არ განირჩევა შიგნითა ცირკულარული და გასწრებივი შრე. შუა გარსის ცირკულარული კუნთოვანი ბოჭკოები კარგადა გამოხატული, ელასტიკური ბიჭკოები და მემბრანები, პირუკუ, ნაზია, თხელია, სუსტად განვითარებული, დაშორებული ერთიმეორეს, განიცდის სეგმენტურიას, დაკარგული აქვს სპეციფიკური შეღებვის უნარი. ინტიმაში, განსაკუთრებით შიგნითა ელასტიკური გარსის შესაბამისად, აგრეთვე შუა გარსის შიგნითა ფენებში ზოგან აღინიშნება მუკონიდური ნივთიერების კეროვანი დაგროვება, სხვაგან ის დიფუზიურად უღენთავს ლანგვანისი შრეს.

აქა-იქ შუა გარსში აღინიშნება პატარა კერები, სადაც სტრუქტურა და-კარგულია, უჯრედოვან ელემენტებს შორის საზღვარი ბუნდოვანია ან სრულიად არ მოჩანს, ჰომოგენურია, ბირთვები არ იღებება. ზოგან ამავე შრეში ჩანს ნაწიბურები, წვრილი ყალიბის სისხლის ძარღვები და სისხლჩაქცევები.

ამ შემთხვევაში აორტის გახევა, განმაშრევებელი ანერიზმის ჩამოყალიბებით მოელ მის სიგრძეზე, განუვითარდა 56 წლის შამაკაცს აორტის ღრმა სტრუქტურული ცვლილებებისა და ჰიპერტონიული დაავადების ფონზე (თირკმელების არტერიოლისკლეროზი და გულის, უპირატესად მარცხენა პარკუჭის ექსცენტრიული ჰიპერტონია).

შემთხვევა II. ავადმყოფობის ისტორია № 11. ავადმყოფი კ. პ. ვ., 21 წლის ქალი, მუშა, შემოვიდა ქ. IV საავადმყოფოს თერაპიულ განყოფილებაში 1953 წლის 5 იანვარს ჰიპერტონიული დაავადების დაიგნოზით. შემოსვლისას უჩიოდა თავის ძლიერ ტკივილს, ქუთუთოების შეშუცებას, წელის ტკივილს, თავბრუსხევას და გულის ფრიალს. ავად ოვლიდა თავს მხოლოდ ორი კვირა და წარსულში არავითარ გადატანილ სწრულებას არ აღნიშნავდა. პულსი—დაჭიმული, რიტმული, წუთში—80. გულის მარცხენა საზღვარი გაფართოებულია 2 სანტიმეტრით. გულის ტონები სუფთაა, ფუძეზე, განსაკუთრებით აორტაზე, ისმის მეორე ტონის ძლიერი აქცენტი.

სხვა ორგანოების მხრივ ნორმიდან გადახრას ადგილი არ აქვს. სისხლის არტერიული წნევის ყოველდღიური გაზომვით თვე-ნახევრის განმავლობაში დადგენილი იყო ჰიპერტონიის მყარი მაღალი მაჩვენებლები. არტერიული წნევა მერყეობდა 200/130 და 240/160 შორის და მხოლოდ ერთხელ დაეშვა 160—130-მდე. გარდა ამისა, სიკვდილის წინ 4 დღის განმავლობაში წნევა მერყეობდა 180/90—190/110 შორის და სიკვდილის დღეს იმავე 210—120 შიაღწია. შარდის მხრივ ჰიპო-იზოსტენურია, ნიკტურით, ალბუ-მინურია—0,33<sup>0</sup>/00—0,99<sup>0</sup>/00. ნალექში ერთეული შეცვლილი ერთითოციტი და ჰიალინური ცილინდრი ხედვის ყოველ არეში. სისხლის მხრივ აღინიშნე-



ბოდა ზომიერი ჰიპოქრომული ანემია, ე. დ. რ. აჩქარებით (20—30 მილი-შეტრი ერთ საათში).

სისხლში ნარჩენი აზოტის რაოდენობა მერყეობდა 47,9—48,6 მილიგრ. % -მდე. თვალის ფსკერის გამოკვლევის საფუძველზე კონსულტანტ-ოკულისტის მიერ დასმული იყო თავის ტვინის სიმსივნის დიაგნოზი, მაგრამ კლინიკა ამ მოსაზრებას არ დაეთანხმა. კონსულტანტმა ნევროპათოლოგმაც ვერ ნახა სიმსივნისათვის საქამარისი მონაცემები. ქალას რენტგენოგრაფიამ და ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევამაც ვერ დაადასტურა სიმსივნის არსებობა. ჩვენ-თვის აშკარა იყო ყველა მონაცემის საფუძველზე, რომ საქმე უნდა გვქონოდა ნეფროტიან და თირკმლის მეორეულ შეკმუხვნასთან. განმეორებითი კონსულტაციის შემდეგ ოჯულისტიც დაგვეთანხმა.

მიუხედავად ჩატარებული მკურნალობისა, ავადმყოფის მდგომარეობა არ გაუმჯობესდა. მას არ ასვენებდა თავისი ძლიერი ტკივილი. სიკვდილამდე 10 დღის წინ ავადმყოფს განუვითარდა ძლიერი მუდმივი ხასიათის ტკივილი მკერდის ძვლის არეში. ამავე პერიოდიდან აღინიშნებოდა აორტაზე ორივე შუილი. სიკვდილის ერთი დღის წინ შუილი გაქრა. უკანასკნელი 10 დღის განმავლობაში ავადმყოფი ზედმიწვნით მძიმე მდგომარეობაში იყო, ამ მდგომარეობიდან არ გამოისულა და 1953 წ. 2 მარტს გარდაიცვალა. კლინიკური მონაცემების საფუძველზე სიკვდილი არ შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო არც ურემით, არც გულის დეკომპნენსაციით და არც ტვინში სისხლის ცირკულაციის მოშლით. მიუხედავად ახალგაზრდა ასაკისა, ჩვენ ვითიქტეთ, რომ ქვემწვევე ნეფროტით დაავადებულ ავადმყოფს ჰიპერტონიისა და თირკმლის ფუნქციის ნაკლოვანების ფონზე განუვითარდა კორონარული სისხლის მიმოქცევის შევეთრი მოშლა და ეს უკანასკნელი ჩავთვალეთ სიკვდილის უშუალო მიზეზად.

პათოლოგიურ-ანატომიური დიაგნოზი. მეორეული ნეფროციონზი. გულის, უპირატესად მარცხენა პარკუჭის, ექსცენტრული ჰიპერტონია. ასწერივი აორტის განმაშრევებელი ანევროზი. აორტის სარქველებს-ზედა გახევა. ჰემოპერიკარდიუმი. მარჯვენა თირკმელზედა ჯირკვლის ადენომა.

აორტის კედლის მიკროპათოლოგიური გამოკლებით დაგვიტრი გამოკლებით გამოკლებით დაგრძელებული ენდოთელური უჯრედებით, რომელიც ზოგან ჩამოთკენილია. სუბენდოთელურმა შრემ ზოგან დაკარგა ფიბრილური შენება. და ჰიმოგენური შეხედულება აქვს, ზოგან კი შეიცავს ვარსკვლავა უჯრედებს. შიგნითა ელასტიკური გარსის გარეთა გასწვრივი და შიგნითა ცირკულარული შრეები არ არის მეაფიოდ გამოხატული. მედიას ცირკულარული კუნთოვანი ბოჭკოები კარგად არის გამოხატული, ელასტიკური ბოჭკოები კი გაფხვიერებულია, გახეული და ცუდად იღებება. ინტიმის ღრმა ფენებში აღინიშნება ლიპოიდების მცირე რაოდენობა შვეთების სახით. ინტიმის შიგნითა ელასტიკური გარსის გასწვრივი შრე და ინტიმის სხვა ნაწილები, ისევე, როგორც მედიას შიგნითა შრეები, დიფუზიურად არიან გაუღენთილი მუკოიდური ნივთიერებით. მედიას ზოგ უბანს ჰიმოგენური შეხედულება აქვს.

აღნიშნული შემთხვევა საინტერესოა იმით, რომ აორტის გახევა და განმაშრევებელი ანევრიზმა 21 წლის ქალიშვილს განუვითარდა. აორტის კედელში აღმოჩენილი ღრმა სტრუქტურული ცვლილებები და მყარი ჰიპერტონია უსწრებდა აორტის გახევას. მყარი ჰიპერტონიის მიზეზი შესაძლებელია იყო არა მარტო თირკმლის მეორეული შეჭმუხვნა, არამედ თირკმელზედა ჯირკვლის ადენომაც.

ორივე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი აორტის სარქველებსზედა განივ გახევას მისი განშრევებით და სისხლის ჩაქცევით გულის პერანგში (გულის ტამპონიდა).

უნდა აღინიშნოს, რომ უმრავლეს შემთხვევებში ადგილი აქვს აორტის ან სარქველებსზედა გახევას, როგორც ამას ჩვენს შემთხვევებში ჰქონდა ადგილი, შემდგომი სისხლის ჩაქცევით გულის პერანგში, ან აორტა იხევა ბოტალის სალინრის შესაბამისად განვითარებულ ნაწილში, რასაც მარტენა მხარეზე ჰემოთორაქსის განვითარება მოჰყება. ამ ადგილებში აორტის მეტი ფიქსაცია და მისი კედლის სისხლით ნაკლები მომარავება (*vasa vasorum*-ის ნაკლები რაოდენობის გამო) უფრო ხელსაყრელ პირობას ქმნის მისი გახევისათვის. განახევის ხაზი შეიძლება გარდიგარდმო, გასწროვი ან ირიბი იყოს, ზოვჯერ კი ტეხილ ხაზს ქმნის. შესაძლებელია მრავლობით გახევასაც ჰქონდეს ადგილი.

ლიტერატურული წყაროების მიხედვით, აორტის გახევა ხანში\* შესულ მამაკაცებშია უფრო ხშირი; ძალიან იშვიათია ახალგაზრდა ქალებში, როგორც ამას ჩვენს ერთ შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ვიღების 18 შემთხვევიდან ერთ შემთხვევაში საქმე ეხებოდა 15 წლის ვაჟს. მის მასალაში 10 შემთხვევაში აორტის გახევას განმაშრევებელი ანევრიზმა დაერთო; 5 შემთხვევაში მრავლობით გახევას ჰქონდა ადგილი.

აორტის გახევის, ისე როგორც მისი შემდგომი განშრევების მექანიზმი არ არის საბოლოოდ გარკვეული.

ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ აორტას შეუძლია ზედმიწევნით დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს მომატებულ წნევას. გამოირკვა, რომ ნორმალური აორტა მხოლოდ მაშინ იხევა, როცა ხელოვნურად შექმნილი წნევა 20-ჯერ აღემატება ადამიანის ნორმალურ წნევას.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ექსპერიმენტში აორტა იმ ადგილებში იხევა, სადაც უფრო ხშირად აქვს ადგილი მისი მთლიანობის დარღვევას ე. წ. სპონტანური გახევის შემთხვევებში. ამავე ექსპერიმენტებით გამოირკვა, რომ წნევის აწევის სისწავეს არ აქვს არსებითი მნიშვნელობა.

ამავე დროს უნდა გვხსოვდეს, რომ გვამურ მასალაზე და ცხოველებზე ჩატარებული ექსპერიმენტებით მიღებული ცველა მონაცემის გამოყენება კლინიკში არ იწნებოდა მართებული, მეტადრე იმიტომ, რომ გვამის აორტა გაცილებით უფრო გამდეგა, ვიდრე ცოცხალი ადამიანისა.

უნდა აღინიშნოს, რომ აორტის გახევის ყველა შემთხვევაში არ ხერდებოდა ჰიპერტონიის დადგენა; მეორე მხრივ ცნობილია, რომ ჰიპერტონიული

დაავადება ზედმიწევნით გავრცელებული დაავადებაა, ხოლო აორტის გახევა—ფრიბლ იშვიათი.

აორტის გახევის მიზეზის დასაღენად გამოთქმული იყო მოსაზრება აორტის კედელში სხვადასხვა პათოლოგიური პროცესის მნიშვნელობის ზესახებ. ამ მხრივ ყურადღება ექცეოდა ათეროსკლეროზს, ლიბიოდოზს, ელასტიკური ქსოვილის სუსტ განვითარებას, ელასტიკური ბოკუოების სეგმენტაციას, ვასკულარიზაციის ნაკლოვანებასთან დაკავშირებულ აორტის კედლის ნეკროზს, ანგიომალაციას, მედიაში ქრომოტრობული მუკოიდური ნივთიერების დაგროვებას და ბოლოს—აორტის სტენოზსაც.

ყველა ზემოთჩამოთვლილი მოსაზრება არ არის საქმარისად დასაბუთებული, რამდენადაც ლრმა პათოლოგიური ცვლილებების დროს შესაძლებელია აორტის გახევას არ ჰქონდეს ადგილი და გაიხეს იქ, სადაც გაცილებით უფრო მცირე სტრუქტურული ცვლილებებია გამოხატული.

აორტის სტენოზის მნიშვნელობაზე არ შეიძლება ლაპარაკი, რამდენადაც აღწერილია შემთხვევები, როდესაც გახევას შევიწროების ადგილის ქვემოთ ჰქონდა ადგილი.

ამრიგად იქმნება შთაბეჭდილება, რომ ცალკე აღებული არც ჰიპერტონია და არც აორტის კედლის ლრმა დისტროფიული ცვლილებები არ უნდა განაპირობებდნენ აორტის გახევას. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩევნ დასაშვებად მიგვაჩნია აორტის გახევა ნორმალური წნევის და აორტის ინტაქტური კედლის პირობებში.

ძნელად წარმოსადგენია, რომ ჩევნს მეორე შემთხვევაში 21 წლის ქალიშვილის აორტის გახევა არ იყოს დაკავშირებული როგორც ჰიპერტონიასთან, ისე აორტის კედლის პათოლოგიურ ცვლილებებთან.

მართალია, შ ნურბაინის შასალაში ჰიპერტონია მხოლოდ 20% იყო გამოხატული, მაგრამ ვიღკის 18 შემთხვევიდან ჰიპერტონია 14 შემთხვევაში აღინიშნებოდა, ხოლო ჰუნტერის 32 ავადმყოფიდან ჰიპერტონია 28 ავადმყოფს ჰქონდა გამოხატული.

ჩევნს ორივე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი ჰიპერტონიას.

თუ მივიღებთ მხედველობაში აორტის ტრაგმულ გახევას, მაშინ ყურადღება უნდა მიექცეს სისხლის არტერიული წნევის სწრაფ და ძლიერ მერყეობას. აქვე უნდა იყოს მიღებული მხედველობაში ჩონჩხის ყველა კუნთის არა-ჩეულებრივი სიძლიერის დაძაბვა, რასაც სხვადასხვა მიზეზის, კერძოდ დიდი სიმძიმის აქვის დროს აქვს ადგილი.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ აორტის გახევა უნდა იყოს შედევგი სხვადასხვა ჰემოდინამიურ ბერებსა და აორტის კედლის წინააღმდეგობას შორის გარკვეული ურთიერთდამოკიდებულებისა.

გარდა ამისა, დიდ ინტერესს წარმოადგენს საკითხი იმის შესახებ, თუ რა არის პირველადი: აორტის გახევას მოჰყვება მისი განშრევება, თუ პირუკუ?

აქამდე უმრავლესობა იმ აზრისა იყო, რომ განშრევება მეორეულ მოვლენას წარმოადგენს.

ამავე დროს ვიღეთ ამტკიცებს საკუთარი მასალის საფუძველზე, რომ  
ზოგჯერ შესაძლებელია ჯერ განშრევება წარმოიშვას ინტრამურალური ჰემა-  
ტომის გამო და ამას შემდეგ აორტის კედლის გახევა დაერთოს.

ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

ზედმიწებნით მნიშვნელოვანია აორტის გახევისა და განმაშრევებელი ანგ-რიზმის დროული გამოვლინება, რაც პათოგნომონური სიმპტომების სიღარიბის გამო დიდ სიჩროულეს წარმოადგენს.

აორტის კედლის მთლიანი განხევა იწვევს ავადმყოფის სწრაფ სიკვდილს. ასეთ შემთხვევაში დიაგნოზის დაღვენა სექციამდე შეუძლებელია, რამდენადაც მოითხოვს ყველა იმ მიზეზის გამორიცხვას, რომლებსაც სწრაფი სიკვდილის გამოწვევა შეუძლიათ.

შედარებით უფრო შესაძლებელია ორტის ორმომენტიანი გახევის გამოვლინება, როდესაც ნაწილობრივ გახევას განმაშრევებელი ანუვრიზმის განვითარება მოჰყვება და უკვე ამის შემდეგ—მეორე მომენტში ორტის მთლიანი გახევა ავადყოფის სიკვდილს იწვევს. არც ამ შემთხვევებშია კლინიკური დიაგნოსტი აღვილი.

ასეთ შემთხვევებში ხშირად გამოხატულ ძლიერ ტკიფილებს და კოლაფ-  
სის მდგომარეობას შეუძლია გულის კუნთის ინფარქტის ან მწვავე მუცელის  
სიმულაცია, მეტადრე ოუ მუცელის ტკიფილთან ერთად კუნთების რიგილობა,  
გულისრევა და ლებინება იქნება გაძოხატული, როგორც ამას ჩვენს პირველ  
შემთხვევაში ჰქონდა ადგილი. ლიტერატურაში აღწერილია შემთხვევები, როცა  
ამ დროს შეკვეთით მიმოართავთ ოპერაციისათვის.

ვიღეთ აღნიშნავს, რომ ოორტის გახევის შემთხვევებში გულის კუნთის ინფარქტისაგან განსხვავებით ტკივილი არ იძლევა ირადიაციას და ელექტროკარდიოგრამაზე არ გვაჩვს ინფარქტისათვის დამახასიათებელი სურათი.

ჩვენს მეორე შემთხვევაში ტკიფილის ირადიაციას არ ჰქონდა ადგილი, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამის საფუძველზე გულის კუნთის ინფარქტის გამო- რაცხვი არ არის აღვილი.

ზოგი გაროულება არის უშეალოდ პორტის განშრევების და არა მისი გახვევის შედეგი. ასეთებია გულის კუნთის ინფარქტი (როცა განშრევება კორნინარული სისხლის ძარღვების შიდამოში ვითარდება) და აგრეთვე ნაწლავის გაუვალობა, ურემია (როცა საქმე ეხება მუკლის პორტის განშრევებას).

აორტის განმაშრევებელი ანეკრიზმის შემთხვევაში არ არის მოკლებული ერთგვარ დიაგნოსტიკურ ღირებულებას გულის აუსკულტაციის მონაცემები. მეტად მნიშვნელოვანია აორტაზე ვარიაბილური შუილის წარმოშობა ტკივილის შემდეგ, მეტადრე თუ დარწმუნებული ვართ იმაში, რომ მანამდე შუილი არ იყო გამოხატული.

ამ მოვლენას ჩვენს მეორე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი, მაგრამ, შენი ტკერისა და ბაერის ნაკრები სტატისტიკით, გულის მხრივ აღნიშნულ მოვლენებს შემთხვევათა მხოლოდ  $24\%$ -ში ვხვდებით.

### დასკვნები

1. ქალაქ თბილისის სასექციო მასალის მიხედვით, 31 წლის განმავლობაში (1923—1954) 36300 პათოლოგ-ანატომიურ გაკვეთაზე იყო აორტის ე. წ. სპონტანური გახევისა და განმაშრევებელი ანევრიზმის 3 შემთხვევა, რაც 0,008%<sup>0</sup> შეადგინს.

2. ჩვენ მიერ აღწერილ 2 შემთხვევაში ჰქონდა ადგილი აორტის ყველაზე ხშირ სარქველებსზედა გახევას, სადაც პირველად ინტიმისა და მედიას ნაწილის გახევას აორტის განმაშრევებელი ანევრიზმის განვითარება დაერთო და მეორე მომენტში ადვენტიციის გახევამ გულის ტამპონადა და ავადმყოფის სიკვდილი გამოიწვია (ორფაზიანი მიმდინარეობა).

3. აორტის ე. წ. სპონტანური გახევის პათოგენეზი არ არის საბოლოოდ დადგენილი. გარკვეული მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, ერთი მხრივ; ჰიპერტონიას და, მეორე მხრივ,—აორტის კედელში სტრუქტურულ ცვლილებებს. ჩვენს ორივე შემთხვევაში ჰქონდა ადგილი აღნიშნულ ცვლილებებს და აგრეთვე ჰიპერტონიას. ამიტომ ჩვენ მთლიანად გუერთდებით იმ აზრს, რომ ტერმინი „სპონტანური“, ანუ „თავისთავად“ გახევა, არ გამოხატავს პათოლოგიური პროცესის არსს.

4. პათოგნომური სიმპტომების სილარიბე თითქმის არ იძლევა ამ დაავადების კლინიკური გამოვლინების შესაძლებლობას.

ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს იმ დაავადებების გამორიცხვას, რომელთა სიმპტომატოლოგია ემსგავსება აღწერილი პათოლოგიური პროცესის დროს არსებულ კლინიკურ სურათს.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო

ინსტიტუტი

(რედაქციას მოუვიდა 5.6.1955)

ხელოვნების ისტორია

თ. 3. პარაველი

ატენის სიონის მხატვრობის თარიღის შესახებ

(წარმოადგინა აკადემიის ნამდვილმა წევრმა გ. ჩუბინაშვილმა 25.5.1955)

ძელი ქართული მონუმენტული მხატვრობის ისტორიაში ატენის სიონის—VII საუკუნის არქიტექტურული ძეგლის—მოხატულობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც მისი მაღალი ღირსების გამო, ისე იმ მხრივაც, რომ მისი მოთავსება ამა თუ იმ პერიოდში წყვეტის ქართული სახვითი ხელოვნების განვითარების მთავარი ეტაპების საკითხს.

ატენის სიონის მხატვრობის დათარიღების საკითხზე სხვადასხვა მოსაზრებაა წამოყენებული.

ერთი მხრივ, ამ მხატვრობის შესრულების თარიღიდან მიჩნეულია 904—906 წ. წ., რის დასაყრდენად აღებულია ატენის სიონის საკურთხევლის აფსიდში ამოკაწრული 906 წლის თარიღიანი წარწერა, რადგან ვარაუდობენ, რომ ეს წარწერა მოთავსებულია მხატვრობის ფენის ზემოდან (პროფ. შ. ა მირანაშვილი, [1], გვ. 185).

მეორე მხრივ, წამოყენებულია ამ მხატვრობის შესრულების სხვა თარიღიც—XI საუკუნის მეორე ნახევარი. მხატვრობის წარწერათა პალეოგრაფიული ანალიზის საფუძველზე რ. შეგრლინგი ([2]. გვ. 267) ასკვნის, რომ „...ეს ფრესკები შესრულებულია 1072 წლის შემდეგ“. ამავე თარიღს (XI ს. მეორე ნახევარი) იღებს მხატვრობის სტილისტიკური ანალიზის საფუძველზე თ. ვირსალაძე ([3], გვ. 88—89).

საკითხის საბოლოო გადაწყვეტა შეეძლო რაიმე ისტორიულ ცნობას, მაგრამ ჩვენამდე მოღწეულ ისტორიულ წყაროებში ატენის ტაძრის მოხატვის შესახებ არავითარი კვალი არ ჩანდა.

რაც შეეხება ატენის სიონის საკურთხევლის აფსიდში მოთავსებულ 906 წლის თარიღის შემცველ წარწერას, მისი ორი სტრიქონი დღესაც დაფარულია მხატვრობის ფრენადი ფენით, რომლიდანაც გამოჭვივის მის ქვეშ მოქცეული წარწერის ასოები, და მხოლოდ ორი სტრიქონია განთავისუფლებული მოხატულობის ფერადი ფენის ჩამოცვენის გამო ([3], გვ. 89).

1954 წლის ივლისში ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის მიერ მივლინებულ იქნა ქქსპედიცია, რომელიც მიზნად ისახავდა ატენის სიონის მოხატულობის დეტალურად შესწავლას და, პარალელურად, არსებული წარწერების გარკვევას.

წარწერები და მინაწერები ირკვეოდა ყოველ მცირე მონაკვეთზე, ისე რომ არ გამოიჩინილიყო არც ერთი ნაშთი.

დასავლეთის აფსიდში, მის სამხრეთის ფრთაზე, ელია წინასწარმეტყველის გამოსახულების წინ არსებულ მოუხატავ შელესილ არის ზემოთ შერჩენილია მაკურთხეველი მარჯვენის გამოსახულება და აქ, იატაკიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე, გაირკვა წარწერის მეტად მქრქალი ნაშთები. წარწერის ახლო შესწავლამ დაგვანახვა, რომ იგი შესრულებულია იმავე ხასიათის დაწერილობით, როგორითაც მოხატულობის დანარჩენი წარწერები. წარწერა ნაწილობრივ გადასულია.

წარწერის შერჩენილი ნაწილი 9 სტრიქონისაგან შედგება. მისი სიმაღლე 54 სანტიმეტრს უდრის, სიგანე (უდიდესი სტრიქონით) 30 სანტიმეტრს, სტრიქონის საშუალო სიმაღლე კი 5 სანტიმეტრს.

წარწერის გულდასმითი შესწავლით გაირკვა შერჩენილი ტექსტის უმეტესი ნაწილი:

1. ლუკა წ. ღია—
2. მ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
3. წ. წ. წ. წ. წ. წ. წ. წ. წ.
4. ლ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
5. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
6. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
7. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
8. [ჭ] ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ. ჭ.
9. ——————

რაც ქარაგმების გახსნითა და ნაკლოვანი ადგილების შევსებით შემდეგ ტექსტს გვაძლევს:

[ჭ. ყოვლ] ად წმიდაო დედ[ოფალო]  
[ღმრ] თის მშობელო, მარადის [ჭილ]

წულო მარიამ ——————

ადიდე მეფობა ღვთივ დამყა[რე]

ბულისა მეფეთ მეფ[ისა]

გიორგისა ნო[ვე]ლ[ისიმოსისა],

რომლისა მიერ მოიხატა წმიდამ [საყდარი] [ესე]

[ჭ]ორონიკონსა[რ] ტ-სა წელ[სა მეფობისა]


[მათისა] ——————

როგორც მოყვანილი წარწერიდან ირკვევა, ატენის სიონის კედლის მხატვრობა შესრულებული ყოფილა ქორონიკონსა  $\text{ტ}=300+780=1080$  წელს, ე. ი. მეფე გიორგი II-ის მეფობის მერვე წელს, და ეს ძეგლი სათანადო ადგილს იჭერს ქართული მონუმენტალური მხატვრობის განვითარების გზაზე.

\* \* \*


მოყვანილ წარწერასთან დაკავშირებით ისმის საკითხი ატენის სიონის დასავლეთის აფსიდის ჩრდილოეთის ფრთაზე გამოსახულ ქტიტორთა ვინაობის შესახებ.

ქტიტორთა მწერივი ბემიდან იწყება და აფსიდის დასავლეთის ცენტრში მოთავსებულ სარკმელთან სრულდება.



ბემაში პირველად გამოსახულია მოხუცი სამონაზნო სამოსელში. მისი ვინაობის გარკვევა ძნელია, რადგან წარწერიდან შერჩენილია მხოლოდ — „...ჭი ზარს...“..., ე. ი. ....ძე დიდის[ა]....“.

ბემაშივეა გამოსახული მეორე ქტიოტორი—სამეფო სამოსლით შემოსი-



ლი ახალგაზრდა წვე-  
როსანი. როგორც ზე-  
მოთ მოყვანილი წარ-  
წერა მოწმობს, აյ წარ-  
მოდგენილი უნდა იყოს  
მეფე გიორგი II, რომ-  
ლის მეოხედითაც ყო-  
ფილა მოხატული ატე-  
ნის სიონი 1080 წელს.

აფსიდის ნახევარ-  
რკალში პირველად გა-  
მოსახულია ხანში შე-  
სული წვეროსანი სამე-  
ფო სამოსელში, გვირ-  
გვინით შემჯული. მის  
შარავანდედის მარჯვ-  
ნივ შერჩენილია სამ-  
სტრიქონიანი წარ-  
წერა:

ჭარა ერ ჭარა  
უშამბაზარა

აქშამბაზარა

ე. ი.: „მამა გიორგი  
მეფისად შემომწირვე-  
ლი ჯუარი - მეწამუ-  
ლისად.“

შარავანდედის მარ-  
ცნივ წარწერიდან  
შერჩენილია მხოლოდ  
ქარაგმა.

აღნიშნული გვირ-  
გვინოსანი უნდა იყოს  
გიორგი II-ის მარა, მე-  
ფე ბაგრატ IV, რომ-  
ლის სახელთანაა და-  
კავშირებული XI ს.

სურ. 2. (მონახაზი შეასრულა ადგილზე ლ. შერვაშიძემ)  
შუა წლებში ატენში გაშლილი მშენებლობა (იხ. საქტიოტორო წარწერა ატე-  
ნის სიონის სამხრეთის ფასაღზე).

გარდა ზემოთმოყვანილი ახალი წარწერის შინაარსისა, დიდმნიშვნელოვანი ცნობა ამ ქტიტორის პიროვნების მეფე ბაგრატ IV-ედ მიჩნევისათვის მოყვანილი აქვს აკად. ივ. ჯავახიშვილს თვეის ნაშრომში „ქართული ტანაცაცელის ისტორია“ (ხელნაწერი), სადაც წერს: „ატენის სიონის კედლის მხატვრობაზე ჭაბუკი ხატია, ომელსაც, მარცხენა ხელში გრავნილის მქონებელს, მოხუცი უდგა მარცხნით, ომლის ვინაობა, წარწერის ჩამოცვივნის გამო, გამოურკვევლი რჩება, მარჯვნივ კი დახატულია ამნაირადვე გრავნილიანი და მეფური ტანისამოსით, გვირგვინოსანი მამაკაცი, ომელსაც ასომთავრულად, პროფ. ზალვა ამირანაშვილის გადმონაწერით, თვეის გასწვრივ უწერია: „მამ გვისა შემომწირვლი ჯრიმერმლისაა“. ამ ოცდაექვესი წლის წინათ ატენში ყოვნის დროს ამ წარწერის გადმონაწერის მეორე სტრიქონის პირველ სიტყვად აღნიშნული მაქვს „ბრტუ“.

ფრინველებისაგან და დროისაგან დაზიანებულობის გამო წარწერები ძნელი გასარჩევიც არის, ამიტომ ამ სტრიქონის მოძღვვნო სიტყვის ამოკითხვა შეუძლებელი შეიქმნა. თუ ამ შემთხვევაში თვალმა არ მიმტყუვნა, ეს წარწერა შესაძლებელია ასე იქნეს აღდგენილი: „მამა გიორგი მეფის ბაგრატ (მფე: მეფე) შემომწირველი ჯუარი—მეწამულისაა“.

ზემოთმოყვანილი ახალი წარწერა თავისი თარიღით ადასტურებს, რომ გამოსახული მეფენი შეიძლება იყვნენ მხოლოდ გიორგი II და მისი მამა ბაგრატ IV.

მეფე ბაგრატ IV-ის შემდეგ გამოსახულია სახეიმო სამოსლით, სტემით თავშემკობილი მამაკაცი; მისი თავის შემცულობა—სტემა და სამოსელი განსხვავდება აქვე მოცემული სამეფო გვირგვინისა და სამოსელისაგან.

შარავანდედის მარცხნივ მოთავსებულია წარწერა:

### სტ ჭა ცეკვა

სტ

შარავანდედის მარჯვნივ:

.... ჭ- უ-მ-ც-ხ-ე-ნ-ც

..... ც-ე-ჭ-.....

რაც, საფიქრებელია, შემდეგი სახით უნდა იკითხებოდეს (ბოლო სიტყვის პირობითი აღდგენით):

„სუმბატ იე აშოტისი“.

„[სუმ]ბატ შემოწირნა

...[ბ]ოტი[ნატი]“

სუმბატს ხელი აქვს მოკიდებული მის შემდეგ გამოსახული ყრმისათვის— თავის მისათვის, რომლის გამოსახულების ზემოთ მოთავსებული წარწერიდან შერჩენილია:

ც-ე-ხ-ე-ნ-ა ჭ-ჭ-ჭ-

ს-ტ-ე-ჭ-ა

ე. ი. „..... უფლისწული ქე სუმბატისი“.

უფლისწულის გამოსახულების შემდეგ ცარიელ არეზე შერჩენილია წარწერის ნაშთი, რომელშიც გაირჩევა:

.... პ. შემოწირნა  
ც-ქ-ჩმხეც . . ლ. შეფიშცე

ე, ი. .... მ შემოწირნა — — — — გიორგი მეფემან“.

ქტიტორთა მწერივი მთავრდება დედოფლის გამოსახულებით, რომლის შარავანდედის მარცხნივ და მარჯვნივ მოთავსებულია წარწერა.

შარავანდედის მარცხნა მხარეზე შერჩენილია:

.... ს. შემოწირნა

შარავანდედის მარჯვენა მხარეს:

უძღვებაშვილი

.... ს. შემოწირნა

დედოფლის სახელიდან შერჩენილია მხოლოდ „ს. შემოწირნა“ და სახელის დადგენა მთლიანად არ ხერხდება. სიტყვა „ს. შემოწირნა“ იხსნება როგორც ადგილის საკუთარი სახელი „დეგეულისა“<sup>(1)</sup>. დეგეული არის სოფელი დიდ ატენისა და ძველ ატენს შორის. როგორც გაირკვა, ს. დეგეული განთქმული ყოფილა ზერბით ჯერ გასულ საუკუნეშიც. სიტყვა „დეგეულისა“-ს წინ შერჩენილია ასოები: „...ის“ და, აქვე, ატენის სიონის სამხრეთის ფასადზე მოთავსებულ წარწერაში მოკანილი სიტყვების — „სეფისა ზოვარსა შიდა....“ — ანალოგიით სავარაუდოდ აღვადგინეთ „[სეფის ზოვარ]ის“. ამრიგად, მთლიანად წარწერა შემდეგი სახით წარმოგვიდგება:

[...]ისდუხტ დედოფალი, შემოწირველი

[სეფის ზოვარ]ის დეგეულისა“.

სახელები სუმბატ და აშოტ ძლიერაა გვარცელებული IX—XI ს. ს. საქართველოში. ეს სახელები გვხვდება ატენის მფლობელთა გვარში მოხატულობის უფრო აღრეულ ხანაშიც ([4], გვ. 87), და ამ სახელების განმეორება XI ს. დამლევს მოწმობს, რომ ადგილობრივ მფლობელთა გვარში ეს სახელები ტრადიციულია. რასაც ხშირად აქვს ადგილი ძველი საქართველოს სხვა დიდ გვარებშიც.

საფიქრებელია, რომ ატენის სიონის მოხატულობაში გამოსახული სუმბატ დე აშოტისი და მისი შვილი არიან ადგილობრივ მფლობელთა გვარეულობის წარმომადგენელნი.


საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია  
ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი  
თბილისი

(რედაქციას მოუვიდა 7.7.1955)

დამოუმებული ლიტერატურა

1. III. Я. Амиранашвили. История грузинского искусства, т. I. Москва, 1950.
2. რენე შემერლინგი. ატენის სიონის კედლის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VIII, № 4, 1947.
3. Г. Чубинашвили и Т. Вирсаладзе. Книга о старом грузинском искусстве. Журнал Искусство, № 2. Москва, 1951.
4. სარა ბარნაველი. ატენის ახალი წარწერები. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, ტ. VII, № 2, 1946.

(1) შესრულებულ პირებში წარწერის ეს ადგილი სწორად არა გადმოღებული.



მთ. რედაქტორი აკად. ნ. მუსე ლი შვილი

ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.3.1956; შეკვ. № 308; ანაწყობის ზომა  $7 \times 11$ ;  
ქაღალდის ზომა  $70 \times 108$ ; სააღრიცხვო-საგამომც. ფურცლების რაოდენობა 6,7;  
ნაბეჭდი ფურცლების რაოდენობა 8,2; უ. 01090; ტირაჟი 800.

დ ა მ ტ პ ი ც ე ბ უ ლ ი ჭ ი ჭ ი ჭ ი ჭ ი ჭ ი  
საქართველოს სსრ მეცნ. აკად. პრეზიდიუმის მიერ  
22.10.1947

დებულება „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბის“ შესახებ

- „მოამბეში“ იძეჭდება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერი მუშა-კებისა და სხვა მეცნიერთა წერილები, რომლებშიც მოყლედ გაღმოცემულია მათი გამოკვლუ-ვების მთავარი შედეგები.
- „მოამბეს“ ხელმძღვანელობს სარედაქციო კოლეგია, რომელსაც ირჩევს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება.
- „მოამბე“ გამოიდის ყოველთვიურად (თვის ბოლოს), გარდა ივლის-აგვისტოს თვისა — ცალკე ნაკვეთობად, დაახლოებით 5 ბეჭდური თაბაზის მოცულობით თითოეული. ერთი წლის შესახველი (სულ 10 ნაკვეთი) შეადგენს ერთ ტომს.
- წერილები იძეჭდება ქართულ ენზე, იგივე წერილები იძეჭდება რუსულ ენზე პარა-ლელურ გამოცემში.
- წერილის მოცულობა, ილუსტრაციების ჩათვლით, არ უნდა აღმატებოდეს 8 გვერდს. არ შეიძლება წერილების დაყოფა ნაწილებად სხვადასხვა ნაკვეთში გამოსაქვეყნებლად.
- მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრებისა და წევრ-კორესპონდენტების წერილები უშუალოდ გადაცემა დასაბაქტილად „მოამბის“ რედაქციას, სხვა ავტორების წერილები კი იძეჭ-დება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის ან წევრ-კორესპონდენტის წარმოდგენით. წარმოდგენის გარეშე შემოსულ წერილებს რედაქცია გადასცემს ჰკადემიის რომელიმე ნამდვილ წერს ან წევრ-კორესპონდენტს განსახილველიდ და, მისი დადგებითი შე-ფასების შემთხვევაში, წარმოსადგენად.
- წერილები და ილუსტრაციები წარმოდგენილი უნდა იქნეს ავტორის მიერ სავსებით გამზადებული დასაბეჭდად. ფორმულები მკაფიოდ უნდა იყოს ტექსტში ჩაწერილი ხელით. წე-რილის დასაბეჭდად მიღების შემდეგ ტექსტში არავთარი შესწორებისა და დამატების შეტანა არ დაიშვება.
- დამოწმებული ლიტერატურის შესახებ მონაცემები უნდა იყოს შექლების დაგვარად სრული: საჭიროა აღინიშნოს უშრნალის სახელწოდება, ნომერი სერიისა, ტომისა, ნაკვეთისა გამოცემის წელი, წერილის სრული სათაური; თუ დამოწმებულია წიგნი, საგალდებულოა წიგნის სრული სახელწოდების, გამოცემის წლისა და აღიღილის მითითება.
- დამოწმებული ლიტერატურის დასახელება წერილის ბოლოში ერთვის სიის სახით. ლი-ტერატურაზე მითითებისას ტექსტში ან შეინშენებში ნაჩვენები უნდა იქნეს ნომერი სიის მი-სეღვით, ჩასმული კვადრატულ ფრჩხილებში.
- წერილის ტექსტის ბოლოს ავტორმა უნდა აღნიშნოს სათანადო ენებზე დასახელება და აღიღილებარებადა დაწესებულებისა, სადაც შესრულებულია ნაშრომი. წერილი თარიღდება რედაქციაში შემოსელის დღით.
- ავტორს ეძღვევა გვერდებად შეკრული ერთი კორექტურა მეცნიერი განსაზღვრული გადით (ჩვეულებრივად, არა უმეტეს ერთი დღისა). დადგენილი ვადისოთვის კორექტურის წარ-მოუდგენლობის შემთხვევაში რედაქციას უფლება აქვს შეაჩეროს წერილის დაბეჭდვა, ან და-შეჭდოს იგი ავტორის ვიზის გარეშე.
- ავტორს უფასოდ ეძღვევა მისი წერილის 50 ამონაბეჭდი (25 ამონაბეჭდი თითოეული გამოცემიდან) და თითო ცალი „მოამბის“ ნაკვეთებისა, რომლებშიც მისი წერილია მოთავსე-ბული.

სამსახურის მისამართი: თბილისი, ძმარისძის გ., 8

СООБЩЕНИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР, Т. XVII, № 3, 1956